სპორტიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 12 იანვარი 2000 №2 (1024) | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

3 ტორპედო უცხოეთში, ნაკრები ქუთაისში

დავით ყიფიანი ჩემპიონობას და მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშს აპირებს

5 პირველი ნაბიჯი

№7

ილეთა ჭრიჭვილი

6 დინო ბაჯოს ნერვებმა და ხელებმა უმტყუნა

უხამსმა ჟესტმა „პარმას“ ნახევარმცველი ნაკრებს ჩამოაშორა

8 ნუ იპრანჭებით!



თქვენ ვარსკვლავები ხართ, მაგრამ... დევიდ ბექემს და ვიქტორია ადამსს ჭკუის დამრიგებლები არ აკლიათ

5 რა ხდებოდა დახურულ კარს მიღმა...

ასე იყო, ისე იყო, რაგბის კავშირის პრეზიდენტი ისევ ბიძინა გეგიძეა

ზოგი ახალი დავიწყებული ძველია

საქართველოს ნაკრების მწვრთნელებმა ოცდაათს თორმეტი უნდა გამოაკლონ

ალბერტ ნიკოლაძის ფოტო

რევაზ ძოძუაშვილი

გუშინ საქართველოს ნაკრების ერთ-ერთმა მთავარმა მწვრთნელმა რევაზ ძოძუაშვილმა ის 30 ფეხბურთელი ჩამოგვითვალა, რომელთაგან 18 კვიპროსის საერთაშორისო ტურნირზე ეროვნული გუნდის მაისურას მოირგებს.

ნუ გაიკვირვებთ, ქვემოთ ერთი-ორი ისეთი ფეხბურთელის გვარს თუ წაიკითხავთ, კარგა ხნის შესვენების შემდეგ კვლავ ნაკრების კანდიდატებად რომ ითვლებიან, ან კიდევ ისეთებისას, რომლებმაც პირველად მიიქციეს ეროვნული გუნდის თავკაცთა ყურადღება.

ძოძუაშვილს შინ ვესტუმრეთ. არ დაგვზარდა, ჩანთიდან ქაღალდების დასტა ამოიღო, სია ჩაგვიკითხა და მერე მცირე კომენტარიც დაურთო.

18 ფეხბურთელს ამათგან აირჩევენ:

მეკარეები: ნიკა ტოგონიძე („ბათუმი“), სოსო გრიშიკაშვილი („დინამო“), დავით გვარამაძე („კრილია სოვეტოვი“, რუსეთი);

მცველები: გელა შეყილაძე („ლიერსი“, ბელგია), კახა კალაძე („დინამო“, უკრაინა), ვახტანგ ხვადაგიანი („ტორპედო“), ედიკ საჯაია („ვიტ ჯორჯია“), ლევან სილაგაძე, მამუკა წერეთელი (ორივე „ალანია“, რუსეთი), ოთარ ხიზანეიშვილი, გივი დიდავა, მურთაზ შელია (ყველა „დინამო“), ზურაბ მენთეშაშვილი („სკონტო“, ლატვია);

ნახევარმცველები: გიორგი ქინქლაძე („დერბი ქაუნთი“, ინგლისი), თემურ ქეცბაია („ნიუკასლი“, ინგლისი), გოჩა ჯამარაული („ციურიხი“, შვეიცარია), გოგა გახოკიძე („მაკაბი“, ჰაიფა, ისრაელი), თენგიზ სიჭინავა, რატი ალექსიძე, ზურაბ ხიზანიშვილი, გიორგი ნემსაძე (ყველა „დინამო“), კახა ჩხეტიანი („ტორპედო“), ლევან კობიაშვილი („ფრაიბურგი“, გერმანია);

თავდამსხმელები: არჩილ არველაძე („ბრედა“, ჰოლანდია), მიხეილ ყაველაშვილი („ციურიხი“, შვეიცარია), ზაზა ჯანაშია („ლოკომოტივი“, რუსეთი), გიორგი დემეტრაძე („დინამო“, უკრაინა), ზურაბ იონანიძე („ტორპედო“), გიორგი ქორიძე („ვიტ ჯორჯია“), დავით ჩალაძე („სკონტო“, ლატვია).

კვიპროსზე წამსვლელთა ვინაობა თვის ბოლოს გადაწყდება. მწვრთნელებს ჩაფიქრებული აქვთ, 17-19 ანვარს საქართველოში მოთამაშე ნაკრების ყველა კანდიდატი თბილისში (შესაძლოა, ქუთაისშიც) შეკრიბონ და რომელიმე ქართულ გუნდთან ათამაშონ. გარდა ამისა, ძოძუაშვილი მოსკოვში გაემგზავრება ესენგეს ჩემპიონთა ტურნირზე დასასწრებად და თბილისის „დინამოსა“ და „სკონტოში“ მოთამაშეებს საქმეში ნახავს, ამასთანავე, „ყალგირისში“ მოთამაშე ლიტვის ნაკრების ფეხბურთელებს დააკვირდება. ყიფიანი კი 31 იანვარს ბუქარესტს მიფრინავს, თანაჯგუფელი გუნდების მწვრთნელებს შესარჩევი ციკლის კალენდარზე შეუთანხმდება და ეროვნულ გუნდს იქიდან შეუერთდება კვიპროსზე.

ძოძუაშვილის თქმით, სწორედ თავად და ყიფიანი არიან თითოეული ფეხბურთელის ნაკრების წევრობაზე პასუხისმგებელნი. არ შეიძლება, მწვრთნელს თავისი ინტერესი ჰქონდეს და ფეხბურთელს ეროვნულ გუნდში ამიტომ იწვევდეს — ხალხი ამას არ გვაპატიებს, ჩვენს საქმეს ყველა პატიოსნად უნდა ვემსახუროთ — ძოძუაშვილის სიტყვებია.

მწვრთნელს დავით ჩალაძის დიდი იმედი აქვს, ასევე ლევან სილაგაძის, მამუკა წერეთლის და ყველა იმ ფეხბურთელის, რომლებიც მის ხელში იყვნენ უახლოეს წარსულში.

რევაზ ძოძუაშვილმა ნაკრებში თბილისის „ლოკომოტივის“ არცერთი ფეხბურთელის გამოძახება არ ისურვა — ამ გუნდის მწვრთნელი ვარ და კარგად ვიცი, ვის რისი თავი აქვს სანამ რომელიმე ლოკომოტიველის ნაკრებში მიწვევას გადავწყვეტ, იქამდე ბევრს ვიფიქრებ — გვითხრა ნაკრების მწვრთნელთაგანმა.

რაც შეეხება ნაკრების კაპიტნის ვინაობას, გიორგი ქინქლაძისთვის ეროვნული გუნდის კაპიტნობა არც მას და არც ყიფიანს არ შეუთავაზებიათ. კაპიტანს გუნდის კრებაზე ფეხბურთელები აირჩევენ.

კოგა ინასარიძე

კახი ასათიანი სამოქალაქო ომით გვაშინებს

დღეს ქართული სპორტის პანაშვიდზე მოვედით, ხვალ ქელეხზე შევიკრიბებით

ხმები ჩვენი სპორტის გარდაცვალების შესახებ გაზვიადებულია?

ალბერტ ნიკოლაძის ფოტო

ქართული სპორტის გასაჭირზე პარლამენტშიც ბევრი ილაპარაკეს. ვნახოთ, რა გაკეთდება...

დიახ, სწორედ ასე ითქვა გუშინდელ თავყრილობაზე, სადაც ჩვენი სპორტის საჭირბოროტო საკითხებზე იმსჯელეს. უფრო ზუსტად, პარლამენტში გაიმართა სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა ქვეკომიტეტისა და საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის ერთობლივი სხდომა. „სიდნეის ოლიმპიური თამაშებისთვის საქართველოს სპორტსმენთა მზადებისა და თამაშებში მონაწილეობის ორგანიზაციულ-ტექნიკური საკითხების შესახებ“ მოხსენება ფრიად მკაცრ ტონებში გამოუვიდა საქართველოს ეოკ-ის გენერალურ მდივან ემზარ ზენაიშვილს.

იხილეთ მეთხუთმეტე გვერდი

გაგუა — ზამთარში მოსკოვში, ზაფხულში შვედეთში, ახლა სკონტოში

საკარაულოდ, რიგის „სკონტოს“ კიდევ ერთი ახალგაზრდა ქართველი ფეხბურთელი შეემატება — ვალერი გაგუა, რომელიც აქამდე „თბილისში“ თამაშობდა. ჩვენებური უკვე რამდენიმე დღეა, ლატვიაშია და „სკონტოში“ ვარჯიშობს. მათ მწვრთნელს, ალექსანდრე სტარკოვს ვალერი გაგუა თურმე შარშან ზამთარში, ესენგეს ჩემპიონთა ტურნირისას მოსწონია თვალში და რევაზ ძოძუაშვილისთვისაც უთქვამს, ეგებ „სკონტოში“ გადმოვიბიროთო. გაგუა ძოძუაშვილსაც შეუქია, ამჟამად ლატვიაში მოთამაშე ქართველებსაც არ დაუკლიათ, საქმეც თითქმის გადაწყვეტილია. კლუბი და ფეხბურთელი უკვე შეთანხმებულან. უახლოეს დღეებში ალბათ კონტრაქტიც გაფორმდება.

ვალერი გაგუა 18 წლისაა და, შეგახსენებთ, გასულ ზაფხულს შვედეთში 18-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

კობა ინასარიძე

წყალნი წავლენ და წამოვლენ

ასეთი რა თაფლი სცხია რუსთავის „გორდასო“, იკითხავთ და მართალიც იქნებით. ფაქტია, 50-ლარიანი გუნდი (სწორედ ამ თანხას იღებენ დროდადრო ამ კლუბის წევრები) საპირველეტაპო შემადგენლობიდან არავის დაუტოვებია. ყოველ შემთხვევაში, ამას ირწმუნება „გორდას“ მთავარი მწვრთნელი იასონ ალადაშვილი. „მეორე ეტაპისთვის სამზადისს ერთი კვირის წინ შევუდექით. გუნდიდან არავინ წასულა და თითოეული ფეხბურთელი სრული დატვირთვით ემზადება სეზონის განახლებისთვის. მოსამზადებელ ეტაპს რუსთაველში გავივლით, მწირი ბიუჯეტი გასვლითი შეკრებების (აქ უცხოეთი არ იგულისხმება — პ.კ.) მოწყობის საშუალებას არ გვაძლევს. მოვემზადებით და ვნახოთ, რა გამოვა“ — გვითხრა ღირსების მედალოსანმა მწვრთნელმა.

მოკლედ, ასეა — „გორდაში“ ჯერჯერობით ყველაფერი ძველებურადაა, მაგრამ, ალბათ, დროებით, რადგან გამორიცხულია, „მეფოლადეებმა“ ახალ წელში (თუ ვნებავთ, საუკუნეში) სახე არ იცვალონ და სავარაუდოდ, ამ გუნდის ბევრი ფეხბურთელიც თავის ძველ, კეთილ გზას მონახავს. როგორც ჩანს, ეს იასონ ალადაშვილსაც მშვენივრად ესმის, აკი ამიტომაც იხმო საბაზო „ხალიბიდან“ რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელი. გარწმუნებთ, ბევრი მათგანი სამეორეეტაპოდ „გორდას“ ძირითად შემადგენლობაში ხშირად გამოჩნდება, რადგან ნათქვამია, წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო. თუმცა საკითხავია, რამდენად სასიკეთოდ წაადგება ეს პირველ ლიგაში დასარჩენად მებრძოლ გუნდს.

პაატა კვანტალიანი

ნიგერია — შეყილაძე 2:0

ბელგიის თასის შარშანდელი მფლობელი „ლიერსი“ მეორე ეტაპისთვის მზადებას ესპანეთის სანაპიროზე გადის. მწვრთნელმა ვალტერ მეუვსმა გუნდი იანვრის დასაწყისშივე ჩაიყვანა ესპანეთში და ორი ამხანაგურის თამაშიც მოასწრო.

„ლიერსის“ პირველი მეტოქე ესპანეთის დაბალ ლიგაში მოასპარეზე „ხერესი“ იყო. ჩვენებურმა გელა შეყილაძემ მინდორზე 90 წუთი გაატარა. მატჩი „ლიერსის“ უპირატესობით წარიმართა და ბელგიელები 2:0 დაწინაურდნენ (ვან დე ვეირი და სომერსი), თუმცა ესპანელებმა ხასიათის სიმტკიცე გამოამჟღავნეს და მეორე ტაიმში უკვე ისინი იგებდნენ 3:2-ს. „ლიერსი“ წაგებას პოლმანმა გადაარჩინა, რომელმაც 81-ე წუთზე გაათანაბრა ანგარიში. საბოლოოდ — 3:3.

მეორე ამხანაგურში „ლიერსს“ მეტოქედ გაცილებით მაღალი კლასის მეტოქე ჰყავდა — ნიგერიის ეროვნული ნაკრები, რომელსაც აფრიკის თასისთვის მოსამზადებლად ასევე ესპანეთში დაუდვია ბინა.

„ლიერსმა“ ასეთი შემადგენლობით დაიწყო: ნუსი, დე კეისერი, ვან მეირი, ჰუფჯენსი, დაემსი, ლაერემანსი, ლიინი, სნოექსი, სომერსი, კავენსი და ვან დე ვეირი.

ნიგერიას ჰყავდა ტიჯანი ბაბანგიდა, არსენალელი ნვანკო კანუ და მილანელი ტარიბო ვესტი. მატჩი, როგორც მოსალოდნელი იყო, აფრიკელი ვარსკვლავების უპირატესობით წარიმართა, თუმცა „ლიერსმა“ გოლი მხოლოდ 56-ე წუთზე გაუშვა. ვან მეიერს აკვებუ გაექცა და ნუსს ახლო კუთხეში გაუტანა. 59-ე წუთზე მოედანზე გელა შეყილაძე გამოჩნდა, სწორედ ვან მეიერის ნაცვლად. საბოლოოდ ნიგერიამ 2:0 მოიგო. 87-ე წუთზე გოლი ნაჩუკვუმ გაიტანა.

სიმონ მენაბდე

აბრამიძე კვიპროსზე მეორე, ისევ პირველი

მოსკოვის „ტორპედოსთან“ ერთად კვიპროსში შეკრებაზე მყოფმა ვალერი აბრამიძემ მეორე საკონტროლო მატჩშიც ითამაშა. „თბილისის“ ცენტრალურმა მცველმა ამჯერადაც მხოლოდ პირველი ნახევარი დაჰყო მოედანზე, შესვენების შემდეგ იგი აკსიონოვმა შეცვალა.

აიანაპაში ვიტალი შევჩენკოს შეგირდები რუსეთის პირველდივიზიონელ სარატოვის „სოკოლს“ გაეჯიბრნენ და 0:1 დამარცხდნენ. როგორც მოგეხსენებათ, „სოკოლში“ სამი ქართველია — ძმები ჯელაძეები და მიხეილ ჯიშკარიანი. ამ უკანასკნელთან თვეზე მეტია, მოლაპარაკებას აწარმოებს უმაღლესი დივიზიონის ბინადარი, ნოვოროსიისკის „ჩერნომორეცი“.

სარატოველებთან მატჩს ვიტალი შევჩენკომ შემდეგი კომენტარი გაუკეთა: „ამ შეხვედრაში ძირითადად გასინჯვაზე მყოფი ფეხბურთელები ვათამაშე. შედეგს დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებდი. სამწვრთნელო პროცესი მიმდინარეობს და ეს მატჩიც მისი ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი გახლდათ“.

ხვიჩა სანიკიძე

ქართველებისთვის მირონი მადლია

ალეკო კაიდარაშვილი

ზაპოროჟიეს „მეტალურგის“ მთავარმა მწვრთნელმა მირონ მარკევიჩმა ალექსანდრე კაიდარაშვილსა და კახა დგებუაძეს ჯერ კიდევ შარშან დაადგა თვალი. მაშინ ჩვენებურები ტერნოპოლის „ნივაში“ თამაშობდნენ.

მარკევიჩმა ჩანფიქრი აისრულა, კაიდარაშვილი და დგებუაძე თავისთან გადიბირა. „მეტალურგმა“ უკვე მოასწრო ერთი ორკვირიანი შეკრების ორგანიზება. ზაპოროჟიელები ტრუსკავეცში ემზადებოდნენ. იქიდან მობრუნებულებმა საკუთარ ქალაქში ორიოდ დღით შეისვენეს და საემიროებს მიაშურეს. „მეტალურგი“ ემირატებში 24 ივნისამდე დარჩება. გუნდმა ქართველი ახალწვეულები კარგად მიიღო. მარკევიჩს მათი ძალიან ეიმედება, განსაკუთრებით ალექსანდრე კაიდარაშვილის შესაძლებლობებისა სჯერა.

კახა დგებუაძე ნახევარდაცვაში თამაშობს, კაიდარაშვილი თავდასხმაში „აიაქსის“ სკოლაგამოვლილ დემჩენკოს ეწყვილება.

ქართველებმა თითქმის ყველა საკონტროლო მატჩი შეუცვლელად ჩაატარეს. კაიდარაშვილს კი მოედანი უგოლოდ არ დაუტოვებია.

მარკევიჩის თქმით, მან უკვე გატაწყვიტა შეტევაში არსებული პრობლემები. კაიდარაშვილი და დემჩენკო თურმე დავალებებს ჩინებულად ასრულებენ თავს.

ზაპოროჟიელი კლუბი ქართველებთან კონტრაქტის გაფორმებას 5 თებერვლამდე აპირებს. მანამდე „ნივასა“ და „მეტალურგს“ შორის ფორმალური მხარეებიც მოგვარდება.

5 თებერვალს კი მოსამზადებელი ციკლის ბოლო ეტაპი იწყება. „მეტალურგი“ იტალიაში ორკვირიან შეკრებას გაივლის, რა თქმა უნდა, ქართველებთან ერთად.

მამუკა კვანტალიანი

კოლხეთი ისევ ნესებრში

გია ტყებუჩავა

ფოთელებმა სამეორეტაპოდ მზადება 5 იანვრიდან განაახლეს და სრული დატვირთვითაც ემზადებიან, თუმცა გია ტყებუჩავას ბიჭები ჯერ მხოლოდ უბურთოდ ვარჯიშობენ, აქცენტი ფიზიკურ კოდიციებზე აქვთ გადატანილი. გუნდი მალთაყვის სპორტულ კომპლექსშია დაბანაკებული და იქვე ტყე-პარკის ტერიტორიაზე გაშენებულ რაგბის მოედანზე ვარჯიშობს. „კოლხეთის“ მწვრთნელ გია ტყებუჩავას თქმით, ბიჭები გულმოდგინედ, ხალისიანად ვარჯიშობენ.

— როდესაც კარგი ამინდია, რა თქმა უნდა, ღია ცის ქვეშ ვვარჯიშობთ, როდესაც ავდარია, მაშინ დარბაზში გადავინაცვლებთ — გვითხრა მწვრთნელმა.

„კოლხეთიდან“ ერთი ფეხბურთელის, მცველ იგორ ჭოხონელიძის გარდა არავინ წასულა, თუმც ამ დღეებში მას ალბათ 2-3 კაცი შეუერთდება. როგორც მწვრთნელმა თქვა, რაც შეიკრიბნენ, ჭოხონელიძე ვარჯიშზე საერთოდ არ გამოჩენილა. ოფიციალურად ჯერ არ წასულა, მაგრამ ფაქტია, რომ იგი გუნდში არ იმყოფება.

თბილისის „ლოკომოტივიდან“ მცველი მიხეილ ქობულაძე და თავდამსხმელი ლევან შავგულიძე რომ აპირებდნენ „კოლხეთში“ მიბრუნებას, ეს ჯერ კიდევ შარშან მოგახსენეთ. ქობულაძე და შავგულიძე უკვე გუნდში არიან და ვარჯიშობენ.

სრული დატვირთვით ემზადებიან ტრავმამოშუშებულნიც, გელა ფანჩულიძე და შალვა ჩხენკელი.

გია ტყებუჩავას აზრი ასეთია:

— თუ რაღაც არ მოხდა, ალბათ არავის დავიმატებთ. ის კი არა, იქნებ გავუშვათ ფეხბურთელები. რა საჭიროა გაბერილი შემადგენლობა. გუნდში 20-22 ფეხბურთელი სრულიად საკმარისია. ამ დღეებში კლუბის კრება ჩავატარეთ და მოთამაშეებს კატეგორიულად დაუყენე საკითხი — შეალავთები არავის გექნებათ, დაიმახსოვრებთ, ითამაშებთ, თუ არა და გუნდიდანაც წახვალთ-მეთქი.

კოლხები ჯერჯერობით ფოთში ღა მალთაყვაში ემზადებიან, თუმცა შარშანდელივით უცხოური შეკრება აქვთ დაგეგმილი.

თუ გახსოვთ შარშან ფოთელები ბაკურიანში იყვნენ, შემდგომ კი ორ კვირით ბულგარულ პატარა ქალაქ ზღვისპირა ნესებრს გაეგზავნენ. შეიძლებოდა, ეს წლეულსაც გამეორებულიყო, მაგრამ ჯერჯერობით ბაკურიანი გამოირიცხა, აი, ბულგარეთში კი აუცილებლად გაივლიან მზადებას.

— გადაწყვეტილია, ბულგარეთში თვის ბოლოს გავემგზავრებით თითქმის 20-დღიან შეკრებაზე. ადგილი, სადაც გუნდი იცხოვრებს, ჩვენთვის ნაცნობია. ნესებრში „კოლხეთი“ აქამდეც იყო თქვა „კოლხეთის“ ვიცე-პრეზიდენტმა თენგიზ ქოიავამ.

გიორგი ვაშაკიძე

იმედი ისტორიამდე

საშობაო არდადეგებზე მყოფი თბილისის „არსენალი“ საქართველოს მეთერთმეტე ეროვნული ჩემპიონატის მეორე ეტაპისთვის მზადებას დღეს განაახლებს. ავლაბრელები დეკემბრის ბოლოს სპორტის სასახლეში გამართულ ზაზა ბენდელიანის სახელობის მინი-ფეხბურთის ტურნირში მონაწილეობდნენ და მას შემდეგ აღარ უვარჯიშიათ. ფეხბურთელებმა შობაახალწელიწადს ორი კვირა შეისვენეს, გუშინ კი მთავარი მწვრთნელის მამუკა გეგეჭკორის ხელმძღვანელობით „ისნის“ სტადიონზე შეიკრიბნენ და გადაწყვიტეს, მზადება გაეგრძელებინათ.

უპატრონოდ მყოფი „არსენალის“ შემადგენლობაში არდადეგების განმავლობაში ცვლილება არ მომხდარა. ოფიციალურად გუნდიდან ჯერჯერობით ირაკლი თოგრამაძე, თემურ ჩლაიძე და ბორის გონჩაროვი წავიდნენ. ახალწვეულებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია — უფულო გუნდში თამაშის მსურველები, ბუნებრივია, არ გამოჩენილან.

ასეთ მდგომარეობაში ყოფნის მიუხედავად, მამუკა გეგეჭკორი მაინც ოპტიმისტურად არის განწყობილი. გუნდის ყოფილი პრეზიდენტი ჯონი ფირცხალაიშვილი ახალი სპონსორის ძიებაშია, აქვს კიდეც რამდენიმე ვარიანტი და უახლოეს მომავალში მათგან საუკეთესოს აარჩევსო, უთქვამთ მწვრთნელისთვის თავდაცვის სამინისტროში. „არსენალსაც“ სხვა რა დარჩენია, მოთმინებით ელის ახალ პატრონს.

მის გამოჩენამდე ფეხბურთელები მზადებას შეუდგებიან. დღეში ერთხელ ვივარჯიშებთ, ორჯერადის დიდი სურვილი კი გვაქვს, მაგრამ პირობები არ გვიწყობს ხელს, ზოგიერთ მათგანს სტადიონზე მოსასვლელი მგზავრობის ფულიც კი არ აქვსო — გვითხრა გუშინ გეგეჭკორმა.

ალბათ, იმასაც იკითხავთ, ახალი სპონსორი თუ არ გამოჩნდა, მაშინ რა იქნებაო? ღმერთმა ნუ ქნას და ეს თუ მოხდა, მაშინ „არსენალი“ მეორე ეტაპზე მწვრთნელ-ფეხბურთელების მონდომებით ალბათ მაინც ითამაშებს, თუმცა პირველი ლიგიდან გავარდნა რომ არ ასცდება, ეს ცხადზე უცხადესია. მერე კი „არსენალი“ ალბათ ისტორიის კუთვნილება გახდება.

ვანო ოძროგირიძე

გოგრიჭიანი ნიშნიში რჩება

ნიშნი ნოვგოროდის „ლოკომოტივში“ შარშანდელი სეზონის შემდეგ გაურკვეველი სიტუაცია იყო. კლუბში ფინანსურმა კრიზისმა იძალა და მწვრთნელ-ფეხბურთელობა ინტენსიური მზადების დაწყებას ვერ ახერხებდა. ვარჯიშები მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებდა. ასეთ დროს კი ვეტერანმა გოჩა გოგრიჭიანმა განმარტება და სხვა ვარიანტების ძებნა არჩია. თუმცა ნოვგოროდელებს მალე ხელი მოემართათ და ჩვენებურმაც კვლავ „ლოკომოტივის“ ბაზას მიაკითხა. მთავარ მწვრთნელ ვალერი ოჭჩინკოვთან საქმიანი მოლაპარაკების შემდეგ გოგრიჭიანი თანაგუნდელებს შეუერთდა და სავარჯიშო პროცესში ჩაერთო.

ხვიჩა სანიკიძე

ტორპედო უცხოეთში, ნაკრები ქუთაისში

მოგეხსენებათ, ქვეყნის იმ რჩეულ 8 გუნდს, რომლებმაც გაზაფხულზე მეთერთმეტე ეროვნულის მედლებისთვის უნდა იბრძოლონ, თავში „ტორპედო“ უდგას და ბევრი მიხვედრაც არ უნდა, ქუთაისელები ამ პოზიციების ბოლომდე შენარჩუნებას შეეცდებიან. ამის ყველა წინაპირობა არსებობს და ტორპედოელებიც გამალებით ემზადებიან მომავალი ორთაბრძოლებისთვის.

ერთი კვირაა, რაც გუნდი სალორიის ბაზაზე შეიკრიბა და წვრთნას შეუდგა.

„ტორპედოს“ უახლოეს და სამომავლო გეგმებზე ქუთაისელთა მთავარ მწვრთნელს და ეროვნული ნაკრების ერთ-ერთ თავკაცს **დავით ყიფიანს** *ვესაუბრეთ:*

გაგუშა დარჩია ქუთაისიდან

გოგიაშვილი, ახვლედიანი, ხვადაგიანი, თურმანიძე და შეყრილაძე გუშინდელი ვარჯიშისას

— თქვენ ზუსტად ნახევარი წლის წინ მიხვედით „ტორპედოში“. ეს დიდი დრო არ არის, მაგრამ მწვრთნელის მუშაობის შესაფასებლად ხანდახან ნაკლებიც კმარა. გვითხარით, კმაყოფილი ხართ ქუთაისში ექვსთვიანი მოღვაწეობით?

— რა უნდა ვთქვა. შედეგი სახეზეა. „ტორპედომ“ ეროვნული ჩემპიონატის პირველი ეტაპი პირველ ადგილზე დასრულა, თუმცა მეტის მიღწევაც შეიძლებოდა. მე აქ დაგროვილ ქულებს ვგულისხმობ. მაგრამ ფეხბურთში მოულოდნელობებს ვერ გაექცევი.

— ქუთაისში „ხობთან“ დაკარგული ქულები გაქვთ მხედველობაში?

— „ხობთანაც“ და საერთოდ. ბოლო ორ თამაშში გუნდმა რომ მოისუსტა, ამას თავის მიზეზი ჰქონდა. სიმართლე გითხრათ, ჩემთვის ეს მოულოდნელი არ ყოფილა. მოგეხსენებათ, ჩვენ უეფას თასზე ვმონაწილეობდით და სეზონისთვის მზადება ფორსირებულად ივნისის თვეში დავიწყეთ. ყველა კანონით, ასეთი ბაზადების შემდეგ გუნდი 3-4 თვეს ინარჩუნებს სასურველ, ოპტიმალურ ფორმას, შემდეგ კი იწყება ე.წ. ჩავარდნის პერიოდი. რა თქმა უნდა, „ხობთან“ ფრეს ეს სულაც არ ამართლებს, ქულების დაკარგვის უფლება არ გვქონდა, მაგრამ რას იზამ. ამ თამაშში ფსიგოლოგიური მომენტიც იყო — მატჩის დაწყებამდე გასახდელში ბიჭები იმას გაიძახოდნენ, რაც შეიძლება მეტი შევაგდოთო, ზედმეტად თავდაჯერებულნი იყვნენ. დავტუქსე კიდევაც ისინი ასეთი განწყობისთვის. მერე ფორტუნას მომენტიც... 90 წუთი შენ განუწყვეტლივ უტევ, უაქრავ საგოლე მომენტს ქმნი, მეტოქე საკუთარ ნახევარზეც კი ერთხელაც არ მოაწვდის აუტს. წარმოიდგინეთ... არადა, პირველ ტაიმში ერთი ბურთი მაინც რომ გაეტანა ჩვენს გუნდს, შეიძლება მატჩი ასტრონომიული ანგარიშითაც დამთავრებულიყო. „დილასთანაც“ დასანანი ორი ქულა დავკარგეთ. 2:0-ს ვიგებდით და ბოლო ათ წუთში ვაგფლანგეთ დიდი უპირატესობა. მე გეთანხმებით და გავიმეორებ, არც „ხობთან“ და არც „დილასთან“ ქულების დაკარგვის უფლება არ გვქონდა, მაგრამ იმასაც გეტყვით, ასეთი კატაკლიზმები „ტორპედოზე“ ბევრად მაღალი კლასის გუნდებსაც ახასიათებს.

— გუნდის ცალკეულ რგოლებს როგორ დაახასიათებდით?

— მე გუნდში მოსლისთანავე გავაცხადე, რომ ყველაზე დიდი პრობლემები დაცვაში გვექნებოდა. მუშაობაც იქითკენ წარვმართეთ, რომ უკანა ხაზში არსებული ხარვეზები გამოგვესწორებინა. არ დავმალავ, არის გარკვეული ძვრები. ჩემპიონატში და თასზე სულ ხუთი ბურთი გავუშვით, მაგრამ ისიც ხომ მართალია, სად ვთქვათ ჩირიჩის და ნიკოლაიდისის წინააღმდეგ თამაში და სად ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე გუნდების თავდამსხმელთა ნეიტრალიზაცია.

დიახ, ძვრები შეინიშნება და, არა მარტო დაცვაში. გუნდი რომ 14 თამაშში 33 ბურთს შეაგდებს, კარგი შედეგია. მაგრამ პოტენციალ უფრო დიდია, შუა ხაზშიც და თავდასხმაშიც „ტორპედოს“ კიდევ შეუძლია მომატება.

— თუ თვლით, რომ გუნდში მეკარის პრობლემაა?

— მეკარის პრობლემა „ტორპედოში“ კი არა, საერთოდ საქართველოშია. ნათქვამია, მეკარე — ნახევარი გუნდიაო. გეთანხმებით, ისეთი ბურთებიც გავუშვით, რომლებიც არ უნდა გაგვეშვა, მაგრამ ხობში რომ გაგვიტანეს ისეთზე აბა, რა გითხრათ. ჩვენი მეკარე კი არა, სამი ოლივერ კანი რომ მდგარიყო, საქმეს მაინც არ ეშველებოდა.

— უეფას თასზე „ტორპედოს“ გამოსვლაზე რას გვეტყვით?

— ესტონური „ლანტანა“, პირველი ეტაპი, იოლად გავიარეთ. აი, აეკ-თან კი მართლა სამარცხვინო მარცხი ვიწვნიეთ. ამ მარცხს ობიექტური მიზეზებიც მოეძებნება და სუბიექტურიც. პირდაპირ გეტყვით, მე პირადად შინაგანად ვგრძნობდი, რომ მაგ გუნდის გავლა ძალიან გაგვიჭირდებოდა, მაგრამ იმას კი ვერ ვიფიქრებდი, რომ 1:6 წავაგებდით.

ქუთაისში ჩვენ ტოლად ვეთამაშეთ ბერძნებს. ცოტა იღბალი რომ დაგვყოლოდა, ეგებ მოგვეგო კიდეც თამაში, თუმცა პირველი მატჩის ლოგიკური შედეგი, ალბათ, მაინც ფრე უნდა ყოფილიყო, ჩვენ კი გახსოვთ, მეკარისა და დაცვის შეცდომით ბოლო წუთზე წავაგეთ.

ბევრჯერ მითქვამს, საუბედურად თუ სამწუხაროდ ჩვენ ამ რანგის ტურნირებში მაღალ დონეზე გამოსასვლელად ჯერ მზად არა ვართ. არა ვართ, მაგრამ ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ უკეთესად მოვემზადოთ და ასეთი მარცხები აღარ განმეორდეს. ეს კი ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული — ეროვნული ჩემპიონატის დონეზეც, მატერიალურ შესაძლებლობებზე, სამედიცინო მომსახურებაზე და კიდევ ძალიან ბევრზე...

— გუნდში ცვლილებები ხომ არ მომხდარა, ან მოსალოდნელი ხომ არ არის?

— არა, ახალი არაფერია. მთლიანად შევინარჩუნეთ შემადგენლობა, მოწვევით არავინ მოგვიწვევია. თუმცა, არ დაგიმალავთ, გვქონდა ფეხბურთელთა გარკვეულ ჯგუფთან მოლაპარაკება, მაგრამ ბოლოს მაინც ვამჯობინეთ ძველი შემადგენლობით გვებრძოლა მიზნის მისაღწევად.

— ეს მიზანი ჩემპიონობაა?

— მიმიხვდით. ვნახოთ, მე მჯერა, რომ „ტორპედოს“ დღევანდელი შემადგენლობითაც ძალუძს ახალი სიმაღლის დაპყრობა. თუ ჩვენ დასახულ მიზანს მივაღწევთ, ივნისის თვეში სერიოზულად ვიფიქრებთ 3-4 მაღალი დონის ფეხბურთელის მოყვანაზე, არ არის გამორიცხული უცხოელებიც შევიძინოთ.

— რამდენადაც ვიცი, კლუბის ხელმძღვანელობამ უსასყიდლოდ გაათავისუფლა „ტორპედოდან“ გასული ზაფხულიდან ტრანსფერზე მყოფი მოთამაშეები კოტე მეტრეველი, გიორგი მაზანიშვილი, არჩილ ჩხაბერიძე.

— მართალია. ისინი თავისუფალნი არიან გუნდიდან.

— კახა ჯანაშიაც?

— კახა ჯანაშიას პირველ ეტაპზე საერთოდ არც უვარჯიშია და არც უთამაშია ტრავმის გამო. ისიც გავუშვით.

— ტყუპებზე ვისო და სოსო გიგიაძეებზე მინდა გკითხოთ. ქუთაისელი ბიჭები არიან. მათ პერსპექტიულობას ყველა სპეციალისტი აღიარებს. ტყუპები „დინამოდან“ წასულან და ჯერჯერობით უგუნდოდ არიან. ნუთუ „ტორპედოში“ მათთვის ადგილი არ მოიძებნება, ან გაგესინჯათ მაინც...

— არა, გასინჯვა რად უნდათ. მანდ სხვა პრობლემაა. ჩვენ არ ვიცით, ისინი „დინამოდან“ წამოვიდნენ თუ არა, ან რა კონტრაქტი აკავშირებთ „დინამოსთან“. მე პირადად არა ვარ საქმის კურსში.

— მერაბ ძოძუაშვილიც ქუთაისელია. ჩემპიონატის პირველ ეტაპზე „სამგურალში“ თამაშობდა. მისთვის „დინამო“, „ბათუმი“, „ვიტ ჯორჯია“ იკლავენ თავს. ეგ კი არა, 19 წლის ფორვარდით კიევის „დინამოც“ დაინტერესებულა...

— ვერაფერს გეტყვით. ძოძუაშვილის თამაში მე არ მინახავს.

— გასაგებია, თქვენ „ტორპედოში“ ძლიერ ხართ დაკავებული, მაგრამ თქვენს გარდა გუნდში 4 მწვრთნელია და სასელექციო მუშაობის უკეთ წარმართვაც შეიძლება. რატომ უნდა მიდიოდეს ძოძუაშვილი სხვა გუნდში?

— არა, მაგ ბიჭის თამაში არ მინახავს. აი, დაიწყება თამაშები და გამოჩნდება. ისე, ძოძუაშვილია და...

— ახლა „ტორპედოს“ უახლოეს გეგმებზე გვითხარით...

— აბა, როგორ გითხრათ. ერთი კვირაა ვვარჯიშობთ. 15 იანვარს თურქეთში ვაპირებთ გამგზავრებას ათდღიან შეკრებაზე. მხოლოდ ვაპირებთ. მართალია, ანთალიაში ჩასვლაზე თანხმობა უკვე მიღებული გვაქვს, მაგრამ პირობები არ არის დაკონკრეტებული. რად გვინდა, ჩავიდეთ ანთალიაში, ხუთვარსკვლავიან სასტუმროში ვიცხოვროთ და ვარჯიშის პირობები არ გვქონდეს. მე მირჩევნია, სამვარსკვლავიან სასტუმროში ცხოვრება და დილიდან საღამომდე ჩემს განკარგულებაში იყოს სავარჯიშო მოედანი. თანაც სპარინგ-პარტნიორებს გააჩნია. სამი საკონტროლო მატჩი მაინც ხომ უნდა ვითამაშოთ. მე მირჩევნია „ჰამბურგთან“ და მის დარ კლუბებთან მოგვიწიოს დაპირისპირება. ვნახოთ. თურქი მენეჯერისგან დაპირებები არის, ოღონდ ჩვენ გარანტიებსაც მოვითხოვთ.

თურქული შეკრების შემდეგ რამდენიმე დღით ქუთაისში დავბრუნდებით. 3 თებერვალს „ტორპედო“ ბულგარეთში, შავიზღვისპირა საკურორტო ალბენაში გაემგზავრება. ამ ქალაქში 6-იდან 13 თებერვლამდე საკმაოდ პრესტიჟული საერთაშორისო ტურნირი იმართება. წინასწარი ცნობებით, ამ ტურნირში ჩვენთან ერთად ბულგარული „ლევსკი-სპარტაკის“, „ბოტევის“, იუგოსლავური „ცრვენა ზვეზდას“ გარდა მოსალოდნელია ესპანური და იტალიური გუნდების მონაწილეობა. ძალების შემოწმების კარგი შესაძლებლობა გვეძლევა. ისე, ალბენაში ტურნირის დასრულების შემდეგ ოთხი დღეც დავრჩებით. იქ საუცხოო სავარჯიშო პირობებია.

ისევ და ისევ წინასწარი ცნობით, 25 თებერვალს პირველ ოფიციალურ მატჩსაც გავმართავთ — თასის მერვედფინალში „აკადემიასთან“ გვექნება თამაში.

29 თებერვალს ქუთაისში სუპერთასის მატჩია დანიშნული. „დინამოს“ ორგანიზაციულ საკითხებზე უკვე შევუთანხმდით. თამაში გაიმართება, რა თქმა უნდა, თუ ქვეყანა არ დაინგრა და საშინელი კლიმატური პირობები არ დაერთო. რამდენადაც ვიცი, სუპერთასიდან რამდენიმე დღეში ეროვნული ჩემპიონატიც განახლდება.

— „ტორპედოს“ საჩემპიონატო მიზანზე გვითხარით, კიდევ რას ელით მეორე ეტაპისგან?

— დარწმუნებული ვარ, გათამაშება საინტერესოდ გაგრძელდება. დაბალი მატჩები იქნება. მინდა რომ ყველაფერი კეთილსინდისიერ ბრძოლაში და ობიექტური მსაჯობით გადაწყდეს. ძალიან მძიმე თამაშები გველის. „დინამო“ გაძლიერდა, „ბათუმს“, „ვიტ ჯორჯიას“, „კოლხეთს“ ჰყოფნით ამბიციები, ხელწამოსაკრავი არც სხვები იქნებიან. ერთი სიტყვით, „ტორპედოსთვის“ ყველა მატჩს გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება.

— რევაზ ძოძუაშვილთან ერთად ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელად თქვენი დანიშვნის შემდეგ გაჩნდა ეჭვები — ყიფიანი „ტორპედოში“ დიდხანს არ გაჩერდებაო...

— ყოველად უსაფუძვლო ეჭვია. ძალიან ცუდია, რომ ასეთ ჭორებს ავრცელებენ. მე „ტორპედოში“ დარჩენას და მუშაობის გაგრძელებას ვაპირებ.

— კი მაგრამ, ხომ შეიძლება ნაკრებთან მუშაობამ კლუბში შეგიშალოთ ხელი, ან პირიქით...

— ყოველ შემთხვევაში, სექტემბრამდე ამის საშიშროება არ არსებობს.

— ამბობენ „ტორპედოს“ მესვეურები წყალტუბოს „სამგურალსაც“ გაუწევენ შეფობასო, ანუ „სამგურალი“ „ტორპედოს“ საბაზო გუნდი გახდებაო...

— მაგ თემაზე საუბარი დაწყებულია. წყალტუბოს გამგებელი ბატონი მირზა ქორქაშვილი ყოველმხრივ ცდილობს „სამგურალს“ ორ-სამ გუნდში მაშოს. ჩვენ შევეცდებით დავეხმაროთ, როგორ და რა მიმართულებით [illegible] შევთანხმდებით [illegible] ბევრი ინტერპრეტაცია აქვს...

— „ინტერზე“, „ტორპედოს“ ფარმ-კლუბზე რას იტყვით?

— მაქსიმალურად ვეცდებით, ჩვენს მეორე გუნდს კარგი პირობები ჰქონდეს. დღევანდელი ყოფით, რა თქმა უნდა, უკმაყოფილო ვარ. ბევრი რამაა გასაკეთებელი. ალბათ, ყველაფერს მოვევლება და სამარქაფო გუნდიც იმ დონისა გვეყოლება, როგორიც კლუბს შეეფერება. ძირავარია მატერიალურ ტექნიკური ბაზა განმტკიცდეს, იყოს ნორმალური საცურვიშო პირობები, სათამაშო მოედანი.

— სათამაშო მოედანი ახსენეთ. „ტორპედოს“ სტადიონზე ბევრი გაკეთდა, კეთდება და პერსპექტივაში ხომ ევროპული დონის არენად უნდა იქცეს.

— გეთანხმებით. კლუბის მესვეურები არაფერს იშურებენ არც გუნდისთვის და არც სტადიონის ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

ჩემპიონატის მეორე ეტაპის დაწყებამდე სტადიონის ტრიბუნები მოლიანად შეიმოსება ინდივიდუალური სკამებით. მოკლე ხანში სტადიონს ხელოვნური განათებაც ექნება. შვეიცარიიდან ჩამოტანილი 250 ათასი დოლარის ღირებულების განათების სისტემის მონტაჟი, ფაქტობრივად, დასრულების სტადიაშია. უახლოეს დღეებში ველით პოლანდიიდან გამოგზავნილ ბალახის თესლს. ასე რომ, მინდვრის საფარიც შეიცვლება. კიდევ ბევრ რამეს აპირებენ სტადიონის კეთილმოსაწყობად კლუბის მესვეურები, ოღონდ ამაზე შემდგომში.

ერთი სასიხარულო ამბავი უნდა ვამცნო ქუთაისელ ფეხბურთის მოყვარულთ. ფაქტობრივად, გადაწყვეტილია, რომ მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის რამდენიმე თამაშს ეროვნული ნაკრები ქუთაისში ჩაატარებს. ამჟანაგურ მატჩებს რაც შეეხება, ხომ იავისთავად. დამეთანხმებით, ეს კარგი საჩუქარი იქნება და ქუთაისელი ქომაგნი იმსახურებენ კიდეც მას.

— ნაკრებამდეც მივედით. დრო გადის, მაგრამ ეროვნული ნაკრების სათავეში ორი კაცის, თუნდაც თანაბარი უფლებებით, ყოფნას, ბევრი ვერ ეგუება. არსებობს აზრი, რომ ეს პასუხისმგებლობის ასაცილებლად გაკეთდა...

— იცით, მე არასერიოზულად მიმაჩნია ამ თემაზე საუბარი. რა მოხდა? ისმის კითხვები, ვის მოვთხოვოთ პასუხიო. აქამდე ვის მოვთხოვეს? მე და რეზოს არაფრის გვეშინია. ორივენი მზად ვართ პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე ავიღოთ, წარმატების და წარუმატებლობის შემთხვევაშიც. ერთხელაც ვიტყვი, საქართველოს ნაკრების პროგრამა მაქსიმუმი შესარჩევ ციკლში მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური სტადიის საგზურის მოპოვებაა, პროგრამა მინიმუმი კი, ბუნებრივია, უფრო მოკრძალებული — არ შევრცხვეთ ქართველ გულშემატკივართა წინაშე, ჩამოყალიბდეს ისეთი ბრძოლისუნარიანი, შეკრული კოლექტივი, რომელიც მაღალი ამოცანების გადასაჭრელად იბრძოლებს, გულშემატკივრებს გაახარებს.

— თქვენი გუნდიდან, „ტორპედოდან“ საკვიპროსოდ თუ იხმობთ ვინმეს ნაკრებში?

— აუცილებლად. ნაკრების კანდიდატთა სიაში ვახტანგ ხვადაგიანი და ზურაბ იონანიძე უკვე ირიცხებიან. ამათ, შესაძლოა, კახა ჩხეტიანი და დავით ჯანაშია დაემატონ. ეს ამ ეტაპზე. მოსავალში კი ნაკრებში „ტორპედოს“ წარმომადგენლობა შეიძლება უფრო გაიზარდოს. ყველაფერი ფეხბურთელებზე იქნება დამოკიდებული. გამოიჩენენ თავს — მოხვდებიან ნაკრებში. ამას მარტო ტორპედოელთა მისამართით როდი ვამბობ. შეუმჩნეველი არცერთი გუნდის ღირსეული მოთამაშე არ უნდა დარჩეს.

იუზა კაციტაძე
ქუთაისიდან

P.S. როგორც გუშინ საღამოს შევიტყვეთ, „ტორპედოს“ საწვრთნელ გეგმაში კორექტივების შეტანა გახდა საჭირო. კერძოდ, ვარაუდობენ, რომ ქუთაისელთა ანთალიაში გამგზავრება ერთი კვირით გადაიწევს. ამასთან „ტორპედო“ ბულგარეთში პირდაპირ თურქეთიდან გაემგზავრება.

საშუალოზონო მიდი-მოდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

I–VIII	გასხვისებულები	ახალწვეულები	მატჩები
ტორპედო *დავით ყიფიანი*	მაზანიშვილი(სიმონი),ჩხაბერიძე(თავისუფალიაგენტი), კ.ჯანანია(თავისუფალიაგენტი)		
დინამო *ოთარ კორძაია*	ამვეთია(ალანია,რუსეთი),ალექსიძე(წელსი,ინგლისი),ლომაია(ლოკომოტივი),ზირაქიშვილი(სპარტაკი,ვარნა,ბულგარეთი),თ.კობიაშვილი(?)	ჩიხრაძე, გოგიჩაიშვილი (ლოკომოტივი), კერძეკაძე (ქიაფაზი, აზერბაიჯანი), ქემოკლიძე, ო. გველესიანი, ზამთარაძე, რუხაძე, მიქაძე (თბილისი), დათუაძე (სიმონი), შელია (მანჩესტერ სიტი, ინგლისი)	
ბათუმი *ვალი კარნეფალე*		ჩლაიძე,თარგამაძე(არსენალი)	
კოლხეთი *გია ტყემუშავა*	ქოხონელიძე (?)	მ. ქობულაძე,შავგულიძე(ლოკომოტივი)	
ვიტ ჯორჯია *სერგო კოტრიკაძე*		ი.ხაჭაპურიძე,ძოძუაშვილი(სამგურალი)	
სიმონი *სპარტაკ არჩვაძე*	დათუაძე(დინამო)	მაზანიშვილი(ტორპედო),ისიანი(თბილისი)	
დილა *შერაბ კოქლაშვილი*			
იბერია *სოსო ფერეიძე*			

IX–XVI	გასხვისებულები	ახალწვეულები	მატჩები
ლოკომოტივი *რევაზ ძოძუაშვილი*	ჩიხრაძე,გოგიჩაიშვილი(დინამო),მ.ქობულაძე,შავგულიძე(კოლხეთი)	ლომაია(დინამო),კვარაცხელია(თბილისი),ხუროძე(სკონტო,ლატვია),ჯუღელი(?)	
გორდა *ალსინ ალიდაშვილი*			
თსუ *თენგიზ კაკაია*			
მერანი *უშწერინგლოდ*			
თბილისი *რამაზ შუქლიაძე*	ქემოკლიძე,ო. გველესიანი, ზამთარაძე,რუხაძე,მიქაძე (დინამო), კვარაცხელია, ზ. ხიზანიშვილი (ლოკომოტივი),აბრამიძე(ტორპედო,მოსკოვი,რუსეთი),ისიანი(სიმონი),ლ.მელქაძე,ა.ჩიხრაძე(?), ვ.გაგუა(სკონტო,ლატვია)	გოხაროვი(არსენალი)	
სამგურალი *ალსინ ბზიკაძე*	ი.ხაჭაპურიძე,ძოძუაშვილი(ვიტ ჯორჯია)		
ხობი *ფრიდონ ვოცარიძე*			
არსენალი *მაჩუკა გაგეჭკორი*	ჩლაიძე,თარგამაძე(ბათუმი),გიორგოვი(თბილისი),ლაცაბიძე(სპარტაკი,ვარნა,ბულგარეთი)		

შენიშვნა: ტრანსფერთა დიდი ნაწილი საბოლოო არ არის

მისხეილ მესხი იკაზმება

„ლოკომოტივი“ ახალ-ახალი ამბებით ანებივრებს ქართულ საფეხბურთო სამყაროს. დღე არ გავა, სარკინიგზო გუნდის ბედ-იღბლით დაინტერესებულ პირთა ყურამდე რაიმე მნიშვნელოვანი ინფორმაცია არ მივიდეს. რევაზ ძოძუაშვილის მთავარი მწვრთნელობა, ახალი ფეხბურთელების მოწვევა, გეგმაზომიერი საწვრთნელი პროცესი — ეს ყველაფერი აქამდეც იცოდა „სარბიელის“ მკითხველმა, ახლა კი ერთ სიახლესაც გამცნობთ: ამიერიდან რკინიგზელთა გუნდთან ერთად წარსულში ცნობილი ქართველი ფეხბურთელის, ეროვნული ნაკრების ყოფილი წევრის, დავით ყიზილაშვილის გვარსაც მოიხსენიებენ.

ყიზილაშვილი ფეხბურთში მწვრთნელად დებრუნებას აპირებს და ამ პროფესიისთვის საფუძველს ჩაყრას ბავშვებთან მუშაობით იწყებს — იგი უკვე მოლაპარაკებია სარკინიგზო გუნდის შეხვედრებს და „ლოკომოტივის“ საფეხბურთო სკოლაში 1985 წელს დაბადებულ მოზარდებს ჩაუდგება სათავეში. ვინ იცის, ორიოდ წელიწადში ქართულ ფეხბურთს ყიზილაშვილის გაზრდილი ნიჭიერი ფეხბურთელიც შეემატოს.

ეს საგუნდო სტრუქტურაზე და მკითხველისთვის უინტერესო არც ვაკეში მდებარე „მიხეილ მესხის“ სახელობის სტადიონზე მიმდინარე მშენებარე პროცესები იქნება. როგორც რკინიგზელთა ვიცე-პრეზიდენტმა ტარიელ ღვაბერიძემ „სარბიელთან“ საუბარში განაცხადა, „მიხეილ მესხი“ ძირითადად აპრილისთვის მოიკაზმება და ექსპლუატაციაში შევა. აქ საუბარი არ არის მთლიანად სტადიონის აშენებაზე — რა თქმა უნდა, „მიხეილ მესხზე“ სამუშაოთა ბოლომდე დამთავრებას აპრილამდე დარჩენილი დრო არ ეყოფა, მაგრამ როგორც დაგეგმილი იყო, მინდვრის საფარი და ტრიბუნების გარკვეული ნაწილი საპრეზიდენტო არჩევნებს სრულ მზადყოფნაში შეხვდება.

საბოლოოდ კი საქართველოსა და ქართულ ფეხბურთს ერთი კოხტა, 32 ან 36 ათასიანი საფეხბურთო სტადიონიც შეემატება.

კონსტანტინე გოგიშვილი





ბადრი კეთილაძის ფოტოები

„ლოკომოტივის“ სტადიონზე ზაფხულში დაწყებული სამუშაოები გრძელდება

„იბერია“ — „კოლხეთი“ 0:1. საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი უმცროსი ვიტალი დარასელიას ამ დარტყმით დაიწყო

პირველი ნაბიჯი

№7

ილია ჭრელაშვილი

მოსკოვური „ჩანახატები“

ახლა გაგაცნობთ ორ ოფიციალურ დოკუმენტს.

20 თებერვალს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას მიმართა გამოუგზავნა სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომმა. მიმართვაში ნათქვამია:

„პატივცემულო ამხანაგებო, სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომი შეშფოთებულია იმ არაოფიციალური ცნობებით, რომლებიც მივიღეთ მასობრივი ინფორმაციის სხვადასხვა საშუალებებით, აგრეთვე ცალკეულ პირთაგან თქვენი ფედერაციის დამფუძნებელი ყრილობის გადაწყვეტილებათა თაობაზე. ამ ცნობების მიხედვით ყრილობამ გადაწყვიტა რესპუბლიკის არც ერთმა ოსტატთა გუნდმა მონაწილეობა არ მიიღოს 1990 წლის საკავშირო შეჯიბრებებში, რომლებსაც სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაცია მართავს. ამასთან, ამ გადაწყვეტილების ერთ-ერთ მიზეზად დასახელებულია ის, რომ ჩვენი ქვეყნის ზოგიერთ რეგიონში ამჟამად რთული პოლიტიკური ვითარება სუფევს. აღმასკომი თქვენგან მოელის სასწრაფო ოფიციალურ ინფორმაციას ყრილობის გადაწყვეტილებათა შესახებ, რათა სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ შესაბამის ზომებს მიმართოს. შეგახსენებთ, რომ თუ ყრილობის გადაწყვეტილება ფაქტობრივად ნიშნავს სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციაში რესპუბლიკის ფედერაციის წევრობის შეწყვეტას, შესაბამისად ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის წესდების 41-ე მუხლის პირველი პუნქტისა, სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაცია და მის შემადგენლობაში შემავალი კლუბები ვერ შეძლებენ ფიფას აღმასკომის თანხმობის გარეშე მხარი დაუჭირონ ურთიერთკავშირს საქართველოს სსრ ფეხბურთის ფედერაციასთან და მის კლუბებთან, ეს კი ნიშნავს, რომ ვერ ჩაატარებენ მასთან მატჩებს.

იგივე დებულება მოქმედებს ფიფას წევრი ყველა სხვა ფედერაციის მიმართაც.

ძვირფასო მეგობრებო, გამოვთქვამთ იმედს, რომ თქვენგან მივიღებთ ინფორმაციას ჩვენს შორის ტრადიციული კეთილგანწყობილი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ, რომელსაც მრავალი ათეული წლის მანძილზე ასეთი სიკეთე მოჰქონდა საბჭოთა ფეხბურთისთვის“.

სპორტსაზოგადოება „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს განცხადებაში ვკითხულობთ:

„ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში ესოდენ რთულ, გადამწყვეტ მომენტში მოგიწოდებთ არა კონფრონტაციის, არამედ საღი გონებისაკენ. მოდით, შევეცადოთ გავუგოთ ერთმანეთს, ყველა დაინტერესებული მხარე მოსალაპარაკებლად მიუჯდეს მაგიდას. შუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ დღეს არ არსებობს ისეთი საკითხები, რომელთა გადაჭრა არ შეიძლება კეთილი ნებით, ურთიერთსასარგებლოდ. „დინამოს“ ცენტრალური საბჭო მზადაა ყველაფერი გააკეთოს, რათა ეს დიალოგი კონსტრუქციული და სასარგებლო გამოდგეს. დღევანდელ ეტაპზე ძირფესვიანი ნგრევა კი არა არის საჭირო, არამედ ოპტიმალურ გადაწყვეტათა ძიება საზოგადოებრიობის ფართო ფენების აქტიური მონაწილეობით. ეს აამაღლებს კერძოდ ქართული და მთლიანად საბჭოთა ფეხბურთის რეპუტაციას განსაკუთრებით მსოფლიო ჩემპიონატის წელიწადს, სადაც ქართველ ფეხბურთელთა მონაწილეობაც არის ნავარაუდევი“.

დიალოგი არ შედგა.

მიმართვაც და განცხადებაც უპასუხოდ დარჩა.

თბილისის „დინამოს“ და ლანჩხუთის „გურიას“ სსრკ ფეხბურთის ფედერაციაში განაცხადი არ წარუდგენიათ — რესპუბლიკის სხვა გუნდებთან ერთად საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში ჩაებნენ.

მაგრამ განზე გადგა სოხუმის „დინამო“.

როგორც პოლიტიკაში, აქაც „აფხაზური კოზირი“ გათამაშდა.

სოხუმის დაცემა

სსრკ ჩემპიონატის პირველ ლიგაში სოხუმის „დინამოს“ მონაწილეობა 17 მარტს გადაწყდა — აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის, სოხუმის „დინამოს“ საფეხბურთო კლუბის საბჭოს, კლუბის დამფუძნებელი ორგანიზაციების, ალკკ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის, აფხაზეთის სპორტსახკომის და სპორტსაზოგადოება „დინამოს“ საოლქო საბჭოს წარმომადგენელთა ერთობლივ გაფართოებულ სხდომაზე. სხდომას 99 კაცი დაესწრო, კენჭისყრაში მონაწილეობდა 86. 71-მა ხმა მისცა საკავშირო ჩემპიონატში გამოსვლას, 13-მა პროტესტის ნიშნად კენჭისყრამდე დატოვა დარბაზი (იმავე დღეს გაიმართა სოხუმის „დინამო“. დატოვეა 8 წამყვანმა ფეხბურთელმა, კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა, მეორე მწვრთნელმა და ადმინისტრატორმა).

სოხუმში გამართულ სხდომას ნოდარ ახალკაციც ესწრებოდა.

„გადაწყვეტილება უკანონოა, — განმარტავს ახალკაცი, — ფიფას წესდების თანახმად, რაკი საქართველოს ფედერაცია გამოეყო საკავშიროს, არც ერთ ჩვენს გუნდს უფლება არა აქვს, საკავშირო პირველობაში ითამაშოს. თუ საკავშირო ფედერაცია სოხუმის „დინამოს“ პირველ ლიგაში დაუშვებს, ამით დაარღვევს ფიფას წესდების 41-ე პარაგრაფის პირველ მუხლს. ამის მიუხედავად, არც აფხაზეთის და არც საკავშირო ფეხბურთის ხელმძღვანელობა ამ ნაბიჯს არ მოერიდა. მათ შორის ალიანსი აშკარაა. აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარემ ვლადიმერ მიქაბმამ პირდაპირ თქვა, კოლოსკოვი შეგვპირდა და პირველ ლიგაში გვათამაშებენო... კოლოსკოვსაც ველაპარაკე. მეუბნება, აფხაზეთი ავტონომიური რესპუბლიკაა და თავისი საქმისა თვითონ იცისო. ის კი ავიწყდება, რომ აფხაზეთი სუვერენული რესპუბლიკის — საქართველოს ნაწილია. მოკლედ, როგორც მოეხრიანებათ, ისე ჭრიან და კერავენ. ასე დიდხანს ვერ გაგრძელდება — სამართალმა პური უნდა ჭამოს“.

29 მარტს სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომმა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას „წითელი ბარათი“ უჩვენა, სოხუმის „დინამოს“ კი მწვანე შუქი აუნთო:

„საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ განაცხადა, რომ არ ცნობს სსრკ ფეხბურთის ფედერაციის წესდებას და არ თვლის თავს მის წევრად. მანვე გაავრცელა ინფორმაცია, რომ ქართული გუნდები არ მიიღებენ მონაწილეობას სსრკ ფეხბურთის ფედერაციის ეგიდით გამართულ არცერთ შეჯიბრში. საკითხის დეტალურად განხილვის შემდეგ აღმასკომმა ფიფას წესდებაზე დაყრდნობით მიიღო გადაწყვეტილება ჩამოართვას საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას სსრკ ფეხბურთის ფედერაციის წევრობა. ეს ნიშნავს, რომ ქართულ გუნდებს არც საბჭოთა და არც საზღვარგარეთულ გუნდებთან შეხვედრის უფლება არ ექნებათ. აღმასკომმა განიხილა და დაამყოფილა სოხუმის „დინამოს“ თხოვნა ითამაშოს ქვეყნის ჩემპიონატის პირველ ლიგაში. როგორც სსრკ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვ. კოლოსკოვმა განაცხადა, ეს ნებადართულია ჩვენი ფედერაციის წესდებით.“ („სოვეტსკი სპორტი“. 30.03.1990 წ.).

ამას მოჰყვა საპასუხო რეაქცია: საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საპროტესტო წერილი, იმავდროულად — საქართველოს სპორტსახკომის კოლეგიის განცხადება: „29 მარტს საბჭოთა კავშირის ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომმა ნება დართო სოხუმის „დინამოს“, იასპარეზოს ქვეყნის პირველ ლიგაში, რისი უფლებაც ამ გუნდმა შარშან მოიპოვა.

აღმასკომის გადაწყვეტილებამ მხარდაჭერა ვერ ჰპოვა საქართველოში. ამ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობა იყო ადრეც, როცა აფხაზეთის ფედერაციამ შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღო. მაშინ პროტესტის ნიშნად სოხუმის „დინამოს“ გუნდი დატოვა რამდენიმე სპეციალისტმა და რვა ფეხბურთელმა — სოხუმში შეიქმნა ახალი გუნდი „ცხუმი“, რომელიც საქართველოს ეროვნულ საფეხბურთო ჩემპიონატში იასპარეზებს.

ასეთი ვითარების გამო საზოგადოებრიობა ფიქრობდა, რომ ფეხბურთის საკავშირო ფედერაციის აღმასკომი არ გადადგამდა ნაბიჯს, რომელიც გათიშავდა და განხეთქილებას შეიტანდა საქართველოს საფეხბურთო მოძრაობაში, მით უმეტეს, საკითხის განხილვისას და გადაწყვეტილების მიღებისას მხოლოდ ფეხბურთი როდი იყო ანგარიშგასაწევი.

ითვალისწინებს რა ზემოაღნიშნულს, საქართველოს სპორტსახკომის კოლეგია ფეხბურთის საკავშირო ფედერაციის აღმასკომის ყურადღებას მიაპყრობს იმ გარეგნულად, რომ გადაწყვეტილება მიღებულია საქართველოს, როგორც სუვერენული რესპუბლიკის უფლებების გაუთვალისწინებლად, რაც გარანტირებულია როგორც საბჭოთა კავშირის კონსტიტუციით, ასევე საქართველოს სსრ კონსტიტუციით. ამავე დროს, უგულებელყოფილია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წესდების პირველი პუნქტი, სადაც ჩაწერილია, რომ „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას აქვს სრული უფლება, წარმოადგინოს საქართველოს სპორტული საზოგადოებრიობის ინტერესები ფეხბურთში რესპუბლიკაში და მის ფარგლებს გარეთ. მისი იურისდიქცია ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე“.

აქვე მივაპყრობთ ყურადღებას იმასაც, რომ ფეხბურთის საკავშირო ფედერაციის აღმასკომმა თავის 29 მარტის სხდომაზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ჩამოართვა საკავშირო ფედერაციის წევრობის უფლება. მით უფრო საკვირველია აღმასკომის გადაწყვეტილება სოხუმის „დინამოს“ საკავშირო ჩემპიონატში ჩართვის თაობაზე.

საქართველოს სპორტსახკომის კოლეგია აღნიშნავს, რომ მოკავშირე რესპუბლიკებისადმი ცენტრის ამგვარი დამოკიდებულება იწვევს პოზიციების არავანსაღ დაპირისპირებას, რის გამოც გამოთქვამს პროტესტს“.

პროტესტის ხმამ ადრესატამდე „ვერ მიაღწია“. სოხუმის „დინამო“ საკავშირო ჩემპიონატში ჩაება, საქართველოს სხვა გუნდები — ეროვნულ ჩემპიონატში.

პირველი

სტადიონი ფეხზე იდგა და გუგუნებდა!

ტაშს უკრავდა და მღეროდა ოთხმოცი ათასი მაყურებელი — ბავშვი, ქალი, კაცი...

პირველი დამოუკიდებელი ჩემპიონატი და პირველი მატჩი... მანამდე კი — საზეიმო გახანის ცერემონიალი. ქართული ჩოხა და ქართული ცეკვა-სიმღერა, ქართული ლექსი და სიტყვა, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა, ეროვნული დროშა და ეროვნული ჰიმნი.

ზღვა ხალხი, ზღვა სიხარული.

დღესასწაული, რომელსაც ასე ველოდით და შევნატროდით.

დასასრულ, ფეხბურთი — გვირგვინი ზეიმისა. თბილისის „იბერია“ და ფოთის „კოლხეთი“. სახელები ნახეთ: „იბერია“ და „კოლხეთი“. თამაშიც — ზეიმის შესაფერისი, ღირსეული და ვაუკაცური.

ბურთის პირველი გაგორება — პატარა ვიტალი დარასელიას მოზომილი დარტყმა, მატჩი იწყება. ამდენი მაყურებელი არ ახსოვს ეროვნულ ჩემპიონატს. მაყურებელსაც არ ახსოვს ასეთი ფეხბურთი, ტელემაყურებელსაც, რა თქმა უნდა.

„იბერიის“ შემადგენლობა: ხაპოვი, კეტაშვილი, ცხადაძე, ჭედია, არზიანი, რევიშვილი (ჩიქოვანი), ქეცბაია, კაჭარავა, ცაავა (ჯიშკარიანი), გურული, გოგიჩაიშვილი. „კოლხეთი“ — გვასალია, კურგინიანი, ქაჯაია, გიორგაძე, გიგატაძე, შამათავა, თოფურია (თიბილაშვილი), მახარაძე, ჯულელი (ინიაშვილი), თვარაძე, ავრანდინი.

ამდენი ნაცნობი და უცნობი გვარი. ბევრმა თქვა, პირველად ვესწრები „კოლხეთის“ თამაშსო. რაღა დაგიმალოთ: მეც პირველად ვნახე. ჩინებულად ითამაშა, თუმცა კი ვშიშობდით, ამოდენა აუდიტორიისა და გუნდის პირისპირ არ შედრკესო. უსაფუძვლო გამოდგა ჩვენი ეჭვი. პირველივე მატჩმა დაგვიდასტურა — იქნება ბრძოლა, რომელშიც ქართული ფეხბურთის ახალი თაობა უნდა გამოიბრძმედოს.

ერთადერთი გოლი გავიდა ამ მატჩში, ისიც... ავტოგოლი. მეთვრამეტე წუთზე თბილისელთა საჯარიმოზე ჩამოწოდებული ბურთი საკუთარ კარში „ჩაეჭრა“ გელა კეტაშვილს. ნამდვილი კურიოზი. თბილისელთა მრავალნაკად კაპიტანს და მის თანაგუნდელებს მერე ცდა არ დაუკლიათ, მაგრამ...

შესვენებისას პრესის ლოჟასთან ნანა ალექსანდრიამ ჩამოიარა.

— ფეხბურთზე ხშირად დადიხართ, თუ...

— მეორედ ვარ სტადიონზე. დღევანდელი დღე განსაკუთრებულია, ამ ზეიმს ვერ მოვაკლდებოდი.

— ვის გულშემატკივრობთ?

— ქართულ ფეხბურთს.

— ამ მატჩში?

— ფოთელებს, ჩემი მშობლიური ქალაქის გუნდს.

— ფეხბურთი დამოუკიდებელი გახდა, მოჭადრაკეები რას აპირებთ?

— იგივეს, ოღონდ ჯერ საბოლოო გადაწყვეტილება არ მიგვიღია.

ალექსანდრე გეორგიუ, მოლდავეთის ტელევიზიის კომენტატორი:

„ამჯერად მე მოლდავეთის ფეხბურთის ფედერაციის საერთაშორისო ურთიერთობის კომისიას წარმოვადგენ. თბილისელი კოლეგებისგან მოწვევა მომივიდა და ხალისით გამოვემგზავრე. მართალი გითხრათ, ასეთ შთამბეჭდავ საფეხბურთო ზეიმს არასოდეს დავსწრებივარ. გეცოდინებათ, მოლდავეთშიც შეიქმნა ფეხბურთის დამოუკიდებელი ფედერაცია, თუმცა ჩვენი გუნდები ამ სეზონში საკავშირო პირველობებში ითამაშებენ. გაისად ეროვნულ ჩემპიონატს გავმართავთ, ორგანიზაციული საკითხების მოგვარება ვერ მოვასწარით. თუმცა წელსვე ვაპირებთ მოვაწყოთ თასის გათამაშება მოლდავეთისა და რუმინეთის გუნდების მონაწილეობით. ერთი სიტყვით, სიტუაცია ჩვენთანაც იცვლება“.

ვიღრე სტუმარს ვესაუბრებოდი, მეორე ტაიმიც დაიწყო. ტაიმი, რომელმაც არანაკლებ საინტერესო ბრძოლაში ჩაიარა, მაგრამ ტაბლოზე ანგარიში არ შეცვლილა. ეროვნული ჩემპიონატის პირველი მატჩი „კოლხეთმა“ მოიგო, იმ ქალაქის გუნდმა, საიდანაც იწყება ქართული ფეხბურთის ისტორია.

პირველი პრესკონფერენცია, პირველ შთაბეჭდილებათა გაზიარება. „კოლხეთის“ უფროსი მწვრთნელი ჯონი ჯანელიძე ამბობს: „ერთი მიზნითა და სურვილით ჩამოვედით თბილისში — ისე გვეთამაშა, როგორც ამისთანა დღეს, ამ ზეიმს შეჰფერის. ცხადია, კმაყოფილი ვარ. მთელი ძალით და მონდომებით ვემზადებოდით. ფეხბურთელებს თავი არ დაუზოგავთ. ქართული ფეხბურთის ამ ღირშესანიშნავ დღეს, ალბათ, რაღაც დაკლდებოდა, თამაშიც ასეთივე კარგი რომ არ ყოფილიყო“. „მართლაც, კარგი თამაში გამოდგა“ — კვერს უკრავს კოლეგას დავით ყიფიანი, — „ვულოცავ „კოლხეთს“ დამსახურებულ გამარჯვებას. მატჩის წინ ბიჭები გავაფრთხილე, იოლი თამაშის იედი ნუ გექნებათ, ყურადღებით იყავით-მეთქი. მეტოქემ უფრო მონდომებით ითამაშა და გაიმარჯვა კიდეც. ამ მატჩის შედეგი ადასტურებს, რომ ეროვნული ჩემპიონატი საინტერესო იქნება და ამით უპირველესად ქართული ფეხბურთი მოიგებს“.

...ნელ-ნელა დაცარიელდა სტადიონი. თბილისის ქუჩებს მოედო ზღვა ხალხი და თან წაიღო ზღვა სიხარული და იმედი.

ლუიჯი სიმონი დაითხოვეს

ლუიჯი სიმონი

იტალიური „პიაჩენცას“ ხელმძღვანელობამ მთავარი მწვრთნელი ლუიჯი სიმონი გაათავისუფლა. გადაწყდა, რომ გუნდს ახალი მწვრთნელის დანიშვნამდე სიმონის ასისტენტი მაურისიო ბრეჯინი უთავკაცებს. „პიაჩენცა“ ამჟამად აშკარა კრიზისს განიცდის. უკანასკნელ სამ ტურში გუნდმა სამი მარცხი იწვნია და სერია A-ს გათამაშების ცხრილში ბოლოდან მეორე ადგილზე იმყოფება. განვლილ უქმეებზე გამართულ ტურში კლუბი აუტსაიდერ „კალიარისთან“ დამარცხდა. ამ უკანასკნელს მიმდინარე სეზონში შეხვედრა არ მოუგია და პირველ გამარჯვებას სწორედ „პიაჩენცასთან“ მიაღწია.

ლუიჯი სიმონის წარუმატებელი მოღვაწეობა მისი შვილის — 33 წლის ადრიანოს ტრაგიკულად დაღუპვამაც განაპირობა. ოქტომბრის თვეში ადრიანო საკუთარი მოტოციკლით ავტოკატასტროფაში მოყვა და გარდაიცვალა.

61 წლის ჯიჯი სიმონის, „პიაჩენცამდე“ მილანის „ინტერის“, „ნაპოლისა“ და „ჯენოას“ თავკაცად უმუშავია. 1998 წელს იგი იტალიის საუკეთესო მწვრთნელადაც დაასახელეს.

ნიკა ფუგლაძე

ვენგერმა ვეა გაიხსენა

დიდი დრო გასულა მას შემდეგ, რაც ლიბერიელი ჯორჯ ვეა ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს. ეს 1995 ნელს იყო. შემდეგ ის მსოფლიოში საუკეთესოც გახდა. მაშინ იტალიური „მილანი“ დაუყოვნებლივ დაინტერესდა „პარი სენ ჟერმენის“ ფეხბურთელით და კონტრაქტიც გაფორმდა. ვეა დღესაც მილანელია, მაგრამ გუნდის შეტევის ხაზზე უკვე სულ სხვა ფეხბურთელები არიან გამწესებულნი. ოლივერ ბირჰოფი და ანდრეი შევჩენკო — აი, ვისი იმედი აქვს კლუბის ხელმძღვანელობას. ალბერტო ძაკერონიმ თავდასხმაში ბრაზილიელი ლეონარდოც ჩართო და დეკემბერში მადრიდის „ატლეტიკოდან“ ხოსე მარიც გადაიყვანა. ლიბერიელი ვეტერანი მიხვდა, რომ მისი დრო გავიდა და სხვაგან გადასვლაზე ალაპარაკდა. იტალიურ პრესაში გავრცელებული ინფორმაციით, ვეას გადაბირებით „მილანის“ ოდინდელი თავკაცი, ამჟამად „რომას“ მწვრთნელი ფაბიო კაპელო დაინტერესებულა. მილანური კლუბი ამდენ მითქმა-მოთქმას უკომენტაროდ ვერ დატოვებდა და განცხადების გაკეთება ადრიანო გალიანიმ ითავა.

ვიცე-პრეზიდენტმა თქვა: „თუ ვეას წასვლა სურს, ხელს არ შევუშლით. ოღონდ ერთი პირობა ჩვენც გვაქვს — იტალიურ კლუბში გადასვლის უფლებას არ მივცემთ. ჩვენი მონინააღმდეგე გუნდი რატომ უნდა გავაძლიეროთ? ცხადია, ფეხბურთელის სურვილი მესმის, ვეა უკვე 33 წლისაა და უნდა, რომ კარიერა დიდი გუნდის ძირითად შემადგენლობაში დაასრულოს. მეორე მხრივ, ძაკერონისაც ვერ გაამტყუნებ. მას თავისი შეხედულებები აქვს, რომლებსაც ჩვენ ვიზიარებთ. სილვიო ბერლუსკონისაც არ უნდა ვეას გაშვება“.

ამასობაში ჟორჟ ვეათი ლონდონის „არსენალიც“ დაინტერესდა. ფეხბურთელსაც გული არსენ ვენგერისკენ მიუწევს. ვეას აღზევება სწორედ ფრანგი სპეციალისტის სახელს უკავშირდება. ვენგერი ის კაცია, ვინაც ჯერ კიდევ აფრიკაში მოთამაშე ვეა აღმოაჩინა და დიდი მომავალი უწინასწარმეტყველა.

თუ „მილანი“ ვეას დათმობს, ფეხბურთელს ვენგერთან მეორედ მოუწევს მუშაობა. პირველად ეს „მონაკოში“ იყო.

ვეას ტრანსფერის საკითხი საბოლოოდ სეზონის ბოლოს გაირკვევა. იქამდე „მილანმა“ ფეხბურთელი მეორე ლონდონურ კლუბ „ჩელსის“ ათხოვა, სადაც ვეა ზაფხულამდე ითამაშებს. ამ გადაწყვეტილებით ლიბერიელი უკმაყოფილო არ უნდა იყოს — მინდორზეც უფრო ხშირად გამოვა და ლონდონშიც აკლიმატიზაციას გაივლის.

გიორგი დარჯანია

რობ ჰარისი

ერთი ზედმეტია

ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თასის გათამაშების მეოთხე ეტაპზე საინტერესო რამ მოხდა. პირველდივიზიონელი „ტრანმერი“ პრემიერლიგელ „სანდერლენდს“ მასპინძლობდა და 1:0 მოუგო, უცნაური ამბავი მეორე გაფრთხილების გამო ტრანმერელი კლინტ ჰილის გაძევებას მოჰყვა. ფეხბურთელმა მოედანი დატოვა და მის ნაცვლად სტივენ ფრეილი გამოვიდა. ასე რომ, გუნდმა თამაში კვლავ თერთმეტი კაცის შემადგენლობით გააგრძელა. კიდევ უფრო კურიოზული ისაა, რომ ვერც ერთმა მსაჯმა მინდორზე ზედმეტი მოთამაშის გამოსვლა ვერ შენიშნა.

ფეხბურთის ასოციაციის წესების შესაბამისი მუხლი ამგვარ შემთხვევაში შედეგის გაუქმებას ითვალისწინებს, მაგრამ საგანგებო კომისიამ ანგარიში ძალაში დატოვა. მიზეზი ასეთია: ფრეილმა მინდორზე სულ 20 წამი დაყო და ამ დროის განმავლობაში თამაში არ განახლებულა. ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის წარმომადგენელმა ადრიან ბევინგტონმა განაცხადა: „მომხდარ ფაქტს მატჩის მსვლელობაზე და მის შედეგზე ზეგავლენა არ მოუხდენია. ამასთანავე ვთვლით, რომ ტრანმერელთ ზედმეტი ფეხბურთელი განზრახ არ გამოუყვანიათ“.

ინგლისურმა პრესამ უმალ გაიხსენა, რომ ამ შეხვედრის არბიტრს რობ ჰარისს „ჯილინგემის“ და „ბრედფორდის“ მატჩში უნდა ემსაჯა, მაგრამ შეცვალეს. მიზეზი არ დაუსახელებიათ. ვარაუდობენ, რომ „ტრანმერი“—„სანდერლენდის“ შეხვედრის დროს მომხდარი ინციდენტის გარჩევა



სტივენ ფრეილი

გაგრძელდება და შესაძლოა, ჰარისი პრემიერლიგის თამაშების მომსახურებას დროებით ჩამოაშორონ.

თავიანთი კომენტარები მწვრთნელებმაც გააკეთეს. „სანდერლენდის“ თავკაცი პიტერ რიდს ასოციაციის ხელმძღვანელთა მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ გაუპროტესტებია. მან თქვა: „ვფიქრობ, ეს სწორი გადაწყვეტილება არ იყო. მსგავსი ფაქტები მსაჯობის მიმართ უარყოფით დამოკიდებულებას გამოიწვევს, მაგრამ რაკი ასე ჩათვალეს საჭიროდ, დაე, ასე იყოს. იქნებ ჩვენთვის უკეთესიც იყოს. შემდეგი თამაშისთვის უფრო სერიოზულად მოვემზადებით“.

ჯონ ოლდრიჯი, „ტრანმერის“ მწვრთნელი: „ფეხბურთის ასოციაციამ სწორი გადაწყვეტილება მიიღო. ფეხბურთელმა სულ 20 წამი დაჰყო მინდორზე, რასაც თამაშზე ზეგავლენა არ მოუხდენია. თანაც მსაჯის შეცდომის გამო ჩვენ რატომ უნდა დავისაჯოთ?“ კარგი ტაქტკაა — ფეხბურთელს მინდორზე შეაპარებ და შემდეგ მსაჯს აბრალებ.

ბაჯო ჟესტებით ლაპარაკობს

იტალიის ჩემპიონატის მე-16 ტურის მატჩი „პარმასა“ და „იუვენტუსს“ შორის მეტად დრამატული გამოდგა. თუმცა, ამჯერად შეხვედრის 77-ე წუთზე მომხდარი ამბავი გვაინტერესებს. დინო ბაჯომ და ჯანლუკა ძამბროტამ რალაც (ალბათ, ბურთი) ვერ გაიყვეს და საქმის გარჩევა არასფეხბურთო წესებით განიზრახეს. მსაჯი სტეფანო ფარინა არ დაიბნა და ორივე გააძევა. აქ ბაჯოს ნერვებმა უმტყუნა და ფარინას ხელით ისეთი რამ ანიშნა, რაც ჟარგონზე ძალიან ცუდ რამეს ნიშნავს. ოპერატორს ეს



დინო ბაჯო

ამბავი არ გაჩოეპარა და ტელემაყურებლებსაც გადიდებული კადრით აჩვენა. ტელემაყურებელთა შორის იტალიური ფეხბურთის თავკაცებიც იყვნენ და ეს ფაქტი მსჯელობის საგნად აქციეს. ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტის ვერდიქტი ასეთია — ბაჯო, რომელსაც ეროვნულ ნაკრებში 60-ჯერ უთამაშია, „სკუადრა აძურას“ მომდევნო მატჩს გამოტოვებს. იტალიელთა კალენდარში თუ ჩავიხედავთ, ეს 23 თებერვალს, პალერმოში შვედეთის წინააღმდეგ გასამართი შეხვედრა იქნება. დინო ძოფს ამის თაობაზე უკვე აუწყეს.

გადაწყვეტილებას კომენტარიც მოჰყვა. ფედერაციის პრესმდივანმა განაცხადა: „ბოლო დროს მსაჯების შეურაცხყოფის ფაქტები საგრძნობლად გახშირდა. რაც ყველაზე სამწუხაროა, საკადრისად არავინ დასჯილა. კორექტული ქცევის შესახებ ჩვენს წესდებაში რამდენიმე პუნქტია, რომლებიც მხოლოდ ქაღალდზე არსებობდა. ჩვენ სიტუაციის გამოსწორება განვიზრახეთ. ვფიქრობ, დინო ბაჯოს დასჯა სხვებისთვის სამაგალითო იქნება. ასეთი საქციელით ფეხბურთელები არა მხოლოდ საკუთარ თავს, მთელ ერს არცხვენენ.“

თავად ბაჯო კი თურმე ნანობს: „მტყუანი ვარ და ძალიან მრცხვენია. მატჩი იმდენად მნიშვნელოვანი და დაძაბული იყო, რომ წონასწორობა დავკარგე. ამას თავის გასამართლებლად არ ვამბობ. საკმაოდ გამოცდილი ფეხბურთელი ვარ და ასეთი რამ არ უნდა დამმართოდა. მინდა, შემთხვევით ვისარგებლო და მსაჯს საჯაროდ მოვუბოდიშო. ჩემს თანაგუნდელებსაც ვთხოვ, მაპატიონ. მე ისინი უმძიმეს წუთებში დავაღალატე“ — განუცხადა მან „გაძეტა დელო სპორტს“. შეგახსენებთ, რომ იქამდე „პარმას“ სტეფანო ტორიზი გაუძევეს და ცხრაკაციანმა გუნდმა მატჩის გადარჩენა მაინც შეძლო. 91-ე წუთზე კრესპომ ანგარიში გაათანაბრა.

იტალიის მსაჯთა ასოციაციის წარმომადგენელმა პაოლო ბერგომიმ ბაჯოს საქციელი ასე ახსნა: „ღღეს იტალიურ პრესაში დიდი აჟიოტაჟია, ამტყდარი ოქროს საათებთან დაკავშირებით. ამის გამო მსაჯები მეტად უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ჰოდა, ზოგი თვლის, რომ არბიტრი შეიძლება შეურაცხყოფის ობიექტი იყოს.“ ლაპარაკია იმაზე, რომ „რომას“ ხელმძღვანელობამ ყველა იტალიელ მსაჯს საშობაოდ „როლექსის“ უძვირფასესი ოქროს საათები აჩუქა. ეს მოქრთამვის მცდელობად მიიჩნიეს და ფედერაციამ მსაჯებს საჩუქრის უკან დაბრუნება მოსთხოვა.

გიორგი დარჯანია

ინგლისი
ასოციაციის თასი
მეთექვსმეტედფინალი

ლივერპული 0:1 *ბლეკბერნი*
0:1 ბლეიქი (85)
მერვედფინალში „ბლეკბერნ როვერსი“ „ნიუკასლს“ შეხვდება.

საფრანგეთი
ლიგის თასის
მერვედფინალის წილისყრა
28 იანვარი
მონაკო — სტრასბური
29 იანვარი
ნანსი — სოშო (II); სენტ ეტიენი — რედ სტარი (III); ბოვე (III) — სედანი; შატორუ (II) — პსჟ; გენინონი (II) — ტულუზი (II); ლიონი — ბორდო
30 იანვარი
ბასტია — მონპელიე

ამხანაგური მატჩი
მექსიკა 2:1 ირანი
1:0 ლუის ერნანდესი (3), 2:0 ბლანკო (18), 2:1 დაეი (26ბ)
მექსიკა: მარტინესი, სუარესი, ბელტრანი, ტორადო, მენდესი, მორა (ნავა 70), ოსორნო (იგნასიო იერო 61), რამირესი (ესტრადა 88), როდრიგესი, ბლანკო, ლუის ერნანდესი
ირანი: ტაბატაბეი, ზარინშეხი, ჰაშემინასაბი, ხაკპური (ფეკრი 65), ჰამედანი, ემამიფარი, ესტილი (დინმოჰამადი 65), მაჰდავიკია, ჰალალი (ვავაზი 86), აზიზი (ალი მუსავი 70), დაეი

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს
უზრუნველყოფს კომპანია **საქტელეკომ პლუსი**
☎ 99 67 67, 98 30 20

დაბრუნდება ტაიბი სამშობლოში?

ინგლისური „მანჩესტერ იუნაიტედის“ იტალიელი მეკარე მასიმო ტაიბი შესაძლოა უახლოეს მომავალში სამშობლოში დაბრუნდეს და სერია A-ში მოასპარეზე „რეჯინაში“ ითამაშოს. შეგახსენებთ, რომ ინგლისის ჩემპიონმა ტაიბი „ვენეციადან“ 4,5 მილიონ გირვანქად შეიძინა, თუმც ამჟამად იგი არცთუ სახარბიელოდ ასპარეზობს, რის გამოც ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაკარგა და მოსალოდნელია, „იუნაიტედმა“ იგი სეზონის ბოლომდე გაანათხოვროს.

ტაიბის პრემიერლიგაში დღემდე მხოლოდ ოთხი შეხვედრა აქვს ჩატარებული. თავისი გუნდის რიგებში იგი უკანასკნელად გასული წლის ოქტომბერში გამოჩნდა. მაშინ „მანჩესტერ იუნაიტედმა“ ლონდონური „ჩელსისაგან“ გამანადგურებელი მარცხი იწვნია — 0:5, რომელშიც ტაიბიმ საკმაოდ სოლიდური წვლილი შეიტანა.

კლუბის მთავარმა მწვრთნელმა ალექს ფერგიუსონმა ამჟამად მიმდინარე საკლუბო მსოფლიოს ჩემპიონატზე ტაიბი გუნდის განაცხადში არ შეიყვანა და ბრაზილიაშიც არ ჩაუყვანია.

თავდაპირველად გავრცელდა ხმები, თითქოს ტაიბის დაბრუნებას „ვენეცია“ ცდილობდა, მაგრამ ბოლო ხანს მეკარის ახალ კლუბად უფრო „რეჯინას“ ასახელებენ.

„თამაში მსურს. მირჩევნია, სეზონის დარჩენილი ნაწილი ისეთ კლუბში გავატარო, სადაც ძირითად შემადგენლობაში ადილს დავიმკვიდრებ, ხოლო ამის შემდეგ ინგლისში დავბრუნდები. ყველაზე ხელსაყრელი წინადადება „რეჯინისგან“ მივიღე. ამიტომ მოსალოდნელია, სწორედ მათ რიგებს შევუერთდე“ — აცხადებს თავად მასიმო ტაიბი.

მასიმო ტაიბი

დიეგოს ცრემლები და გული

სანამ 39 წლის არგენტინელი სუპერვარსკვლავყოფილი დიეგო მარადონა ურუგვაიში ცუდად გახდომისა და კლინიკაში მკურნალობის შემდეგ სამშობლოში დაბრუნებით ლაღობს, მის აგენტს, გილერმო კოპოლას ცრუ ჩვენებების მიღებისთვის უსიამოვნებანი ელის. საქმეს მაგისტრი ადრიანა დე ლოს სანტოსი იძიებს.

კოპოლას ჩვენებათა გადამოწმება ურუგვაელი სახალხო მსაჯულის, ხუან ბაუტისტა გომესის იდეა გახლდათ, თემა კი ცხადია — დიეგო, ცუდად გამხდარი გული და ნარკოტიკები.

ურუგვაიში კანონის თანახმად ცრუ ჩვენება სამიდან რვა წლამდე პატიმრობით ისჯება, ასე, რომ კოპოლა ფრთხილად უნდა იყოს.

როგორც მარადონას პირადი ექიმი ალფრედო კაჰე იგონებს, მსოფლიო ფეხბურთის გენიოსმა დედამისს, დალმას ტირილითა და ჩოქვით სთხოვა პატიება, როდესაც მან ურუგვაიში, პუნტა დელ ესტეს კლინიკაში მიაკითხა.

მარადონა არგენტინაში კვირაღამით დაბრუნდა, მას მერე, რაც ურუგვაელმა ექიმებმა საავადმყოფოდან გამოწერეს და თან დიაგნოზიც გამოაყოლეს — კოკაინით მოწამვლა.

კაჰემ თქვა: „დედა რომ დაინახა მარადონამ, ქვითინი დაიწყო და პატიება ითხოვა. სურათი იმდენად ემოციური გახლდათ, რომ დამსწრეებმა მისი ცქერა ვეღარ შეძლეს.“

ამ სიტყვების ავტორი ადრე აცხადებდა, რომ მარადონას სიცოცხლე საფრთხეშია, ახლა კი ამბობს, რომ მას ოჯახური გარემო და სიმშვიდე სჭირდება.

ბუენოს აირესის კლინიკა „ფლენიში“ მიყვანილ დიეგოს თან დედა, მეუღლე კლაუდია ვილაფანე და ძმა უგო ახლდნენ.

მარადონას პირადმა კარდიოლოგმა კარლოს ბენხამინ ალვარესმა განაცხადა, რომ მისი კლიენტის გამოჯანმრთელების საქმე კარგად მიდის.



დიეგო მარადონას აგენტი გილერმო კოპოლა

ფეხბურთის რუკასთან ერთად

საბერძნეთის პირველ დივიზიონში მოასპარეზე აეკ-ის ხელმძღვანელობამ წარუმატებელი სერიის გამო გუნდის მთავარი მწვრთნელი ლიუბიშა ტუმბაკოვიჩი დაითხოვა. ტუმბაკოვიჩის შემცვლელად აეკ-ის ხელმძღვანელობამ იანის პათიაკისი დასახელა, რომელიც აქამდე ქვეყნის მესამე დივიზიონის ლიდერ „აკრათისოსს“ ავარჯიშებდა. ტუმბაკოვიჩი საბერძნეთში სეზონის დასაწყისიდან მოღვაწეობდა, მანამდე იგი იუგოსლავიური ბელგრადის „პარტიზანის“ თავკაცი გახლდათ. ამჟამად აეკი საბერძნეთის ჩემპიონატში მე-7 პოზიციაზე იმყოფება და ლიდერ „ოლიმპიაკოსს“ 18 ქულით ჩამორჩება.

ესპანური „მალიორკას“ კამერუნელი ლეგიონერი ლორენ ეტამაიერი მომავალ სეზონიდან სავარაუდოდ „პარმას“ ღირსებას დაიცავს. ფეხბურთელის აგენტის განცხადებით, წინასწარი შეთანხმება ამის შესახებ თითქმის მიღწეულია. იტალიური კლუბი თანახმაა, ფეხბურთელში 12,4 მილიონი დოლარი გადაიხადოს. აღსანიშნავია, რომ კამერუნელი ფეხბურთელი, რომელიც საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატზე თავისი ქვეყნის ღირსებას იცავდა, იმავდროულად ესპანეთის პასპორტსაც ფლობს.

ინგლისური „ასტონ ვილას“ ფორვარდმა დიონ დაბლინმა საკმაოდ მძიმე ტრავმა მიიღო და ექიმების თქმით, სავარაუდოა, სეზონის ბოლომდე ვერ იასპარეზოს. დეკემბრის დასასრულს, პრემიერლიგის კალენდარულ მატჩში დაბლინმა ხერხემალი დაიზიანა. „ვფიქრობ, ჯერჯერობით დიონის თამაშზე საუბარი ნაადრევია, მინიმუმ სამი თვეა საჭირო, რათა ფეხბურთელი მომჯობინდეს, ხოლო ამის შემდეგ მოვლენები გვიჩვენებს“ — განაცხადა „ასტონ ვილას“ მთავარმა მწვრთნელმა ჯონ გრეგორიმ.

ინგლისური „ნიუკასლ იუნაიტედის“ ხელმძღვანელობა თანახმაა, ფრანგი მცველი ფრანკ დუმა სამშობლოში გაუშვას და მარსელის „ოლიმპიკს“ 2 მილიონ დოლარად მიჰყიდოს. შეგახსენებთ, რომ 31 წლის დუმა „ნიუკასლმა“ გასულ ზაფხულს ფრანგული „მონაკოდან“ 500 ათას გირვანქად შეიძინა, როდესაც ინგლისურ კლუბს რუუდ გულიტი ავარჯიშებდა. „კაჭკაჭთა“ ხელმძღვანელობა ახალი ფეხბურთელის შეძენასაც გეგმავს. მათ 19 წლის პარაგვაელი დიეგო გავილას გადაბირება განუზრახავთ, თუმც ჯერჯერობით ახალგაზრდა ინგლისს მხოლოდ გასასინჯად ეწვევა. „გვსურს, ფეხბურთელს დავაკვირდეთ. ვიმედოვნებ, მას დიდი მომავალი აქვს“ — აცხადებს „ნიუკასლის“ თავკაცი ბობი რობსონი.

დანიური „კოპენჰაგენში“ გადავიდა შოტლანდიური „სელტიკის“ მოთამაშე, ნორვეგიელი ფორვარდი ჰარალდ ბრატბაკი. კონტრაქტი სამ წელიწადნახევრიანია, თანხა არ გაცხადებულა. ბრატბაკი „სელტიკამდე“ ნორვეგიულ „რუსენბორგში“ ასპარეზობდა და გუნდთან ერთად არაერთხელ მოიპოვა ქვეყნის ჩემპიონის ტიტული. შოტლანდიაში იგი 1997 წელს გადაბარგდა.

ძვიბრალტარის ჩემპიონატი. მე-13 ტური: აეკ — ანართოსისი 0:3; ომონია — ეთნიკოსი (აშნა) 2:0; აელი — ენოსისი 2:0; აპოპი — აპოელი 1:0; ეთნიკოსი (აშა) — ოლიმპიაკოსი 2:1; ანაგენისისი — აპოლონი 0:1; ნეა სალამინა — ალკი 6:0. ჩემპიონატს 37 ქულით ფამაგუსტას „ანართოსისი“ ლიდერობს, მეორეა ნიქოზიის „ომონია“ — 32 ქულა, მესამეა ლიმასოლის „აელი“ — 31 ქულა.

ისრაელის ჩემპიონატი. მე-19 ტური: ჰაპოელი (იერუსალიმი) — მაკაბი (ჰაიფა) 1:3; მაკაბი (ჰერცალია) — ჰაპოელი (თელ ავივი) 0:5; ჰაპოელი (ჰაიფა) — ჰაპოელი (ქვარ სავა) 3:0; მაკაბი (თელ ავივი) — ბეითარი 1:3; აშდოდი - ირონი 4:2; მაკაბი (ფეთაჰ თიკვა) — ბნეი იეჰუდა 1:1; მაკაბი (ნეთანია) — ჰაპოელი (ფეთაჰ თიკვა) 1:2. ჩემპიონატს 46 ქულით ჰაიფას „მაკაბი“ ლიდერობს, მეორეა თელ ავივის „ჰაპოელი“ — 45 ქულა, მესამეა ფეთაჰ თიკვას „ჰაპოელი“ — 38 ქულა.

რუსული სოჭის „ენემჩუჭინას“ ყოფილმა მთავარმა მწვრთნელმა ანატოლი ბაიდაჩნიმ პირველდივიზიონელი ნოვოროსიისკის „ჩერნომორეცი“ ჩაიბარა. ეს გადაწყვეტილება კლუბის დირექტორატმა მიიღო. ბაიდაჩნიმ თანამდებობიდან სულ ახლახან გათავისუფლებული ვლადიმირ ფედოტოვი შეცვალა, რომელიც გუნდს ხუთი თვის განმავლობაში ავარჯიშებდა. შეგახსენებთ, რომ „ჩერნომორეცმა“ გასული სეზონი ჩემპიონატში ბოლოდან მესამე ადგილზე დაასრულა და გავარდნას ძლივს გადაურჩა.

იუგოსლავიელი ფეხბურთის სპეციალისტი მიროსლავ პოლაკი ავსტრიული „ზალცბურგის“ მთავარ მწვრთნელად დაინიშნა, მან ჰანს კრანკლი შეცვალა. 41 წლის პოლაკმა, რომელიც მანამდე სარეზერვო გუნდს ავარჯიშებდა, კონტრაქტი 30 ივლისამდე გააფორმა, თუმც კლუბის პატრონია განცხადებით, არ არის გამორიცხული, შეთანხმება უფრო ხანგრძლივი გამოდგეს. ამის შესახებ გადაწყვეტილებას აპრილის ბოლოს მიიღებენ. თავისი კარიერის მანძილზე პოლაკს ბელგრადის „პარტიზანში“, შვედურ „მალმიოში“, ათენის „პანიონიოსში“ და იმავე „ზალცბურგში“ უთამაშია. თითქმის გადაწყდა, რომ თანამდებობიდან გათავისუფლებული ჰანს კრანკლი გერმანიის მეორედივიზიონელ „ფორტუნას“ გაწვრთნის.

შოტლანდიის ნაკრების ყოფილი წევრი ტომ მაკინლი შვეიცარული „გრასჰოპერიდან“ სამშობლოში დაბრუნდა და პირველდივიზიონელ „კილმარნოკს“ შეუერთდა. 35 წლის მაკინლი შვეიცარიაში სამი თვის წინ გლაზგოს „სელტიკიდან“ გადაბარგდა. ფეხბურთელს თავისი ქვეყნის ეროვნულ ნაკრებში 22 შეხვედრა ჩაუტარებია, იგი გუნდს 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზეც ეხმარებოდა. „რამდენიმე ხელსაყრელი წინადადება მქონდა, მაგრამ „კილმარნოკი“ ვამჯობინე“ — განაცხადა თავად მაკინლიმ. კლუბის მთავარი მწვრთნელი ბობ უილიამსონი კი ამბობს: „ტომი კარგი მცველია და ასაკის კვალობაზე მშვენივრად თამაშობს. მჯერა, იგი გუნდს შეეგუება და გამოადგება!“

ესპანური „სარაგოსას“ და პრიმერადივიზიონის ერთ-ერთი ბომბარდირი სავო მილოშევიჩი აცხადებს, რომ სეზონის ბოლოს ნებისმიერი გუნდის ხელსაყრელ შეთავაზებას უარყოფს, თუ მისი კლუბი ჩემპიონთა ლიგაში ადგილს მოიპოვებს. ბელგრადის „პარტიზანისა“ და ინგლისური „ასტონ ვილას“ ყოფილი ფორვარდი ესპანეთის ჩემპიონატში საკმაოდ წარმატებულად ასპარეზობს, მან 19 შეხვედრაში 18 გოლი გაიტანა და საუკეთესო ბომბარდირს, სანტანდერის რასინგელ სალვა ბალესტას მხოლოდ ორი ბურთით ჩამორჩება. „თუ „სარაგოსა“ კვლავაც ასე წარმატებით ითამაშებს და ჩემპიონთა ლიგაში ადგილს დაიმკვიდრებს, გუნდში დავრჩები. ფული მნიშვნელოვანია, მაგრამ არა მთავარი. ესპანეთის ჩემპიონობა შეუძლებელი არ გახლავთ, მაგრამ ამაზე ფიქრი ჯერჯერობით ოცნებად მიმაჩნია“ — ამბობს მილოშევიჩი, ფეხბურთელი, რომელიც ესპანეთში 1998 წელს „ასტონ ვილადან“ გადავიდა. გასულ სეზონში მან 17 გოლის გატანა მოახერხა, ხოლო წლეულს ამაზე მეტი მხოლოდ ნახევარ სეზონში შეძლო.

თუმც „რეალი“ პატივისცემის ღირსია

მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი. A ჯგუფი. III ტური

რეალი (ესპანეთი) 3:2 რაჯა კასაბლანკა (მაროკო)

0:1 ახამი (28), 1:1 იერო (49), 2:1 მორიენტესი (53), 2:2 მუსტაუდია (59), 3:2 ჯერემი (88)

რეალი: კასილიასი, მიჩელ სალგადო (კარანკა 80), რობერტო კარლოსი, იერო, რედონდო, კარემბუ, გუტი, სავიო, მაკმანამანი (ჯერემი 46), რაული, ანელკა (მორიენტესი 37)

რაჯა კასაბლანკა: ჩადილი, ელ ჰამეუ, ელ კარკური, ხარბური, მუსტაუდია, ხუბაჩი, ელ მურბარკი, აბუბი, ერეაპი, ახამი (რიზკი 81), ნატერი (ხერაზი 93)

გაფრთხილება: ელ კარკური, იერო, კარემბუ, სავიო, მუსტაუდია

გაძევება: ელ მურბარკი (62), გუტი (62), რობერტო კარლოსი (62), კარემბუ (87)

მსაჯი: ო. ელიზონდო

ალ ნასრი (საუდეთი) 0:2 კორინთიანსი (ბრაზილია)

0:1 რიკარდინიო (25), 0:2 რინკონი (82)

ალ ნასრი: ბაბქრი, ალ ჰუსეინი, ალ ამინი, მუჰსინ ალ დოსარი (ტრიკი 88), ბაჰჯა, ალ მუსა, ალ კარნი, საიბი (მეჰალელი 73), ალ ჰარტი, შარიფი, ალ შოკეა

კორინთიანსი: დიდა, ჟოაო კარლოსი (ადილსონი 10), ვამპეტა (დინეი 72), კლებერი, მარსელინიო, რინკონი, დანიელი, ლუიზაო, ფაბიო ლუსიანო, ედილსონი, რიკარდინიო (ედუ 27)

გაფრთხილება: ალ ჰარტი, დანიელი, მარსელინიო, ადილსონი, ლუიზაო, ალ შოკეა

გაძევება: დანიელი (67)

მსაჯი: დ. იოლი

REUTERS სან პაულოდან

მადრიდის „რეალის“ გაძევებული ფეხბურთელები რობერტო კარლოსი და ხოსე მარია გუტი

FIFA CLUB WORLD CHAMPIONSHIP Brazil 2000

„კორინთიანსი“ მსოფლიოს პირველი საკლუბო ჩემპიონატის ფინალში გავიდა. 2:0-ასეთი გახლდათ ანგარიში, რომლითაც ბრაზილიურმა გუნდმა საუდის არაბულ „ალ ნასრს“ მოუგო და A ჯგუფის ცხრილში პირველი ადგილი დაიკავა. მეორე ადგილზე მადრიდის „რეალი“ გავიდა, რომელმაც მაროკოს „რაჯა კასაბლანკასთან“ შეხვედრაში, რვა ფეხბურთელით ათის წინააღმდეგ 3:2 იმარჯვა, მაგრამ „კორინთიანსს“ ბურთების სხვაობით ჩამორჩა.

„კორინთიანსმა“ „რეალის“ ანგარიში იცოდა და ამოცანაც ზუსტად ჰქონდა დასახული — ფინალში გასასვლელად საუდელთათვის ორგოლიანი სხვაობით უნდა მოეგო. მიაღწია კიდეც მიზანს, ოღონდ მხოლოდ 82-ე წუთზე, როდესაც, ბედის ირონიით, ბურთს „ალ ნასრის“ კარის ხაზი „რეალის“ ყოფილმა ფეხბურთელმა, კოლუმბიელმა ფრედი რინკონმა გადააკვეთინა. მანამდე კი ისე ჩანდა, თითქოს მადრიდელთა დრამატული 3:2-ს უნდა გაემარჯვა.

ფეხბურთელი „კორინთიანსსაც“ გაუგდეს. გაძევებული გახლდათ მცველი დანიელი, რომელიც ამ ტურნირზე საღებიუტო შეხვედრას ატარებდა და მისი მოედნიდან გასვლის შემდეგ კაცი უფრო ანგარიშის გათანაბრებას თუ წარმოიდგენდა, ვიდრე სან პაულუელთა მეორე გოლს. არაბები ხომ თანდათან მეტად და მეტად თავდაჯერებულნი ხდებოდნენ.

ზოგადად, ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში ის გუნდი უფრო ხელსაყრელ პირობებშია, რომელიც გვიან თამაშობს, რადგან მან კონკურენტის შედეგი უკვე იცის. ასეთი კალენდარული უპირატესობა, ისევე, როგორც ამ შემთხვევაში, როგორც წესი მასპინძლებს ერგებათ ხოლმე. თავად განსაკუთრ, მადრიდელებს „რაჯა კასაბლანკასთან“ შეხედრაში რაც შეიძლება დიდი სხვაობით უნდა მოეგოთ, რათა „კორინთიანსისთვის“ ამოცანა გაერთულებინა, „შეკვეთით“ გამარჯვება კი ყოველთვის იოლი საქმე როდი გახლავთ. მოკლედ, სან პაულუს „მორუმბის“ სტადიონზე ესპანელებს გეგმა აერიათ და ნაცვლად მეტოქის იმთავითვე გაცამტვერებისა, 28-ე წუთზე ბურთი საკუთარი კარის ბადეში იხილეს — თავური გოლი იუსეფ ახამიმ გაიტანა.

შესვენების შემდეგ „რეალმა“ მდგომარეობა გამოასწორა, ფერნანდო იეროსა და ფერნანდო მორიენტესის გოლების წყალობით „სამეფო გუნდი“ დაწინაურდა, თუმცა 59-ე წუთზე მუსტაფა მუსტაუდიამ ანგარიში გაათანაბრა. ამის შემდეგ კი „რეალმა“ მოთმინება დაკარგა.

ჯერ იყო და ბუხაიბ ელ მურბარკის რობერტო კარლოსი ისე ეუხეშა, რომ მსაჯმა წითელი ბარათით დასჯა, რასაც იმავე მურბარკის წინააღმდეგ გუტის გამოხტომა და იგივე სასჯელი მოყვა. გუტიმ მოედანი თავშეუკავებელი ტირილ-ყვირილით დასტოვა.

დრამა ამით არ დასრულებულა: ცოტა ხანში დაუცველ კარში ბურთის შეგდების მოსურნე მუსტაუდიამ ივიძელს მოარტყა, ხოლო, კიდევ დრო რომ გამოხდა კრისტიან კარემბუმ მეორე ყვითელი ბარათი მიიღო და მოედნიდან გაძევებული მესამე მადრიდელი შეიქნა. ამის შემდეგ 88-ე წუთზე, „რეალის“ კამერუნელმა მოთამაშემ ჯერემი ნჯიტაპმა ევროპელთა გამარჯვების გოლი შეაგდო.

„მართალი გითხრათ, ცოტა ბავშვურად ვიქცეოდით. აღგზნებულები გახლდით და რამდენიმე ფეხბურთელი მსაჯმა მოედნიდან გაგვიძევა“ — თქვა მატჩის შემდეგ მორიენტესმა — „მაგრამ, მაინც ვთვლი, რომ რთულ მდგომარეობას თავი კარგად დავაღწიეთ და მოედანზე მხოლოდ რვა კაცით დარჩენილებმა გამარჯვება შევძელით“.

რობერტო კარლოსმა კი თავის ინციდენტზე ასე თქვა: „ელ მურბარკი მოედანზე ერთობ თეატრალურად გაკოტრიალდა, რაც მისი მხრივ ჭკვიანური მოქმედება გახლდათ“.

ბრაზილიელმა დასძინა, რომ ეპიზოდი სწორედ ელ მურბარკიმ გამოიწვია, როდესაც შუა მოედანში ბურთი იხელთა და ჯამბაზობას შეუდგა.

„იგი თითქოს გვაპამპულავებდა, „რეალი“ კი პატივისცემის ღირსია“ — დასძინა რობერტო კარლოსმა.

„რეალის“ მწვრთნელმა, ვისენტე დელ ბოსკემ მოწინააღმდეგე, მოედანზე გამუდმებულ კოტრიალში დადანაშაულა, თუმცა, ჟურნალისტთა შეფასებით იგი უფრო ღირსეულად ლაპარაკობდა, ვიდრე მისი მანჩესტერელი კოლეგა სერ ალექს ფერგიუსონი, რომელიც „ნეკაქსასთან“ შეხვედრის დროს, აშკარად დამნაშავე დევიდ ბექემს ისე გამოესარჩლა, თითქოს იგი უცოდველი ყოფილიყო.

„როგორც ჩანს ჩვენც ვერ მოვიქეცით მთლად ღირსეულად“ — დასძინა მან.

დელ ბოსკე მანამდე ჩიოდა, რომ „კორინთიანსს“ უსამართლო უპირატესობა მიანიჭეს, როდესაც მისი შეხვედრა „ალ ნასრთან“ მოგვიანებით დანიშნეს.

მოგვიანებით დაწყებულ შეხვედრაში „კორინთიანსი“ 25-ე წუთზე დაწინაურდა. გოლი რიკარდინიომ გაიტანა, მაგრამ, მაინც შეიძლება ითქვას, რომ ბრაზილიელები მოწინააღმდეგის გონივრულ დაცვასა და ნახევარდაცვაში დალაგებულ პასებს არ ელოდნენ.

როგორც ზევით მოგახსენეთ, „რეალის“ იმედი ფრედი რინკონმა დაუსაბამა. ეს გახლდათ შურისძიება 1996 წელს ამ კლუბში გატარებული ერთობ უსახური სეზონისთვის.

ამრიგად, „კორინთიანსმა“ და „რეალმა“ შვიდ-შვიდი ქულა დაგროვეს, მაგრამ ბრაზილიელთა გატანილ-გაშვებულის სხვაობა პლუს ოთხი გამოდგა, ესპანელთა კი სამი.

ფინალში „კორინთიანსის“ მეტოქე B ჯგუფის გამარჯვებული, ბრაზილიურივე „ვასკუ და გამა“ ან მექსიკური „ნეკაქსა“ იქნება.

განვლილ მატჩებს თუ გავიხსენებთ, მადრიდელთა მარცხის უმარტივეს და უპირველეს მიზეზად, „კორინთიანსიან“ შეხვედრაში ნიკოლა ანელკას ვერ გატანილი პენალტი გაგვახსენდება. შესაძლოა „კორინთიანსის“ მიერ „რაჯა კასაბლანკას“ კარში შეგდებულ მეორე, საეჭვო თუ სადავო გოლზეც ვილაპარაკოთ — ტელეგამეორებებმა აჩვენეს, რომ ფაბიო ლუსიანოს დარტყმულს ხაზი არ გადაუკვეთავს.

ბრაიან ჰოუმვუდი,
როიტერი

REUTERS რიო დე ჟანეიროდან

ალ ნასრი — კორინთიანსი 0:2. ბრაზილიელი ფორვარდი მარსელინიო საუდელმა მოშინ ალ ჰარტიმ მოცელა

საბოლოო ცხრილი

კორინთიანსი	3	2	1	0	6:2	7
რეალი	3	2	1	0	8:5	7
ალ ნასრი	3	1	0	2	5:8	3
რაჯა კასაბლანკა	3	0	0	3	5:9	0

ბომბარდირები

ანელკა (რეალი)	3
ედილსონი (კორინთიანსი)	2
ალ ჰუსეინი (ალ ნასრი)	2

რა საჭიროა ამდენი პრანჭვა?

ტელეკომპანია BBC-ს საფეხბურთო მიმომხილველი მარკ ლორენსონი „მანჩესტერ იუნაიტედის“ ნახევარმცველს, დევიდ ბექემსა და მის პოპვარსკვლავ მეუღლეს, ვიქტორია ადამსს საჯარო კეკლუცობაში სდებს ბრალს.

ლორენსონმა BBC 1-ზე გამართულ თავის შოუში, რომელსაც „ფუტბოლ ფოკუსი“ ჰქვია, გამართა დისკუსია კლუბთა მსოფლიოს ჩემპიონატის ერთ-ერთ შეხვედრაში ბექემის გაძევებაზე. მიმომხილველის აზრით, ფიცხ ფეხბურთელს წითელი ბარათი აშკარად ეკუთვნოდა, ვინაიდან მან „ნეკაქსას“ მოთამაშის ხოსე მილიანის წინააღმდეგ აშკარად იუხეშა.

ამ ინციდენტმა მსოფლიო მასმედიას გაახსენა 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი, სადაც არგენტინასთან შეხვედრის დროს ბექემმა დიეგო სიმეონეს წიხლი უთავაზა.

ლორენსონმა, რომელიც ახალგაზრდობაში „ლივერპულისა“ და ირლანდიის ნაკრების მოთამაშე გახლდათ, განაცხადა, რომ ბექემს, როგორც პროფესიონალს, დიდ პატივს სცემს.

„ბექემზე ხშირად იმიტომ ვლაპარაკობთ, რომ იგი ჩინებული ახალგაზრდა ფეხბურთელია, ჰყავს პოპვარსკვლავი მეუღლე და აქვს ცხოვრების პოპვარსკვლავური წესი, მაგრამ ყველა ღირსების მიუხედავად, მგონი, ის იპრანჭება. თავად განსაკუთრ, პოპვარსკვლავი მეუღლე ჯეიმი რედნაპსაც ჰყავს, მაგრამ მისი და ლუიზის ფოტოებს ყველა ჟურნალის ყველა გვერდზე ნამდვილად ვერ ნახავთ“.

შემდეგ ლორენსონმა დასძინა, რომ ბექემის პრანჭვას ბოლო დროს მისი ცოლის ტელეშოუმაც გადაასხა ცეცხლზე ნავთი. „ვიქტორიას საიდუმლოებანი“, ასე ჰქვია შოუს, რომლის პრემიერაც CHANEL 4-ზე 2000 წლის პირველ სამშაბათს გაიმართა.



დევიდ ბექემი და ვიქტორია ადამსი

„ვგონებ, ყველამ უცქირეთ ვიქტორიას მის სადებიუტო შოუში, მაგრამ ეს მისი, ვიქტორიას დიდება და სახელია და არა დევიდის. ყველგან, ყველგან, პირველ, შუა თუ ბოლო გვერდებზე ბექემები არიან გამოსახულნი და თანაც ვიქტორიას თავისი ტელეშოუ აქვს. ვფიქრობ, ვიღაცამ უნდა უთხრას მათ, რომ ამდენი პრანჭვა — გრეხვა გამაღიზიანებელია“ — თქვა ლორენსონმა.

ადრე „მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელმა ალექს ფერგიუსონმა თქვა, რომ ფეხბურთელებს ხშირად დიდი ცდუნების გაძლება მართებთ, მაგრამ, როგორც ჩანს, ბექემს ეს გაუჭირდა.

ლორენსონმა კი ასე შეაფასა ვითარება: „ვგონებ, ის კი არ უნდა თქმულიყო, რომ ზეწოლამ ბექემს „ნეკაქსასთან“ შეხვედრაში თავი გააგდებინა, არამედ ის, რომ მის ადგილას ნებისმიერი სხვა მანჩესტერელი კორექტულად მოიქცეოდა“.

რაც შეეხება ვიქტორიას ტელეშოუს, სტუმრად იყვნენ დიზაინერი ვალენტინო, ფეხბურთელი ვინი ჯონსი და მსახიობი როჯერ მური. პროფესიონალებმა კი ერთხმად აღნიშნეს, რომ ბექემის მეუღლეს ინტერვიუს ტექნიკა ფრიად დაუხვეწავი აქვს და ცნობილ ინგლისელ შოუმენებს ახალი კონკურენტის გამოჩენისა არ უნდა ეშინოდეთ.



მარკ ლორენსონი

სად წავიდნენ ევროპელები?

მსოფლიოს პირველი საკლუბო ჩემპიონატი ჯერ არ დასრულებულა, მაგრამ მის გარშემო უკვე მსჯელობენ — რა შეჯიბრება იშვა? ფიფას, მოგეხსენებათ, სერიოზული და პრესტიჟული ტურნირი აქვს ჩაფიქრებული. იდეის თანახმად საკლუბო ფეხბურთისთვის იგი უნდა იქცეს იმად, რაც სანაკრებოსთვის ჩვენთვის ასე ნაცნობი „ნამდვილი“ მსოფლიო პირველობა გახლავთ, მაგრამ მის შობას დიდი წინააღმდეგობანი და სკეპტიციზმი დაუხვდა.

ინტერვიუ, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ, ვნნ-მა შეჯიბრების ორ მონაწილეს, „რეალის“ სტივ მაკმანამანსა და „მანჩესტერ იუნაიტედის“ რაიან გიგზს ბრაზილიაში გამგზავრებამდე ჩამოართვა, მაგრამ, ვგონებთ, მისი წაკითხვა დღესაც საინტერესოა.

რაიან გიგზი

სტივ მაკმანამანი

— რამდენად მნიშვნელოვანია კლუბთა მსოფლიოს ჩემპიონატი?

მაკმანამანი: „რეალი“ შეჯიბრებას ძალიან სერიოზულად უდგება. მგონი ხალხი სანახაობას ელის, თუმცა ნებისმიერი სიახლის თანამდევ პროცესებს, ალბათ, ვერც აქ ავიცილებთ თავიდან. კლუბთა პირველ მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობა ევროპული გუნდებისთვის, კერძოდ „რეალისა“ და „მანჩესტერ იუნაიტედისთვის“ დიდი პატივია. ჩვენ მთელი მსოფლიოს აუდიტორიის შეკრების საშუალება გვეძლევა და აგრეთვე შეგვიძლია უდიდეს მეტოქეებთან ბრძოლაში დავამტკიცოთ საკუთარი უნარი.

გიგზი: „ძალიან ბევრი დაინერა და ითქვა ამ შეჯიბრებასა და იმაზე, რომ მისი გულისთვის „მანჩესტერ იუნაიტედმა“ ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თასზე თამაში იუარა. რაც შეეხება ჩვენს დამოკიდებულებას, იგი მარტივია, როგორც ნებისმიერ სხვა შეჯიბრებაში, ჩვენ აქაც გამარჯვება გვწადია. ბრაზილიაში დასასვენებლად არ ჩავალთ და მიუხედავად იმისა, რომ ტოკიოში საკონტინენტთაშორისო თასი უკვე მოვიგეთ, ვგონებ, აქაც ძალიან დიდი ტიტულისთვის მოგვიწევს ბრძოლა.

— რა იცით მეტოქეებზე?

მაკმანამანი: ცნობილი ფეხბურთელების გვარები გვსმენია, სხვა მხრივ კი ბრმად მივემგზავრებით, საერთოდ, ბრაზილიაში წამსვლელმა კაცმა ბუნებრივიცაა ცალკეულ ფეხბურთელთა შესახებ მეტი რომ იცოდე. ძალიან კარგია, რომ ჩვენს გუნდში ბრაზილიელები თამაშობენ, თუმცა მათ, ცხადია, ევროპაში ისეთი თვისებებიც შეიძინეს, რომ დღეს თანამემამულეთაგან განსხვავდებიან.

გიგზი: მეტოქეთა უმეტესობა ჩვენთვის უცნობია. მართალია ბრაზილიური ფეხბურთის ცალკეული თამაშები მინახავს, მაგრამ ეს საკმარისი არ უნდა იყოს. ეჭვი არ მეპარება მათ მეტი იციან ჩვენზე, ვიდრე ჩვენ მათზე, რადგან პრემიერლიგა მთელს მსოფლიოში პოპულარულია და თან ევროპაში ბევრი ბრაზილიელი თამაშობს.

— ამინდს როგორ შეეგუებით?

მაკმანამანი: ესპანეთში გადაბარგების შემდეგ სიცხეში თამაშს შევეგუე და დეჰიდრაციის პრობლემა აღარ მაწუხებს. სამხრეთში ისე სწრაფად, პრემიერლიგაში რომ დავრბოდი, ბუნებრივია ვერ ვირბენ, მაგრამ ნებისმიერმა მოთამაშემ საკუთარი ტემპი უნდა გამოიმუშაოს.

გიგზი: ინგლისურ კლიმატს შეჩვეული კაცისთვის ძნელია სიცხეში თამაში. თაკარა მზეში გვითამაშია, მაგრამ ტურნირზე არ ვყოფილვართ. სიცხე გთანგავს და ძალების აღდგენა გჭირდება.

— გამარჯვება ჯეროვან სახელსა და პატივს მოგიტანთ?

მაკმანამანი: შეჯიბრება ფიფას მოგონილია და ამიტომ, ვგონებ, ხალხი მასში გამარჯვებას ღირსეულად დააფასებს. სკეპტიციზმს ვერ გავექცევით, მაგრამ ამას დრო წაიღებს. არ გამოვრიცხავ, რომ აქ უფრო ძლიერ გუნდებს გადავეყაროთ, ვიდრე ევროთასებზე.

გიგზი: გამარჯვება როგორც კლუბისთვის, ასევე ფეხბურთელებისთვის მნიშვნელოვანი იქნება, რადგან ფეხბურთის ასოციაციის თასზე უარის თქმამ სამშობლოში ბევრი ადამიანი გაგვინაწყენა. მგონი ხალხი ამ შეჯიბრებას საბოლოოდ ისევე მიიღებს, როგორც, ვთქვათ, ჩემპიონთა თასს.

თარგმნა მიხეილ სურგულაძემ

ის, რატომღაც შერეკილი არ ჯობია

ანჯელო პერუცი

ანჯელო პერუცი „ინტერში“ ყველაზე დაუცველი ადამიანია. რატომ? იმიტომ, რომ საჯარიმო მოედანი დიდია, ბურთი მის ყველა მონაკვეთზე დახტის და სულ იოლად შეიძლება კარში შევარდეს. მეკარე თამაშის დროს ყარაულში გამწესებულ ჯარისკაცს ჰგავს. ის ჯგუფის სხვა წევრებისგან შორსაა და მტერს უთვალთვალებს. იგი დაცვის ბოლო კაცია. სწორედ ის იხსნის გუნდს გოლის გაშვებისგან. მის უკან არავინაა.

მეკარეებზე მრავალი თქმულა. ისიც კი უთქვამთ, ასეთ საქმეში თავს მხოლოდ გიჟი თუ გაყოფსო. ალბათ ამიტომაც იღებავს ზოგი მათგანი თმებს, ზოგს კი წარმოდგენაც არ აქვს მაისურაზე რა აწერია.

ამ ლოგიკის მიხედვით ანჯელო პერუცი ნამდვილი მეკარე არ არის, რადგან შერეკილს ა[illegible]ერი უგავს. იგი სულაც არ გახლ[illegible] ექსტრავაგანტური, ჩვეულებრივი ახალგაზრდაა მანიებისა და უცნაურობების გარეშე.

„ცრუმორწმუნე არ გახლავართ. ცუდის მომასწავებელი ნიშნებისა არ მწამს, ეს ნიშნები სისულელეა. რაღაცის კარგად ან ცუდად დაცდა დამარცხებისგან მაინც არ გიხსნის. ერთადერთი, რაც მატჩების წინ მჩვევია, პირჯვრის გადაწერაა, თუმც ვიცი, რომ ღმერთი ფეხბურთის გამო არ უნდა შეაწუხო. ჩვენ ხომ სიცოცხლეს არ ვრისკავთ. ყველაფერს საკუთარ ოსტატობაზე დაყრდნობა სჯობს. უნდა სცადო საუკეთესო თვისებები გამოამჟღავნო“ — ამბობს იგი და თავს უტყვ კაცად მიიჩნევს — „ბევრს არ ვლაპარაკობ. ხმას მაშინ ვიღებ, როცა ეს საჭიროა“.

პერუცი თვლის, რომ კარგი შედეგებისთვის გუნდის ერთსულოვნება აუცილებელია: „ამხანაგობა გუნდში კონკურენციის გაძლებისა და ერთად ბრძოლის საწინდარია. „ინტერში“ მეგობრულ სულს ვგრძნობ და ეს ძლიერ გვეხმარება, როდესაც მოთამაშეებსა და მწვრთნელებს რაიმეს ერთობლივად გადაწყვეტა გვჭირდება. თანამოზრეების ჯგუფში ყოფნა წინააღმდეგობათა დაძლევისკენ გვიბიძგებს. შეიძლება ესა თუ ის თამაში ვერც მოიგო, წაგებაც ფეხბურთის შემადგენელი ნაწილია, მაგრამ ის მაინც იცი, რომ შენ და შენმა მეგობრებმა ძალ-ღონე არ დაიშურეთ ანუ წინ დიდებული სეზონი გელით. ძნელი სათქმელია, როგორ უნდა მივაღწიოთ გუნდურ ერთსულოვნებას, ოღონდ აზრისა და მიზნის მთლიანობა ორი გადამწყვეტი მომენტია“.

შემდეგ პერუცი იდეალური ვითარების დახატვას ცდილობს. „პრობლემები და შეხლა-შემოხლა ცოლქმრობაშიც არსებობს და ეს ნორმალურია, ოღონდ მთავარი, მათი დაძლევა და გამოსავლის მოძებნა გახლავთ. მთავართა შორის მთავარი კი შურის გარეშე ცხოვრებაა. თუ გშურს, ესე იგი გუნდურ ცხოვრებას ფეხს ვერ უწყობ“.

პერუცი მოედანზე მოთმინებას არასოდეს კარგავს...

„დიახ, მაგრამ ეს ძალიან ძნელია. თუ დაცვა კარგად ვერ თამაშობს, ნერვები გეშლება და სრულიად შესაძლებელია მოთმინების ფიალაც აგევსოს, მაგრამ ყველას თავისი ხასიათი აქვს. თუ მეგობრებს ნამდვილად ენდობი, უნდა იცოდე, კარგს ამბობს, ზოგზე ცუდს. ცხადია ფეხბურთელი ამას გრძნობს. მთელი სტადიონი რომ იქ შენს სანახავად მოვიდა, შენ კი ყურები გასხია და გესმის როგორ ყვირის ამდენი ხალხი, მაგრამ ყურადღება არ უნდა გაგეფანტოს, თორემ, ვიმეორებ, 70 ათასი ადამიანის იგნორირება ყოვლად შეუძლებელია.

ვინ თამაშობს ერთსულოვანი ჯგუფის შექმნაში მთავარ როლს?

„ბუნებრივია უპირველეს ყოვლისა პრეზიდენტი, მაგრამ მის გარდა ჩვენთან, ინტერელებთან ლელე ორეალი და სხვა მწვრთნელები მუშაობენ. ისინი ძალიან ბევრს შრომობენ, რათა ჩვენ ერთსულოვნების შეგრძნება ჩამოგვიყალიბონ“.

ორეალიც უტყვი კაცია...

„მე მას ძალიან დიდ პატივს ვცემ, რადგან მიუხედავად უდიდესი საფეხბურთო გამოცდილებისა, არასდროს გვაგრძნობინებს თავის მნიშვნელოვნებას. იგი აზრს მაშინ გვიზიარებს, როდესაც ამის აზრი და წონა აქვს. ვგონებ, მართლა სჯობს ცოტა და მხოლოდ საჭირო დროს ილაპარაკო“.

პერუცის კარიერაში გუნდურ სულისკვეთებას ყოველთვის ასეთი დიდი როლი ენიჭებოდა?

„ვგონებ, „იუვენტუსმა“ აურაცხელი ტიტული იმიტომ კი არ მოიგო, რომ საუკეთესო გუნდი იყო, არამედ იმიტომ, რომ ფეხბურთელებს საკუთარი კოლექტივისა სწამდათ. „ინტერში“ კვლავ შევხვდი კოლეგებს, რომლებთანაც ადრე ვთამაშობდი. ვშიშობდი, რომ ქომაგები ეჭვის თვალით შეგვხედავდნენ, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ჩვენ, ყველანი ახალი ჯგუფის ორგანულ ნაწილად ქცევას ვცდილობთ. ამ მოთამაშეთაგან ბევრი სულაც არ შეცვლილა. ზოგი მათგანი, მაგალითად იუგოვიჩი, სოუზა და ვიერი უცხოეთშიც თამაშობდნენ, მაგრამ ჩამოყალიბებული განსხვავებების დაძლევას ვცდილობთ. მე მათ ძალიან კარგად ვიცნობ, ვიცი მათი რეაქციები. მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ ერთსულოვნება ძნელი მისაღწევია. მაგალითად, ნაკრებში ვალდებული ხარ გახდე იმ ბიჭების თანამებრძოლი, რომლებიც ჩემპიონატში შენი დიდი მეტოქეები არიან. ბუნებრივია, აქ უფრო ძნელი საქმეა.

„ინტერში“ პრობლემებს მრავალეროვნულობა ხომ არ იწვევს?

„უცხოელები, თუ ადგილობრივთა თვისებებთან შეგუებას არ ეცდებიან, მხოლოდ საკუთარ თავს შეუქმნიან სირთულეებს. საბედნიეროდ, ჩვენთან ასეთი პრობლემები არ არის. ვგონებ, ევროკავშირის წევრობა ჩვენ გამოცდილებას გვძენს და საზღვრებს გვიფართოვებს. დღეს რასები ირევა და ხალხი ერთმანეთს თავიანთ საუკეთესო თვისებებს უზიარებს. ფეხბურთშიც იგივე პროცესებია, სხვადასხვა კულტურის ადამიანები ერთმანეთს ეცნობიან“.

და ბოლოს, შეიძლება ითქვას, რომ ნებისმიერი გუნდი, რომლის რაობის ამოცნობაც ძნელია, ადამიანებისგან შედგება.

„ყველა ცდილობს საუკეთესო გაიღოს და არა მხოლოდ მოედანზე, არამედ ჩვეულებრივ გუნდურ ცხოვრებაშიც. ჩვენ ხომ ყოველდღე ერთად ვართ და ვმუშაობთ. ბაჯო ძალიან ენამოსწრებულია და უდიდესი ენერგია აქვს, ბლანი კი მშვიდზე მშვიდია. ის კრიტიკულ სიტუაციებში გონებას არ კარგავს. ვიერი სიტყვაძუნწია, მაგრამ კარგად იცის საჭირო მომენტში თანაგუნდელები როგორ გაამხნევოს, პანუჩი კი პირიქით, ძალიან ბევრს ლაპარაკობს როგორც ვარჯიშის, ასევე თამაშის დროს და თან, მისი საუბარი ყოველთვის პოზიტიურია. ძალიან სასაცილო ბიჭია რეკობა, სულ ხუმრობს, ხოლო რონალდო არასდროს გამოიყოფა ჯგუფისგან. მოკლედ, ჩვენ კარგი გუნდი გვყავს“.

სუზანა კერმელინგერი
თარგმნა პაპუნა კედიამ

ანჯელო პერუციმ (ბურთით) მრისხანე მილანელების ანდრეი შევჩენკოსა და ჟორჟ ვეას (შუაში) შეტევა მოიგერია

ქართული კალათბურთის ასწლეული

ოთარ ქორქია საუკუნის კალათბურთელია

გასული წლის ბოლოს საქართველოს კალათბურთის ფედერაციამ საგანგებო რეფერენდუმი მოაწყო და ოცდამეერთე საუკუნის მიჯნაზე საყადრისი პატივიც მიაგო ქართული კალათბურთის ამაგდართ. ფედერაციის აღმასკომის თხუთმეტმა წევრმა მეოცე საუკუნის საუკეთესო ქართველი კალათბურთელი, საუკუნის ხუთეული, საუკუნის ნაკრები, საუკუნის მწვრთნელები და მსაჯები გამოავლინა.

ოთარ ქორქია

საუკუნის კალათბურთელი

ოთარ ქორქია	9
ზურაბ საკანდელიძე	4
მიხეილ ქორქია	4

საუკუნის ნაკრები

ოთარ ქორქია	15
მიხეილ ქორქია	15
ვლადიმერ უგრეხელიძე	15
ზურაბ საკანდელიძე	15
გურამ მინაშვილი	15
ვლადიმერ სტეფანია	14
ნიკოლოზ დერიუგინი	13
ნოდარ ჯორჯიკია	11
ალექსანდრე გლურჯიძე	10
ლევან მოსეშვილი	9
სერგეი კოვალენკო	9
ვალერი ალთაბაევი	9

საუკუნის მწვრთნელი

სულიკო თორთლაძე	15
მიხეილ კეკელიძე	15
გიორგი ავალიშვილი	14
შალვა დიასამიძე	9
ლევ ძეკონსკი	7

საუკუნის მსაჯი

როლანდ ხომერიკი	15
გოგი ავალიშვილი	14
ვახტანგ ჯაფარიძე	14
მურმან ქურიძე	12
ლევან ფალავანდიშვილი	10

საუკუნის ხუთეული

გურამ მინაშვილი



ზურაბ საკანდელიძე



მიხეილ ქორქია



ვლადიმერ სტეფანია

ოთარ ქორქია

ამერიკელები სიდნეიში

ამერიკის კალათბურთის ფედერაციამ საბოლოოდ დაადგინა „დრიმ თიმ 4"-ის, ანუ ამერიკის შეერთებული შტატების იმ ნაკრების შემადგენლობა, რომელიც სიდნეის 2000 წლის ოლიმპიადაზე იასპარეზებს.

12-კაციან გუნდში სამი ვაკანსია იყო დარჩენილი, რომელთა შევსებაზე ძლიერ კალათბურთელთა მთელი წყება აცხადებდა პრეტენზიას. საბოლოოდ, ფედერაციის ცხრაკაციანმა საბჭომ არჩევანი შეაჩერა გრანტ ჰილზე (დეტროიტი), ალონზო მურნინგზე (მაიამი) და რეი ალენზე (მილუოკი).

ოლიმპიადის საგზური ამერიკის ნაკრებმა შარშანდელ ზაფხულში მოიპოვა, როცა პუერტო რიკოში მოიგო შესარჩევი ტურნირი. იმ გუნდიდან ფედერაციამ დაითხოვა ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ახალბედები ვალი შჩერბიაკი (მინესოტა), ელტონ ბრენდი (ჩიკაგო) და რიჩარდ ჰამილტონი (ვაშინგტონი) და შემცვლელების ძებნას შეუდგა. სხვათა შორის, ახალბედების-დათხოვნა წინასწარვე იყო დაგეგმილი, ისევე როგორც, საბოლოო შემადგენლობის იანვრის დასაწყისში დასახელება.

გრანტ ჰილის გუნდში გამოჩენა მოულოდნელი სრულებითაც არ არის. იგი ჯერ კიდევ პუერტო რიკოს ტურნირზე აპირებდა წასვლას, მაგრამ ამის გაკეთებაში საკუთარმა ქორწილმა შეუშალა ხელი. ალონზო მურნინგმა ნაკრებში ადგილი შაკილ ონილის უარის გამო მიიღო — „ლეიკერსის" ცენტრს სიდნეის ბილეთი დაჯავშნული ჰქონდა, მაგრამ გუნდში 42-დღიან ყოფნას სამი წლის ქალიშვილთან თამაში ამჯობინა. რეი ალენმა კი კენჭისყრის შედეგად 6:3 აჯობა „ტორონტოს" ფორვარდ ვინს კარტერს. აღსანიშნავია, რომ ამავე ადგილს უმიზნებდნენ ალენ აივერსონი (ფილადელფია), კობი ბრაიანტი (ლეიკერსი) და ედი ჯონსი (შარლოტი), მაგრამ მათ ერთი ხმაც კი ვერ მიიღეს. ამერიკის კალათბურთის ფედერაციამ განაცხადა, რომ გუნდს სამქულიანების ზუსტი შემსრულებელი სჭირდებოდა და ალენის აყვანაც ამითაა გაპირობებული.

ამრიგად, სიდნეის ოლიმპიადაზე ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრები ამ შემადგენლობით ითამაშებს: გერი პეიტონი, ვინ ბეიკერი (ორივე სიეტლი), ჯეისონ კიდი, ტომ გულიოტა (ორივე ფინიქსი), ტიმ ჰარდეევი, ალონზო მურნინგი (ორივე მაიამი), ალან ჰიუსტონი (ნიუ იორკი), რეი ალენი (მილუოკი), სტივ სმიტი (ატლანტა), გრანტ ჰილი (დეტროიტი), კევინ გარნეტი (მინესოტა), ტიმ დანკანი (სან ანტონიო).

ვაქირავებ ან ვყიდი

გარემონტებულ 1-ოთახიან იზოლირებულ ბინას ტელეფონით და ბუნებრივი აირით

სარაჯიშვილის მეტროსთან

☎ 60 21 23

ევროსტარზი-99. მოსკოვი. 28 დეკემბერი

აღმოსავლეთი 112:107 დასავლეთი

აღმოსავლეთი: ბოდიროგა (18), ბოუი, კარასიოვი (20), კატაში (16), კირილენკო (10), კუდელინი (9), ქუთლუაი (6), რივერსი (5), ტარლაჩი (18), ზიდეკი (10). რაჯას და რებრაჩას არ უთამაშიათ.

დასავლეთი: აბიო (5), ბერდი (13), ბილბა (4), ედნი (19), ეკონომუ (9), ფუჩკა (9), კარნიშოვასი (29), მენგინი (7), მილიჩი (6), ს. ვრანკოვიჩი (6). მაიერსს და რიგოდოს არ უთამაშიათ.

„ევროსტარზის" უძვირფასეს მოთამაშედ დასახელეს ტაიუს ედნი.

სლოვენია

XV ტური

ოლიმპია — როგლა ატრასი 93:62, სავინსკი — ჰელიოსი 99:88, კრკა — ზაგორიე 90:61, კრაშკი ზიდარი — პივოვარნა 69:98, ლოკა კავა — ტრიგლავი 73:57

მარიბორი 58:87 სლოვანი

მარიბორი: პეტროვიჩი (7), გლადოვიჩი, ლოგშე, რავნიკარი (7), ბროლიჩი (1), ტოვორნიკი (16), რიტონია (22), ილეშიჩი (5), გრუიცი

სლოვანი: ნოვაკი (13), ლაკოვიჩი (7), უაკელი (3), შინკოვეცი (8), უგრეხელიძე (5), ჯურკოვიჩი (14), კოვაჩი, პავიჩი (10), ბოისა (13), შუშტარშიჩი (12), ცძიტიშვილი (2)

XVI ტური

ჰელიოსი — ოლიმპია 66:98, როგლა ატრასი — მარიბორი 76:83, ზაგორიე — კრაშკი ზიდარი 78:77, პივოვარნა — ლოკა კავა 100:81, ტრიგლავი — პოლზელა 77:67

სლოვანი 70:76 კრკა

სლოვანი: ნოვაკი (16), ლაკოვიჩი (5), უაკელი (5), შინკოვეცი (4), ჯურკოვიჩი (16), კოვაჩი (3), პავიჩი (4), ბოისა (11), შუშტარშიჩი (2), ცძიტიშვილი (4)

კრკა: დრაჟოვიჩი (3), იევტოვიჩი (6), პეტროვი (10), სმოდიში (29), ვისკოვიცი (4), გრუმი (2), დრობნიაკი (4), შჩეკიჩი (5), ნაკიჩი (13)

ოლიმპია	16	16	0	1448:963	32
პივოვარნა	16	14	2	1415:1149	30
კრკა	16	13	3	1265:1099	29
სლოვანი	16	9	7	1170:1117	25
ტრიგლავი	16	9	7	1157:1190	25
ზაგორიე	16	9	7	1188:1232	25
სავინსკი	16	7	9	1252:1257	23
მარიბორი	16	5	11	1090:1322	21
ლოკა კავა	16	4	12	1091:1231	20
როგლა ატრასი	16	4	12	1130:1275	20
ჰელიოსი	15	4	11	1116:1294	19
კრაშკი ზიდარი	15	1	14	1027:1220	16

საბერძნეთი

XIII ტური

ოლიმპიაკოსი — დაფნი 64:58, ნიარ ისტი — ესპეროსი 85:84, პერისტერი — სპორტინგი 79:71, პანიონიოსი — მარუსი 66:57, ირაკლიონი — ირაკლისი 92:77, აეკ — პაოკ 71:63, არისი — პანათინაიკოსი 64:61

XIV ტური

ოლიმპიაკოსი — ირაკლიონი 67:64, არისი — ირაკლისი 67:76, პერისტერი — ესპეროსი 88:59, აეკ — სპორტინგი 63:52, დაფნი — მარუსი 83:74, პანიონიოსი — პაოკ 88:72, ნიარ ისტი — პანათინაიკოსი 73:81

პანათინაიკოსი	14	12	2	1044:858	26
აეკ	14	12	2	1056:902	26
ოლიმპიაკოსი	14	11	3	991:883	25
პაოკ	14	9	5	1045:980	23
პერისტერი	14	8	6	1041:997	22
პანიონიოსი	14	7	7	1018:996	21
ირაკლისი	14	7	7	1000:990	21
მარუსი	14	6	8	957:989	20
ნიარ ისტი	14	6	8	1061:1145	20
ირაკლიონი	14	6	8	1013:997	20
დაფნი	14	5	9	981:1095	19
არისი	14	5	9	964:983	19
ესპეროსი	14	2	12	927:1133	16
სპორტინგი	14	2	12	905:1055	16

თურქეთი

XV ტური

თოფაში — ეფესი 70:64, ტელეკომი — დარუშაფაკა 88:71, ტროი — ულქერი 93:98, ფენერბაჰჩე — ქომბასანი 78:65, გალათასარაი — მიდონოსე 88:78, ითუ — ოიაქი 62:63, ბეშიქთაში — ქარშიაქა 56:48

ქარშიაქა	15	11	4	1105:1013	26
თოფაში	15	11	4	1128:1011	26
ეფესი	15	11	4	1130:1053	26
ტელეკომი	15	10	5	1155:1081	25
ბეშიქთაში	15	9	6	1111:1076	24
ულქერი	15	9	6	1117:1082	24
გალათასარაი	15	9	6	1132:1061	24
დარუშაფაკა	15	9	6	1127:1121	24
ფენერბაჰჩე	15	9	6	1172:1111	24
ითუ	15	4	11	982:1122	19
ტროი	15	4	11	1143:1233	19
ქომბასანი	15	4	11	1050:1088	19
მიდონოსე	15	4	11	1157:1244	19
ოიაქი	15	1	14	971:1178	16

საფრანგეთი

XVII ტური

ბეზანსონი — დიჟონი 87:94, პო ორტეზი — შამპანი 86:76, ლე მანი — მონპელიე 83:61, ანტიბი — ნანსი 63:46, ევრე — პარი სენ ჟერმენი 71:69, ვილერბანი — ლიმოჟი 75:74, საონი — გრაველინი 96:69, შოლე — სტრასბური 82:83

ვილერბანი	17	14	3	1314:1150	31
პო ორტეზი	17	14	3	1348:1261	31
ლიმოჟი	17	11	6	1259:1176	28
ლე მანი	17	11	6	1255:1198	28
საონი	17	10	7	1281:1206	27
შოლე	17	10	7	1274:1240	27
პსჟ	17	9	8	1232:1125	26
სტრასბური	17	9	8	1247:1254	26
დიჟონი	17	8	9	1261:1224	25
ევრე	17	8	9	1183:1215	25
ბეზანსონი	17	7	10	1273:1264	24
ნანსი	17	6	11	1161:1179	23
ანტიბი	17	6	11	1158:1296	23
შამპანი	17	5	12	1181:1261	22
მონპელიე	17	5	12	1155:1292	22
გრაველინი	17	3	14	1105:1346	20

იტალია

XVI ტური

იმოლა — ბენეტონი 89:97, ძუკეტი — კინდერი 81:90, ვარეზე — ადეკო 94:64, ვიოლა — აეროპორტი 70:79, მიულერი — პეპსი 72:73, ტრიესტი — კანტუ 75:65, რეჯანა — სიენა 73:81, ფორტიტუდო — სკავოლინი 92:74

XVII ტური

კანტუ — ვარეზე 63:66, პეპსი — ფორტიტუდო 68:70, აეროპორტი — იმოლა 78:73, ბენეტონი — რეჯანა 82:71, სკავოლინი — მიულერი 81:63, ადეკო — ძუკეტი 67:66, სიენა — ტრიესტი 80:69, კინდერი — ვიოლა 91:74

ფორტიტუდო	17	16	1	1312:1120	33
კინდერი	17	13	4	1328:1143	30
აეროპორტი	17	12	5	1253:1217	29
ბენეტონი	17	11	6	1257:1183	28
სიენა	17	11	6	1213:1143	28
სკავოლინი	17	11	6	1307:1252	28
ვიოლა	17	10	7	1262:1298	27
ძუკეტი	17	9	8	1257:1271	26
იმოლა	17	7	10	1341:1366	24
ტრიესტი	17	6	11	1201:1193	23
ვარეზე	17	6	11	1221:1254	23
ადეკო	17	6	11	1205:1296	23
კანტუ	17	6	11	1182:1296	23
პეპსი	17	5	12	1154:1251	22
მიულერი	17	4	13	1147:1244	21
რეჯანა	17	3	14	1283:1396	20

ესპანეთი

XVIII ტური

კასერესი — ტდკ 74:65, ესტუდიანტესი — ფორუმი 81:50, ბრეოგანი — კანარიასი 71:64, კანტაბრია — ბარსელონა 81:80, ხიხონი — ტაუ 67:81, ლეონი — კახა სან ფერნანდო 63:70, უნიკახა — ბადალონა 64:78, პამესა — ფუენლაბრადა 103:96, ხირონა — რეალი 64:69

XIX ტური

ხირონა — კასერესი 83:76, რეალი — პამესა 95:85, უნიკახა — ფუენლაბრადა 91:79, ბადალონა — ლეონი 76:67, კახა სან ფერნანდო — ხიხონი 81:63, ტაუ — კანტაბრია 97:76, ბარსელონა — ბრეოგანი 71:59, კანარიასი — ესტუდიანტესი 67:60, ფორუმი — ტდკ 90:53

პამესა	19	15	4	1549:1382	34
სან ფერნანდო	19	14	5	1420:1302	33
ტაუ	19	13	6	1547:1398	32
ესტუდიანტესი	19	12	7	1407:1323	31
ბარსელონა	19	12	7	1401:1318	31
რეალი	19	11	8	1425:1354	30
უნიკახა	19	11	8	1339:1303	30
ბადალონა	19	10	9	1488:1475	29
კანარიასი	19	10	9	1399:1429	29
ხირონა	19	9	10	1392:1350	28
კასერესი	19	9	10	1390:1424	28
ფორუმი	19	9	10	1307:1341	28
ბრეოგანი	19	7	12	1366:1455	26
ფუენლაბრადა	19	6	13	1434:1464	25
ტდკ	19	6	13	1271:1372	25
ხიხონი	19	6	13	1280:1430	25
კანტაბრია	19	6	13	1317:1506	25
ლეონი	19	5	14	1265:1371	24

რეგულარული ჩემპიონატი

ერთს გამოცდილება ემატება, მეორეს — ასაკი

REUTERS ლის ანჯელესიდან

ლეიკერსი — დენვერი. დენვერელი კრის ჰერინი
დერიკ ფიშერსა (მარცხნივ) და კობი ბრაიანტს შორის

10 იანვარი

ლეიკერსი 130:95 დენვერი

ლეიკერსი: ონილი (31 ქულა, 19 მოხსნა, 9 პასი, 5 დაფარება), ბრაიანტი (30)
დენვერი: მაკდაიესი (23)

პორტლენდი 107:94 დალასი

პორტლენდი: პიპენი (17), შრემპფი (17), სტუდემაიერი (17)
დალასი: ნოვიცკი (19)

სან ანტონიო 93:86 იუტა

სან ანტონიო: დანკანი (46 ქულა, 14 მოხსნა)
იუტა: მელოუნი (23 ქულა, 11 მოხსნა)

მილუოკი 137:87 შარლოტი

მილუოკი: ალენი (26), ტომასი (21)
შარლოტი: ვესლი (23)

ორლანდო 94:100 ნიუ ჯერსი

ორლანდო: არმსტრონგი (29)
ნიუ ჯერსი: მარბერი (22), ვან ჰორნი (20 ქულა, 10 მოხსნა)

კლივლენდი 111:106 კლიპერსი

კლივლენდი: სურა (20), მიურეი (20)
კლიპერსი: ანდერსონი (29), ოდომი (28)

ბოსტონი 103:112 ვანკუვერი

ბოსტონი: ანდერსონი (22), პოტაპენკო (19)
ვანკუვერი: ბიბი (33), ჰარინგტონი (27 ქულა, 12 მოხსნა)

„იუტა ჯაზი“ და „სან ანტონიო სფურზი“ და მათი ლიდერები — კარლ მელოუნი და დევიდ რობინსონი ჯერ კიდევ ტიმ დანკანის გამოჩენამდე ჭიდნენ ერთმანეთს. თუ ადრე მელოუნი და მისი „იუტა“ უფრო იმარჯვებდნენ, დანკანის „სფურზში“ მისვლამ ძველ მეტოქეთა ბრძოლას სხვაგვარი ლაზათი და ელფერი შესძინა. მელოუნმა რობინსონს თავი დაანება და თავისი ამპლუის დანკანს შეება. მათი დაპირისპირება თანამდროვე ნბა-ს კლასიკადაა მიჩნეული. თითქმის სიმბოლურიცაა — ძველი თაობის მრავალნაკადი ლეგიონი ლიგაში არცთუ დიდი ხნის წინ მისული პირტიტველა ვარსკვლავების წინააღმდეგ. ახლები უფრო და უფრო ჯაბნიან ბებრებს და დანკან-მელოუნის ჭიდილი ამას თვალნათლივ წარმოაჩენს. თანდათან იკვეთება დანკანის უპირატესობა, რადგან სანანტონიოელს გამოცდილება ემატება, იუტელს კი — წლები.

გასულ სეზონში კარლ მელოუნმა თავის ახალგაზრდა მეტოქეს გამოკითხვაში აჯობა და სეზონის უძვირფასესი მოთამაშის ტიტულს დაეპატრონა. მართალია, დანკანს მაშინ არაფერი უთქვამს, მაგრამ, ბუნებრივია, დიდი ბოღმა ჩაიდო გულში და შესაფერის მომენტს დაელოდა. 10 იანვარს იუტელები მასპინძლების საჩემპიონო ავტორიტეტს არ შეუშინდნენ და მელოუნის თავკაცობით დიდი ბრძოლა გამართეს. ჩემპიონი ფეხზე მყარად ვერ იდგა, მომხდურებს წინააღმდეგობას მხოლოდ ორი კაცი უწევდა — დანკანი და ვეტერანი ტერი პორტერი (16 ქულა). არა, არც სხვა მასპინძლები ზოგავდნენ თავს, მაგრამ „ჯაზის“ კლანჭებში მოქცეული ერთობ შებორკილად ირჯებოდნენ და მარტო დანკანის შემყურე „სან ანტონიო“ მესამე მეოთხედის შემდეგ ცხრა ქულის სხვაობით 59:68 აგებდა. გაწბილებულმა გულშემატკივარმა ხელიც ჩაიქნია და „ალამოდღუმი“ სანახევროდ რომ დაიცალა, ყველაზე მთავარი მაშინ დაიწყო — სანანტონიოელთა ჯილამ სეზონში საუკეთესო თორმეტწუთიანი ითამაშა. მასპინძლებს მთელი მატჩი ასე რომ ჩაეტარებინათ, მტრისას, „იუტას“ რომ დაემართებოდა. მანამდეც შეუჩერებელი ტიმ დანკანი მთლად გადაირია და „იუტა ჯაზს“ საშინელი დღე დაადგა.

ახალგაზრდა სანანტონიოელმა ნასროლი ბურთების აბსოლუტურ უმრავლესობას მეტოქის კალათში მიუჩინა ადგილი, მეურვეებს პერსონალურებიც ბლრომად აჰკიდა, მთავარ მექოტე კარლ მელოუნს ხომ, თამამად შეიძლება ითქვას, სისხლი გაუშრო. ბებერ ჯანიან მელოუნს ახალგაზრდა დანკანის დევნაში არაქათი გამოელია და თავისიანთათვის ლამის უსარგებლო შეიქმნა... საბოლოოდ „ფოსტალიონი კარლი“ 23 ქულას დასჯერდა, დანკანს კი ორი ამდენი მოუგროვდა და თავისი სამწლიანი კარიერის პირადი რეკორდი ოთხი ქულით გაუუმჯობესა. ამასთან, ტიმმა აჯობა არა მარტო მელოუნს, არამედ მთლიანად მის გუნდს. ბოლო მეოთხედში მან, არც მეტი, არც ნაკლები, 19 ქულა მიითვალა, ერთით მეტი, ვიდრე მთლიანად „იუტამ“.

დანკანმა თავისი გუნდის მონაგარის ლამის ნახევარი პირად ანგარიშზეც ჩაიწერა. ვერაფერს იტყვი, ასეთი რამ მეტად იშვიათად ხდება. თამაშს ბოლომდე შემორჩენილმა 17 ათასმა გულშემატკივარმა კი თავის კერპს სამხრეთული ტემპერამენტით უქომაგა და მოითხოვა, დანკანი უძვირფასესად ეღიარებინათ. მართალია, უძვირფასესის გამოვლენამდე ჯერ კიდევ დიდი დროა, მაგრამ უკვე ცხადია, რომ „იუტასთან“ პაექრობამ ტიმი ამ წოდების უმთავრეს კანდიდატად აქცია.

„გამარჯვება ყოველთვის კარგია, მაგრამ ასე კარგა ხანია, არ გამიხარია. ათმაგად სასიამოვნოა, როცა „იუტას“ უგებ, თან ფიქრობ, ღღეს ოდნავ ვაჯობე კარლს“ — ამბობდა მატჩის გმირი შეხვედრის შემდეგ. ის, რომ ყმაწვილმა სანანტონიოელმა დაჩრდილა, არც კარლ მელოუნს დაუმალავს, თუმცა ეს ფაქტი იყო: იუტელი სინამდვილეს ვერსად გაექცევა.

„იუტა ჯაზის“ დამრიგებელმა ჯერი სლოუნმაც ერთობ აქო თავისი შეგირდის დამჩაგრავი და დასძინა, უძვირფასესის ტიტულის მთავარ კანდიდატად სწორედ ეგ ბიჭი მიმაჩნიაო.

უფრო იოლად იმარჯვა ჩემპიონობის კიდევ ერთმა კანდიდატმა „ლოს ანჯელეს ლეიკერსმა“, რადგან, რაც არ უნდა იყოს, მას არა „იუტას“, არამედ „დენვერის“ წინააღმდეგ უწევდა თამაში. ეს უკანასკნელი მართალია ამ სეზონში საგრძნობლად მოყოჩაღდა, მაგრამ „ნაგიტსი“ ჯერ იმ დონის გუნდი არ არის, შაკილ ონილს და კომპანიას რაიმე შეჰკადროს, მით უმეტეს, ახლა, როცა „ლეიკერსი“ აწყვეტილ ბულასა ჰგავს და ვინც მოხვდება, ყველას ფეხქვეშ თელავს. ლოსანჯელესელებმა უკვე ზედიზედ მეთხუთმეტე მეტოქე გაამწარეს და შეხვედრის საბოლოო ანგარიშიდანაც მშვენივრად ჩანს, რომ ბოლო წუთებზე არ უხსნიათ თამაში.

კარგა ხანია, „ლეიკერსი“ ასეთი ძლევამოსილი არ ყოფილა. თხუთმეტი თამაშის ზედიზედ მოგება თავის დროზე დიდი „ჩიკაგო ბულზისთვისაც“ არ ყოფილა იოლი. არადა, იგივე მოთამაშეებით წინა სეზონში „ლეიკერსი“ ცხრილის შუაში გახიდულიყო და თამაშს თამაშზე აგებდა. როგორც ჩანს, გუნდის ამგვარი შედეგიანობის მთავარ პირობად ახალი მწვრთნელი, ფილ ჯეკსონი უნდა მი[illegible]ნიოთ. კაცი, რომელმაც „ჩიკაგოს“ [illegible]ბიონობა ექვსჯერ მოუტანა. ჯეკსონ[illegible] ხელში „ლეიკერსის“ ვარსკვლავები სულ სხვაგვარად თამაშობენ, გამარჯვებებიც იოლად მოდის. შაკილ ონილი, კობი ბრაიანტი და მათთან გლენ რაისი ნებისმიერი მეტოქისთვის ურთულესი დასაძლევი ბარიერია.

კობი ბრაიანტმა, ისევე როგორც თითქმის ყველა თამაშში, თავისი საუკეთესო თვისებები გამოამჟღავნა. 21 წლის კობიმ პირველ მეოთხედში ერთბაშად 17 ქულა დაატეხა თავს მეტოქეს, ის მეოთხედი კი „ლეიკერსმა“ საშინელი ანგარიშით — 43:18 მოიგო. ბრაიანტს ხშირად ადარებენ მაიკლ ჯორდანს. მას არაერთხელ უთამაშია დიადი მაიკლის წინააღმდეგ და საკმაოდ კარგადაც. როცა ამას გაიგონებს, ბრაიანტი მორცხვად იღიმება. მას, ცხადია, ბევრი უკლია ჯორდანამდე, მაგრამ მის გვერდით დაყენებაც თავისთავად უდიდესი აღიარებაა ნებისმიერისთვის. და აი, ბრაიანტმა „დენვერს“, რომელსაც მის ამპლუაში საკმაოდ ძლიერი მოთამაშეები ჰყავს, პირველ მეოთხედში 17 ქულა ჩაუგდო, სულ კი — 30.

უმცროსი თანაგუნდელის დაწყებული საქმე წარმატებით გააგრძელა და დაასრულა დევკაცმა შაკილ ონილმა, რომელიც ფარისგან სამი მეტრის მოშორებითაა ბალღივით უსუსური, თორემ ფარქვეშ იგი უგვირგვინო მეფეა. ბლომად ქულებსა და მოხსნებათან ერთად ონილმა ლამის პატარა სასწაული ჩაიდინა, იმდენი. პასი ჩამოურიგა თანაგუნდელებს, გამთამაშებელსაც შეშურდებოდა. საბოლოოდ შაკს ერთით მეტი პასი რომ გაეკეთებინა, სამმაგ დუბლის ავტორი შეიქნებოდა, ეს კი შაკილ ონილისგან ნამდვილად პატარა გმირობის ტოლფასია.

„დენვერზე“ გაცილებით ცუდ დღეში ჩავარდა „შარლოტ ჰორნეთი“. ლიდერის, ედი ჯონსის არყოფნაში „შარლოტი“ თავის ლანდს დაემსგავსა. გუნდმა უკვე ზედიზედ მეექვსედ წააგო და აღმოსავლეთში მეორედან მეშვიდე ადგილზე ჩაინაცვლა. განსაკუთრებით საშინლად განაგრძრნენ „ბზიკები“ ბოლო თამაშში „მილუოკისთან“ და ალბათ 10 იანვარი დიდხანს ემახსოვრებათ, როგორც ერთადერთი ყველაზე კოშმარული ღღე თავიანთ სიცოცხლეში. „მილუოკიმ“ კი ზედიზედ მეექვსე შინაური გამარჯვება მოიპოვა, თან უამრავი რეკორდიც დაამყარა. აი, რამდერიმე მათგანი: 55 თამაშიდან ჩაგდებული სროლა და 46 შედეგიანი გადაცემა მიმდინარე სეზონის ლიგის საუკეთესო შედეგია. გუნდის ყველა დროის რეკორდია ერთ მატჩში ჩაგდებული 13 სამქულიანი და თამაშიდან ჩაგდებული ბურთების 64 პროცენტი. 50 ქულის სხვაობით გამარჯვება ყველაზე დიდია მიმდინარე სეზონში... და კიდევ სხვა მრავალი რეკორდის ავტორი შეიქნა „მილუოკი“, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. მატჩის შემდეგ მასპინძელთა გამთამაშებელ სემ კასელს, რომელმაც 18 ქულა და 12 პასი მიითვალა, ჰკითხეს, თუ გეცოდებათ ძლეული მეტოქე. „არა, რადგან დარწმუნებული ვარ, ისინიც ივიგეს დიდი სიამოვნებით გააკეთებდნენ, ჩვენ რომ ამის საშუალება მიგვეცა“ — უპასუხა კასელმა.

ირაკლი ფირაშვილი

აღმოსავლეთის კონფერენცია

ატლანტიკის დივიზიონი	მ	წ	%
მაიამი	21	11	65,6
ნიუ იორკი	20	13	60,6
ფილადელფია	19	16	54,3
ორლანდო	16	19	45,7
ბოსტონი	14	19	42,4
ნიუ ჯერსი	14	20	41,2
ვაშინგტონი	11	23	32,4
ცენტრალური დივიზიონი			
ინდიანა	22	11	66,7
მილუოკი	20	15	57,1
ტორონტო	18	15	54,5
დეტროიტი	18	15	54,5
შარლოტი	18	16	52,9
კლივლენდი	15	19	44,1
ატლანტა	12	21	36,4
ჩიკაგო	5	26	16,1

დასავლეთის კონფერენცია

შუა დასავლეთის დივიზიონი			
სან ანტონიო	24	12	66,7
იუტა	22	11	66,7
მინესოტა	17	14	54,8
დენვერი	17	16	51,5
ჰიუსტონი	10	23	30,3
დალასი	10	24	29,4
ვანკუვერი	10	24	29,4
წყნარი ოკეანის დივიზიონი			
ლეიკერსი	30	5	85,7
პორტლენდი	26	8	76,5
სიეტლი	21	13	61,8
საკრამენტო	19	12	61,3
ფინიქსი	19	13	59,4
კლიპერსი	10	23	30,3
გოლდენ სტეიტი	6	27	18,2

კვირის მოთამაშე

გრანტ ჰილი
• დეტროიტი •

ეს წოდება კარიერაში მეხუთედ ერგო „დეტროიტ პისტონზის“ 203-სანტიმეტრიან ფრთას გრანტ ჰილს, რომელმაც გასულ კვირაში იშვიათი ბომბარდირული თვისებები გამოავლინა და ოთხ მატჩში საშუალოდ 38,8 ქულა მოაგროვა. ამასთან, საშუალოდ 5,3 მოხსნა და 7,5 პასი მიითვალა. ჰილი საერთოდ უნივერსალურ მოთამაშედაა ცნობილი, მაგრამ წლეულს იგი უფრო ქულების კეთებითაა დაკავებული და ეს გასულმა კვირამაც ცხადყო. ჰილმა ოთხივე ჩატარებულ შეხვედრაში 30-ქულიან ზღვარს გადააბიჯა და მეორე დეტროიტელის, ჯო დუმარსის 1993 წლის მიღწევა გაიმეორა. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია „დეტროიტის“ შეხვედრები „ორლანდოსთან“ და „ატლანტასთან“ — გრანტმა მათ 42-42 ქულა ჩაუგდო და ცხადია, გამარჯვებაც მის გუნდს დარჩა.

გრანტ ჰილამდე კვირის (27 დეკემბერი-2 იანვარი) მოთამაშედ საკრამენტოელი კრის ვებერი აღიარეს, მანამდე კი (20-26 დეკემბერი) ეს პატივი წლეულს უკვე მეორედ ხვდა წილად „მინესოტა ტიმბერვულვზის“ თავდამსხმელ კევინ გარნეტს.



დეკემბრის საუკეთესო ალონზო მურნინგი



დეკემბრის საუკეთესო მოთამაშედ დასახელდა „მაიამი ჰითის“ 208-სანტიმეტრიანი ცენტრი ალონზო მურნინგი. მურნინგმა საკმაოდ იოლად აჯობა კონკურენტებს კარლ მელოუნს (იუტა), გერი პეიტონს (სიეტლი), ჯეისონ კიდს, კლიფ რობინსონს (ორივე ფინიქსი), ვინს კარტერს (ტორონტო), დარელ არმსტრონგს (ორლანდო), რეჯი მილერს (ინდიანა), გლენ რობინსონს (მილუოკი), კევინ გარნეტს (მინესოტა) და სტივენ მარბერის (ნიუ ჯერსი).

„მაიამმ“ დეკემბერში გამართულ 14 შეხვედრიდან 8 რომ მოიგო, სწორედ ალონზოს დამსახურებაა: მან 10 მატჩში ორმაგი დუბლი (ქულებით და მოხსნებით) შეასრულა. ეს მაშინ, როცა მთელი გასული თვის განმავლობაში მურნინგს გვერდში არ ჰყავდა პასების ოსტატი ტიმ ჰარდეუეი, რომელსაც აგრეთვე შშვენივრად ეხერხება ქულების დაგროვება. ჰარდეუეისთან ერთად „მაიამმ“ აგრეთვე კიდევ ერთი ტრავმირებული ლიდერი, ჯამალ მაშბურნი მოისაკლისა და ეულად დარჩენილმა მურნინგმა საკუთარ მხრებზე გადაიტანა გასული თვის თამაშების მოელი სიმძიმე. ამ ხნის განმაკლობაში მურნინგის საშუალო შედეგიანობა მატჩში 23,9 ქულა, 10,5 მოხსნა და 5,29 დაფარება გახლავთ. განსაკუთრებით ამ უკანასკნელზე ღირს ყურადღების შეჩერება, რადგან მატჩში საშუალოდ 5,29 დაფარების გაჩერხება, გმირული თუ არა, ბრწყინვალე შედეგი მაინცაა.

მურნინგმა 11 დეკემბერს სიეტლში იქაურ „სუპერსონიქსს“ 23 ქულა ჩაუგდო და თავისი კარიერის საერთო მონაგარი 10 ათას ქულამდე აიყვანა. ეს კი არასრულ რვა სეზონში სულაც არაა ურიგო შედეგი.

დეკემბრის საუკეთესო მწვრთნელად შეირაცხა „ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ დამრიგებელი ფილ ჯეკსონი. დიდი „ჩიკაგოს“ დაშლის შემდეგ ჯეკსონმა თავისივე სურვილით ერთი წელი უსაქმოდ გაატარა, ახლა კი წარმატებით ჩაუდგა სათავეში „ვარსკვლავთლეიკერსს“ და დაამტკიცა, რომ სხვა გუნდშიც შეუძლია ისევე წარმატებით მუშაობა, როგორც „ჩიკაგო ბულზში“. „ლეიკერსი“ პირველია მთელი ლიგის მასშტაბით და ბევრით უსწრებს ნოემბრის საუკეთესო მწვრთნელის, პორტლენდელი მაიკ დანლივის გუნდს.

რაც შეეხება თვის საუკეთესო ახალბედას, აქ პირველობა არავის დაუთმო „ჰიუსტონ როკეტსის“ უკანახაზელმა სტივ ფრენსისმა, რომელიც ჩარლზ ბარკლის კალათბურთიდან წასვლის და ჰაკიმ ოლაჯუონის ტრავმის შემდეგ ტეხასელთა ერთპიროვნულ ლიდერად იქცა. დეკემბრის მატჩების მიხედვით ფრენსისის საშუალო შედეგიანობა 16,6 ქულა, 6,9 პასი, 4,3 მოხსნა და 1,42 ჩაჭრაა.

სარბიელი

სპორტული ლატარია "CROCO"

ინგლისი. პრემიერლიგა. გადადებული მატჩი

	12 იანვარი			
001	ნელსი-ტოტენჰემი	1,8	2,9	4,2
	12 იანვარი			
006	ლანსი-ნანსი	1,8	2,9	4,2
007	სენტ ეტიენი-სედანი	1,8	2,9	4,2
008	რენი-სტრასბური	1,8	2,9	4,2
009	ტრუა-მონაკო	3,3	2,8	2,1
010	მონპელიე-ნანტი	2,5	2,9	2,5
011	ბასტია-მარსელი	2,3	2,9	2,8
012	ლე ავრი-ოსერი	2,3	2,9	2,8

ბელგია. მე-18 ტური

	12 იანვარი			
014	სენტ ტრუიდენი-ბრიუგე	4,4	3,1	1,7
015	გენკი-ვესტერლო	1,5	3,3	6,0
016	მეხელენი-სტანდარდი	2,2	2,9	3,0
017	ჰარელბეკე-შარლერუა	2,0	2,9	3,4
018	აალსტი-ბევერენი	1,5	3,4	5,6
019	ბეერსხოტი-ლიერსი	2,3	2,9	2,8
020	ლოკერენი-ლომელი	1,6	3,2	5,0
021	გენტი-ზეელი	1,2	5,0	9,0
	0:1	1,7	3,2	3,2

ინგლისი. ლიგის თასის 1/4 ფინალი

	12 იანვარი			
024	ლესტერი-ფულემი	1,7	3,0	4,7

ინგლისი. ლიგის თასის 1/2 ფინალი. I წრე

	12 იანვარი			
025	ბოლტონი-ტრანმერი	2,1	2,9	3,2

იტალია. თასის 1/4 ფინალი. I წრე

	12 იანვარი			
026	მილანი-ინტერი	2,5	2,7	2,7
027	რომა-კალიარი	1,3	4,0	7,5
	13 იანვარი			
028	იუვენტუსი-ლაციო	2,2	2,8	3,1

ესპანეთი. თასის II ეტაპი. II წრე

	12 იანვარი			
029	სელტა-სპორტინგი	1,25	4,4	8,0
030	მალაგა-დეპორტივო	3,0	2,9	2,2
031	ატლეტიკო-ლას პალმასი	1,3	4,0	7,5
032	ვალენსია-ოსასუნა	1,1	6,0	12,0
033	რასინგი-სარაგოსა	2,3	2,9	2,8
034	რაიო ვალეკანო-ბილბაო	2,0	2,9	3,4
035	ოვიედო-ლოგრონიესი	1,3	4,0	7,5
036	ესპანიოლი-ალბასეტე	1,25	4,4	8,0
037	ბეტისი-მერიდა	1,25	4,4	8,0
038	ეიბარი-ლეიდა	1,9	2,9	3,6
039	კომპოსტელა-ტენერიფე	2,4	2,9	2,6

პორტუგალია. თასის 1/16 ფინალი

	12 იანვარი			
041	პორტუ-ბრაგა	1,15	5,6	10,0
042	სპორტინგი-ლეირია	1,2	5,0	9,0
043	სალგეირუში-კამპომაიორენსე	1,9	2,9	3,6

კალათბურთი. NBA

	12 იანვარი			
807	ბოსტონი-კლიპერსი	1,15	12,0	4,0
808	შარლოტი-ჩიკაგო	1,1	12,0	5,0
809	ტორონტო-ორლანდო	1,35	12,0	2,5
810	დეტროიტი-ნიუ იორკი	1,7	12,0	1,7
811	ინდიანა-ვაშინგტონი	1,1	12,0	5,0
812	მილუოკი-ლეოკერსი	2,3	12,0	1,4
813	დენვერი-სიეტლი	1,7	12,0	1,7
814	პორტლენდი-კლივლენდი	1,1	12,0	5,0
815	ვანკუვერი-ფინიქსი	2,0	12,0	1,5
	13 იანვარი			
816	ნიუ ჯერსი-კლიპერსი	1,25	12,0	3,1
817	მინესოტა-ბოსტონი	1,25	12,0	3,1
818	იუტა-მაიამი	1,3	12,0	2,8
819	გოლდენ სტეიტი-ჰიუსტონი	1,7	12,0	1,7
820	საკრამენტო-სან ანტონიო	1,6	12,0	1,8

კალათბურთი. ევროლიგა. II ეტაპი. I ტური

	12 იანვარი			
821	ბარსელონა (ესპანეთი)-თოფაში (თურქეთი)	1,15	12,0	4,0
822	ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი)-ბუდუნნოსტი (იუგოსლავია)	1,1	12,0	5,0
823	ციბონა (ხორვატია)-ულქერი (თურქეთი)	1,4	12,0	2,3
824	ფორტიტუდო (იტალია)-პივოვარნა (სლოვენია)	1,05	12,0	7,5
	13 იანვარი			
825	ცსკა (რუსეთი)-ალბა (გერმანია)	1,25	12,0	3,1
826	ბენეტონი (იტალია)-უალგირისი (ლიტვა)	1,1	12,0	5,0
827	პანათინაიკოსი (საბერძნეთი)-შოლე (საფრანგეთი)	1,05	12,0	7,5
828	ოლიმპია (სლოვენია)-პაოკ (საბერძნეთი)	1,4	12,0	2,3
829	რეალი (ესპანეთი)-ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია)	1,05	12,0	7,5
830	ვილერბანი (საფრანგეთი)-კახა ს.ფ. (ესპანეთი)	1,25	12,0	3,1
831	მაკაბი (ისრაელი)-პო ორტეზი (საფრანგეთი)	1,15	12,0	4,0
832	ეფესი (თურქეთი)-ვარეზე (იტალია)	1,25	12,0	3,1

ჰოკეი. NHL

	12 იანვარი			
841	ატლანტა-ვაშინგტონი	2,1	4,4	1,9
842	ფლორიდა-აილენდერსი	1,25	4,4	4,4
843	ჩიკაგო-ვანკუვერი	2,0	4,4	2,0
844	კალგარი-დალასი	2,0	4,4	2,0
845	ფინიქსი-პიტსბურგი	1,8	4,4	2,2
846	ანაჰაიმი-ოტავა	2,0	4,4	2,0
	13 იანვარი			
847	ბოსტონი-ბუფალო	1,9	4,4	2,1
848	ტამპა ბეი-აილენდერსი	1,8	4,4	2,2
849	დეტროიტი-ჩიკაგო	1,25	4,4	4,4
850	ნეშვილი-ვანკუვერი	1,7	4,4	2,4
851	კოლორადო-პიტსბურგი	1,8	4,4	2,2
852	ლოს ანჯელესი-სენტ ლუისი	2,0	4,4	2,0

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში“. სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასვწრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო“-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასნორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო“-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო“-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო“-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო“-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

კობა გოგოლაძე ტიტულს თბილისში დაიცავს

ფოთელი მოკრივე კობა გოგოლაძე ინტერკონტინენტალის ჩემპიონობით ჯერ არ დამტკბარა და უკვე ტიტულის დასაცავად ზრუნავს. 4 თებერვალს თბილისში მან ეს ქამარი პრეტენდენტის ხელყოფისაგან უნდა დაიცვას. ტიტულის შენარჩუნება არანაკლებ ძნელია, ვიდრე მისი მოპოვება და კობაც მომავალი ორთაბრძოლისთვის გამალებით ემზადება. მოგეხსენებათ, გოგოლაძემ კვიპროსში ჩხუბისას (როცა ჩემპიონი გახდა) ხელი დაიზიანა. ამიტომ გუშინ მის მენეჯერ **მამუკა წიკლაურს** რომ შევეხმიანეთ, თავდაპირველად ამის შესახებ ვკითხეთ.

— კობას ხელს ორ დღეში ცნობილ დასტაქარ ასკურავას ისევ გავასინჯებთ, მაგრამ ახლავე შემიძლია გითხრათ, რომ უკვე მოურჩა. ამის თქმის საფუძველს აქამდე ჩატარებული მკურნალობა და ექიმთა დასკვნა მაძლევს. ის ძველებური დატვირთვით ვარჯიშობს და მომავალი ბრძოლისთვის ემზადება.

— ესე იგი, ვარჯიში არ უფერხდება?

— არა, კობა კვლავაც „დინამოს“ დიღმის ბაზაზე და ვერის ბაღის საკრივო დარბაზში ემზადება, ხოლო „ლაგუნა ვერეზე“ ტრენაჟორებზე ვარჯიშობს.

— მოსამზადებელი პირობებით კმაყოფილი ხართ?

— დიახ. როგორც პროფესიული სპორტის წესია, ჩვენ ამ მზადებაში ფულს ვიხდით.

— 4 თებერვლის ბრძოლა სად გაიმართება?

— სპორტის სასახლეში. ეს გადაწყვეტილია.

— ორგანიზაციული საკითხები თუ მოგვარდა? მით უფრო, რომ სპორტის სასახლეს უამრავი პრობლემა აწუხებს.

— სპორტის სასახლის დირექციამ რა თანხაც მოგვთხოვა, გადავუხადეთ. დანარჩენზე მათ იზრუნონ. ამიტომ მაგ შეკითხვით დირექციას მიმართეთ.

— მეტოქის ვინაობა ხომ არ იცით?

— ჯერჯერობით არა. კობას ის შეხვდება, ვინც საერთაშორისო ფედერაციის მიერ ბრძოლის უფლების მოსაპოვებლად დაწესებულ თანხას გადაიხდის. ეს კი მხოლოდ იმ მოკრივეებს შეუძლიათ, რომლებიც საერთაშორისო ფედერაციის რეიტინგში მოწინავე ათეულში შედიან. მანამდე მეტოქის ვინაობას ვერ გავიგებთ.

— თუ რამდენიმემ გადაიხადა ეს თანხა?

— მაშინ საერთაშორისო ფედერაცია უფრო მაღალ ტიტულის მქონეს მიანიჭებს ამ უფლებას. საბოლოოდ, ამ პროცესში ვერ ჩავერევით. ჩვენი სურვილი რომ იყოს, ვიცით, რა სჯობია — კობამ უბრძოლველად შეინარჩუნოს ქამარი.

— 4 თებერვალს გოგოლაძესთან ერთად კიდევ რამდენიმე ქართველმა უნდა იჩხუბოს. ზუსტად თუ იცით, ვინ?

— ჯერ არა. მათი ვინაობა 25 იანვრამდე გაირკვევა.

ირაკლი თავაძე

ენა უძვლოა

1999 წლის სამახსოვრო გამონათქვამები



ჯანლუკა ვიალი

ჯანი დე ბეერი (მარჯვნივ) ფეხის სიმარჯვეს ღმერთს უმადლის

ანდრე აგასი

ალექს ფერგიუსონი და მანჩესტერელები ჩემპიონთა ლიგის ფინალური მატჩის მერე

— ძალიან გამიკვირდა, როდესაც პრემიერ-მინისტრისგან წერილი მივიღე. მეგონა, გადასახადის გადახდის მოთხოვნა იყო.

მორავბე ალექს მერფი, რომელიც 1999 წლის საუკეთესო სპორტმენთა სიაში შეიყვანა.

— თუ გლენ ჰოდლი მართალია, მაშინ მე, ალბათ, წინა ცხოვრებაში ფეხბურთის წარუმატებელი მწვრთნელი ვიყავი.

განათლების სამინისტროს მღივანი დევიდ ბლანკეტი, რომელიც ბრმა.

— პათეტიკური, საზიზღარი, უჯიგრო და სამარცხვინო. ჩემი ფეხბურთელები კალატოზები რომ იყვნენ, მათი აშენებული სახლი იმავე დღეს დაინგრეოდა.

„პორტსმუტის“ მწვრთნელი ალან ბოლი „იფსვიჩთან“ 0:3 წაგების შემდეგ. სულ ახლახან იგი თანამდებობიდან გაათავისუფლეს.

— ასე მგონია, ბლეკბერნში ოთხის ნახევარზე უკვე უკუნეთია. აქ არც ენის შესასწავლი სკოლაა და არც სავარჯიშო ცენტრი. და თუ საყიდლებზე წასვლა გინდა, საყიდელიც არაფერია. როცა ვხედავ, ხალხი როგორ ცხოვრობს, ვხვდები, რომ თურმე ძალიან გამიმართლა.

შვეიცარიის ნაკრებისა და „ბლეკბერნ როვერსის“ ყოფილი მცველი სტეფან ჰენჩოსი აღმოსავლეთ ლეთლანკაშირული ყოფის შესახებ.

— ჩოგბურთი არანაირ ინტელექტუალურ განვითარებას არ უწყობს ხელს. რაც უფრო იდიოტი ხარ კორტზე, მით უფრო უკეთ თამაშობ.

მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი ჯიმ კურიე პირველ წრეში კიდევ ერთი მარცხის შემდეგ.

— არ ვიცი, მსაჯების კურსებზე რას სწავლობენ. როცა ვეკითხებოდი, ეს რისთვისღა გააკეთეთ-მეთქი, უბრალოდ მპასუხობდნენ, მოკეტეო.

„ულმის“ მწვრთნელი მარტინ ანდერმატი, რომლის გუნდსაც როსტოკის „ჰანზასთან“ შეხვედრაში 4 ფეხბურთელი გაუძევეს მინდვრიდან.

— მე ყოველთვის მწამდე ინგლისელების ჯენტლმენობის, მაგრამ ალექს ფერგიუსონი შოტლანდიელია და იქ, ეტყობა, ჯენტლმენობაზე არაფერი სმენიათ.

მილანის „ინტერის“ ყოფილი მწვრთნელი მირჩა ლუჩესკუ, რომლის მანჩესტერელმა კოლეგამ მწარედ გაკენწლა იტალიელები თაღლითობის, მინდორზე გაწოლისა და მსაჯების მოტყუების გამო.

— იმედია, ტონი ადამსი ითამაშებს, რადგან მხოლოდ მას ვიცნობ. ყელში ამომივიდა ეს ვიალები, ვიეირები და ვიაგრები.

„ვულვზის“ თავმჯდომარე სერ ჯეკ ჰეიორდი. „არსენალთან“ თასის გათამაშებაზე შეხვედრის წინ, რომელიც მისმა გუნდმა 1:2 წაგო.

— შეგხვედ და განვაცხადე, ო, ეს გოგო ლამაზია, კარგი ტანი აქვს, ვიწრო ბარძაყები, სწორი ფეხები, გრძელი, ქერა თმები-მეთქი. მერე კი უეცრად წამოვიძახე, კი მაგრამ, ეს ხომ მე ვარ.

მსოფლიოს პირველი ჩოგანი ანდრე აგასი, რომელმაც 14 წლის წინ გადაღებული საკუთარი ფოტოსურათი იხილა.

— იმით, რომ ქალები და სასმელი აღმოვაჩინე, საკუთარ თავს ნამდვილად ვერ დავეხმარე. ეს პანდორას ყუთის გახსნას ჰგავდა.

შორეხარისხოვანი მცველი ჯიმ როდგელი იმ მიზეზების შესახებ, თუ რატომ ვერ გახდა ფეხბურთის ვარსკვლავი.

— მე მხოლოდ მაშინ ვსვამ, როდესაც რაიმე ჯილდოს ვიგებთ-ხოლმე. თუმცა ხალხმა შეიძლება მაინც ლოთად ჩამთვალოს.

გლაზგოს „რეინჯერსის“ ნახევარმცველი იან ფერგიუსონი თავის კლუბთან ერთად 23-ე მედლის მოპოვების შემდეგ.

— არ მიკვირს, რომ ხალხი მას ხარბ ნაბიჭვარს უწოდებს. იგი ვარჯიშების დროს ყოველთვის განცალკევებით იდგა და მეკითხებოდა, რატომ არ ვუხდიდი იმდენს, რამდენიც სურდა, ან რატომ არ ვყიდდი. ყველაფერმა ამან თავი მომაბეზრა.

„ლიდსის“ მწვრთნელის დევიდ ოლირის კომენტარი ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკის მადრიდის „ატლეტიკოში“ გადასვლის თაობაზე.

— საქმე ფულში არ იყო. მთავარია, ჯიმი დაშოშმინებულიყო.

ჰასელბაინკის აგენტი ჰამფრი ნაიმანი.

— ალბათ, ძნელია, მსოფლიოს ტენრთის საკუთარი მხრებით ტარება, მით უფრო, თუ მხრები საერთოდ არა გაქვს.

მელბურნელი გაზეთი „ჰერალდ-სანი“ ავსტრალიის ღია პირველობის ჩემპიონის, ძვალტყავა ჰეტერ კორდას ჩოგბურთიდან წასვლის თაობაზე, რომელიც დოჰინგ-სკანდალში იყო გარეული.

— ეს მე არ გამიკეთებია.

მოკრივე ედრიან დოდსონი, რომელიც მეტოქის, ალან ბონუმის კბენისთვის „თანამეგობრობის“ ჩემპიონატის ფინალიდან მოკვეთეს.

— ეს მე ნამდვილად არ ჩამიდენია. *იმავე მატჩის მსაჯი ჯონ კინი.*

— ჩემს მანქანასთან ვიყავი, როდესაც მძარცველთა ბანდა მომიახლოვდა და მომთხოვა, ყველაფერი მათთვის მიმეცა. მე ვუპასუხე, არა, ამას მირჩევნია, ვიბრძოლო-მეთქი. მათ დანები ჰქონდათ, მე — მხლოდ ფანარი, ასე რომ, საცერივით დამცხრილეს.

კრისტოფერ კოსგეი, 3000 მეტრზე რბენაში მსოფლიოს ჩემპიონი იმაზე, თუ როგორ გაუმართლა, რომ სევილიაში იასპარეზა.

— ფეხბურთი სექსს ჰგავს, ყოველღამით ამის კეთება არ შეიძლება. თუ ყოველღამით სექსით ხარ დაკავებული, მალე მოგწყინდება. ცოტა უნდა დაზოგო თავი და დროდადრო გაიმეორო. ასევეა ფეხბურთის ცქერაც.

„ჩელსის“ მწვრთნელის, ჯანლუკა ვიალის აზრით, კაცს ყველაფერი შეიძლება მობეზრდეს.

— მე კავშირი მაქვს იესო ქრისტესთან. 1993-ში გადავწყვიტე, ცხოვრება ღმერთისთვის მიმეძღვნა. ჩემს ცხოვრებაში ბევრი რამაა ისეთი, რაც ძნელი ასახსნელია და დღესაც ასეთი რამ მოხდა.

სამხრეთაფრიკელი მორავბე ჯანი დე ბეერი მსოფლიოს თასზე ინგლისთან შეხვედრაში 5 არეკნის გატანის მერე.

— ფეხბურთი სისხლიანი ჯოჯოხეთია.

ალექს ფერგიუსონი ჩემპიონთა თასის ფინალის ბოლო წუთზე მანჩესტერის გამარჯვების შემდეგ.

— კევინ კიგანი მშვენიერი არჩევანია, მაგრამ, არა მგონია, ამ როლს საკმარისი დრო დაუთმოს. მათ სჭირდებათ პასუხისმგებლობის გრძნობით აღსავსე პიროვნება, ისეთი, როგორც მე ვარ. რა თქმა უნდა, ვფიქრობ, რომ იდეალური კანდიდატი ვარ, ჩემს შემდეგ კი, ალბათ, არსენ ვენგერს და ჯორჯ გრეჰემს დავასახელებ.

სკოლის მოსწავლე დევიდ ფეგის მიმართვა ინგლისის ფეხბურთის ფედერაციისადმი ეროვნული ნაკრების მწვრთნელად დანიშვნის შესახებ. 14 წლის ფეგი, რომელმაც დიდი გამოცდილება შეიძინა კომპიუტერული თამაშის — „ჩემპიონატის მწვრთნელის“ მეშვეობით, მთავარ პრეტენდენტთა შორის, რა თქმა უნდა, ვერ მოხვდა.

— ეს მატჩი შეიძლებოდა 0:0 დასრულებულიყო, მაგრამ გუშინ ღამით ლოგინში ვიწექი ცოლთან ერთად — ჩემისთანა საზიზღარი ქმარი თუ გყავთ, ფეხბურთზე საუბარი მოგინდებათ — და მან მითხრა, ჰარი, თუ მატჩი ფრედ დამთავრდება, ტრევორ სინკლერი გამოუშვიო. ასე რომ, მეც გავრისკე და გამიმართლა.

„ვესტ ჰემის“ მწვრთნელი ჰარი რედნაპი „ჩელსისთან“ მოულოდნელი გამარჯვების შემდეგ.

— ნიკ, მაგის დედა..., გამოფხიზლდი, ჩვენ შენ გეჭირდები.

ლონდონელი ტაქსისტის რჩევა წარუმატებლად მოასპარეზე მეგოლფის, ნიკ ფალდოსადმი.

— მოთამაშე, რომელიც ზმნას პირველ პირში მხოლობითში აუღლებს, გუნდის წევრი ვერ გახდება, ზმნა ძრავლობითში უნდა აუღლოს. ჩვენ ჩვენი სიმაღლეები უნდა დავიპყროთ და დავიპყრობთ კიდეც, სიტყვა „მე“-ს გამოყენება მაშინ, როდესაც გუნდის ნაწილი ხარ, ყველაფერს ართულებს.

ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელი ვანდერლეი ლუქსემბურგო იმის შესახებ, თუ რატომ არ წაიყვანა „კოპა ამერიკაზე“ თავდამსხმელები ედმუნდო და რომარიო.

— ხალხი იტყვის, რომ ეს ნაადრევი არ არის. ვინ ვარ მე, რომ მათ შევეკამათო?

ბრაიან კლაფმა შეიტყო, რომ „ნოტინგემ ფორესტი“ მის სახელს ერთ-ერთ ტრიბუნას არქმევდა.

— მე ქორურგის რჩევაც გავითვალისწინე, „ფრაიარის“ ბალზამიც ვცადე და შარდიც — მასში ხელი უნდა ჩაყოთ. ისინი კანს ერთნაირად ამაგრებენ.

ინგლისის მოკრიკეტეთა ნაკრების მოთამაშე გრემ სვონს თითზე ძუძმივი ნაკაწრების წამალი მოუძებნია.

თარგმნა ანა არჯევანიძემ



REUTERS საარქივიდან

ჰერმან მაიერი

წავიდა, ჰე!

ავსტრიელებს ხორციელი მეტოქე არ უჩანთ

ავსტრია სამთომოთხილამურეები ისე დაჰქრიან ევროპის მთებში, რომ წლევანდელ მსოფლიოს თასზე მათი მჯობნი აღარავინ ჩანს. ქალებში მიქაელა დორფმაისტერი ლიდერობს, კაცებში კი ჰერმან მაიერმა ქულათა ისეთი მარაგი მოაგროვა, თუ არაფერი შეემთხვა, პირველობასაც ვეღარავინ შეეცილება.

28 დეკემბრიდან 9 იანვრის ჩათვლით ქალებმა ექვსჯერ იასპარეზეს. სამჯერ გიგანტურ სლალომში და სამჯერაც სლალომში. ამ შეჯიბრებებს ავსტრიულმა ლინცმა, სლოვენიურმა მარიბორმა და გერმანელმა ბერხტესგადენმა უმასპინძლეს. მიქაელა დორფმაისტერმა თუ მშობლიურ მთებში ვერაფრით გამოიჩინა თავი და პირველობა თვისტომ ანიტა ვახტერს დაუთმო, სამაგიეროდ მარიბორში და ბერხტესგადენში იყოჩაღა და 5 და 8 იანვარს გიგანტური სლალომის ორი ეტაპი მოიგო, რამაც საერთო ჩათვლაში 200 ქულა შემატა. სლალომში კი მიქაელა ვერც ერთ ეტაპზე სამეულშიც ვერ მოხვდა, მაგრამ ამან მისი პოზიციები მაინც ვერ შეარყია. სლალომში გამარჯვებულნი გერმანელი საბინე ეგერი, ნორვეგიელი ტრინე ბაკე და სლოვენიელი სპელა პრეტნარი იმდენით ჩამორჩებოდნენ დაწინაურებულებს, რომ ეტაპის მოგებამ, მართალია, 100 ქულა კი შემატათ, მაგრამ ლიდერთა ექვსეულსაც ვერ უწიეს.

სამთომოთხილამურე კაცები საფრანგეთში, შამონის მთიანეთში სწრაფდაშვებაში, სლალომსა და კომბინაციაში ეჯიბრებოდნენ ერომანეთს. სპორტსმენებმა ჯერ ყველაზე სახიფათო და რისკიანი სახეობის — სწრაფდაშვების ტრასაზე იქროლეს და გამარჯვებულთა კვარცხლბეკის საფეხურები ავსტრიელებმა დიკავეს. პირველი ჰერმან მაიერი იყო, მეორე შტეფან ებერჰარტერი, მესამე ჰანს ტრინკლი. ჯერი სლალომზე მიდგა. „ჰერმინატორი“ ამ დისციპლინაში არ ასპარეზობს და ამით იტალიელმა ანჯელო ვაისმა ისარგებლა, რომელმაც ნორვეგიელი კეტილ ამოდტი და სლოვენიელი მატიას ვროვნიკი მეორე-მესამე ადგილებს დაჯერა. კომბინაცია კი, რომლის შედეგსაც სლალომისა და სწრაფდაშვების შედეგების მიხედვით ითვლიან, კეტილ ამოდტმა მოიგო. ჰერმან მაიერი მხოლოდ მეორე იყო. საერთო ჩათვლაში მას 1020 ქულა დაუგროვდა, როგორც ზემოთ გითხარით, ბროლის თასის დაუფლებაში, ალბათ, ვერავინ შეეცილება.

სოსო კოტორეიშვილი

საერთო ჩათვლა

ქალები

1 მიქაელა დორფმაისტერი (ავსტრია) — 669 ქულა
2 რენატა გოეტჩლი (ავსტრია) — 568
3 იზოლდე კოსტნერი (იტალია) — 481
4 სონია ნეფი (შვეიცარია) — 476
5 იანიკა კოსტელიჩი (ხორვატია) — 420
6 რეგინა კავანიუ (საფრანგეთი) — 407

კაცები

1 ჰერმან მაიერი (ავსტრია) — 1020 ქულა
2 კეტილ ამოდტი (ნორვეგია) — 624
3 შტეფან გებერჰარტერი (ავსტრია) — 570
4 ანდრეას შიფერერი (ავსტრია) — 496
5 იოზეფ შტრობლი (ავსტრია) — 430
6 კრისტიან გედინა (იტალია) — 391

REUTERS ბერხტესგადენიდან

მიქაელა დორფმაისტერი

წყალწაღებული ამბიციას ებლაუჭება

REUTERS ნიუ იორკიდან

აილენდერსელი მარიუშ ჩერკავსკი (მარჯვნივ) ამ შეხვედრაში გოლით გამორჩეულ ფინიქსელ იურკი ლუმეს ებრძვის

10 იანვარი

აილენდერსი — ფინიქსი 2:2

1:0 0:1 1:1 0:0

1:0 ისბისტერი 9'21 (13); 1:1 ლუმე 24'36 (6); 1:2 ქუინტი 41'48 (2); 2:2 მაკოლტი 45'59 (8)

აილენდერსს ფინანსური კრიზისის გამო ყველა სახელოვანი ჰოკეისტის გაყიდვამ მოუწია და აგერ უკვე მერამდენე წელია, მაჩანჩალათა შორის იმყოფება. მაგრამ ნიუიორკული გუნდი ამბიციური და პატივმოყვარე ახალგაზრდებითაა დაკომპლექტებული და ხანდახან ფავორიტებსაც კი აკარგვინებს დაგეგმილ ქულებს. ამჯერად წყნარი ოკეანის დივიზიონის ლიდერმა, ფინიქსმა ძლივს დააღწია თავი აუტსაიდერთან მარცხს, რის გამოც „კუნძულელებთან“ მოუგებელი სერია ოთხ მატჩამდე გაუგრძელდა. ოვერტაიმში, როცა სტუმრებს მათი ლიდერი კეიტ ტკაჩუკი უსამართლოდ გაუძევეს, აილენდერსელებს არაერთხელ შეეძლოთ გოლის გატანა, მაგრამ გადამწყვეტ მომენტებში აჩქარებამ შედეგად ფრე მოუტანათ.

მატჩის შემდეგ ფინიქსელთა მწვრთნელმა ბობი ფრენსისმა მეტოქე შეაქო. „მათთან თამაში ძალიან ძნელია. ახალგაზრდა აილენდერსელები ტანბრგენი და ფიზიკურად ძლიერები არიან. თანაც, კლუბმა ბოლო ხანებში კარგი მოთამაშეები შეიძინა“ — ფრენსისმა მასპინძელთაგან საგანგებოდ გამოარჩია გოლების ავტორები, აილენდერსში წლეულს გადასული ბრედ ისბისტერი და ბილ მაკოლტი.

თვის მოთამაშე

პაველ ბურე (ფლორიდა)

დეკემბერი ერთბაშად სამი ფორვარდის — პიტსბურგელი იარომირ იაგრის, სენტლუისელი პიერ ტარჯონისა და ფლორიდელი პაველ ბურეს თვე იყო. ჩეხმა რამდენიმე ეფექტური მატჩის სერია აილენდერსთან ბენეფისით დაასრულა, უჩვეულოდ ძალამომატებული ტარჯონიც თვის არც ერთ მატჩში უქულოდ არ დარჩენილა, მაგრამ ნჰლ-ის ავტორიტეტულმა ჟიურომ უპირატესობა მაინც რუს ჰოკეისტს მიანიჭა. და ეს არ მარტო ორმა ჰეთ თრიქმა განაპირობა. ბურეს გამოჯანმრთელებამ ფლორიდაზე იმდენად დიდი ზეგავლენა მოახდინა, რომ „პანტერები“ საუალო კლუბისგან უეცრად ლიგის ერთ-ერთი ყველაზე ანგარიშგასაწევ ძალად იქცნენ. „რუსულმა რაკეტამ“ გუნდის შედეგიანობა იმდენად გააუმჯობესა, ლიგას 1992-93 წლის შემდეგ (მაშინ ბუფალოელმა ალექსანდრ მოგილნიმ და ვინნიპეგელმა ტეემუ სელიანემ 76-76 შაიბა შეაგდეს) რომ არ ახსოვს. ბურეს ერთ მატჩში საშუალოდ ერთი გოლი გააქვს, დეკემბრის 13 შეხვედრაში გატანილ 12 შაიბას კი 10 პასიც დაამატა და კლუბისა და ჰერსონალური რეკორდების ნუსხა გაამდიდრა. ფინიქსთან პაექრობაში მან, ფლორიდის ისტორიაში პირველმა, ერთ პერიოდში სამი გოლი გაიტანა, 11-მატჩიანი ქულიანი სერია გუნდის ახალ მიღწევად აქცია, 7-თამაშიანი პასების სერია კი პირად რეკორდად. ბურემ ახალი წელიც ჩვეულად დაიწყო (1 იანვარს ტამპას ოთხი გოლი შეუგდო) და ვინ იცის, ეგებ წლის ლაურეატობასაც გამოჰკრას ხელი.

საუკეთესო ექვსეული

კერტის ჯოზეფი (ტორონტო, 1); *ნიკლას ლიდსტრიომი* (დეტროიტი, 1) — *სანდის ოზოლინში* (კოლორადო, 1); *პაველ ბურე* (ფლორიდა, 1) — *პიერ ტარჯონი* (სენტ ლუისი, 1) — *იარომირ იაგრი* (პიტსბურგი, 3)

თვის ახალბედა — სიმონ განი (ფილადელფია)

ეჭვი არავის ეპარება, რომ სკოტ გომესი სეზონის საუკეთესო ახალბედა გახდება, თუმც ნიუჯერსელთა ვუნდერკინდი ჯერჯერობით არც ისე ძლიერია, თავის კბილა მოთამაშეთა შორის ყველა თვის ყორჩი გახდეს. ამჯერად მას ფილადელფიელმა სიმონ განმა აჯობა. 19 წლის ფორვარდმა თვე 12 ქულით დაასრულა, აქედან 10 პასების ხარჯზე მიითვალა. განის კლუბში იმდენად ენდობიან, რომ იქ, სადაც ლინდროსი, ლეკლერი, რეკი და სხვა სახელოვანი ფორვარდები თამაშობენ, იგი რეგულარულად გამოდის რიცხვმრავლობის ბრიგადებში და ერთობ წარმატებითაც. 4 გოლით და 8 პასით, რომლებიც განმა რიცხობრივ უპირატესობაში თამაშისას დააგროვა, მას ახალბედებში ბადალი არ ჰყავს.

კვირის მოთამაშე



მარტინ ბროდო (ნიუ ჯერსი)

ხშირად ხდება, მოთამაშეს, რომელიც ღირსეულად, მაღალ დონეზე აკეთებს თავის საქმეს, თითქოს ვერ ამჩნევენ, ზოგი კი ერთხელ გაიბრწყინებს და უმალ კვირის, თუნდაც თვის საუკეთესო მოთამაშე ხდება. მარტინ ბროდოც იმ ჩრდილში მყოფ გმირთა კატეგორიას მიეკუთვნება, თუმც ნიუ ჯერსის მეკარემ ბოლოს მაინც მიაღწია აღიარებას და გასული კვირის ლაურეატი გახდა. გუნდის მიერ ჩატარებულ ოთხივე თამაშში „ეშმაკთა“ კარში სნორედ ბროდო იდგა. მან, როგორც ყოველთვის, უშეცდომოდ იასპარეზა, გუნდს ნაუგებელი სერიის 8 თამაშამდე გაზრდაში დაეხმარა და დამსახურებული ჯილდო მიიღო. აღსანიშნავია, რომ 27 წლის ბროდო წლეულს ლამის შეუცვლელად თამაშობს. ბოლო 21 მატჩიდან მან მხოლოდ ერთი გამოტოვა, ხოლო მთელ ჩემპიონატში ჩატარებული 42 შეხვედრიდან — სამი. ნურც იმას დავივიწყებთ, რომ კვირის ლაურეატი ზედიზედ მესამედ მეკარე ხდება.

საუკეთესო ექვსეული. 3-9 იანვარი

მარტინ ბროდო (ნიუ ჯერსი, 1); *ბორის მირონოვი* (ჩიკაგო, 1) — *ლაილ ოდელეინი* (ნიუ ჯერსი, 1); *მიროსლავ შატანი* (ბუფალო, 1) — *პეტერ ფორსბერგი* (კოლორადო, 1) — *დანიელ ალფრედსონი* (ოტავა, 1)

კვირის მოთამაშე. 20-26 დეკემბერი — ფრედ ბრეტუეიტი (კალგარი)

საუკეთესო ექვსეული

ფრედ ბრეტუეტი (კალგარი, 1); დმიტრი იუშკევიჩი (ტორონტო, 1) — დერეკ მორისი (კალგარი, 1); ბრენდან შენაჰანი (დეტროიტი, 2) — ნიკოლაი ანტროპოვი (ტორონტო, 1) — ჯონ ლეკლერი (ფილადელფია, 1)

კვირის მოთამაშე. 27 დეკემბერი—2 იანვარი — ტომაშ ვოკოუნი (ნეშვილი)

საუკეთესო ექვსეული

ტომაშ ვოკოუნი (ნეშვილი, 1); კრის ჩელიოსი (დეტროიტი, 3) — დრეკ ბერეპოვსკი (ნეშვილი, 1); იარომირ იაგრი (პიტსბურგი, 4) — პიერ ტარჯონი (სენტ ლუისი, 3) — ლუკ რობიტაილი (ლოს ანჯელესი, 2)

ჰაუსლი არ ბერდება

კალგარიმ ორი წლით გაახანგრძლივა კონტრაქტი წამყვან მცველ ფილ ჰაუსლისთან. 37 წლის ვეტერანი კვლავ გუნდის ერთ-ერთი ლიდერია, 29 (6+23) ქულით მცველთა შორის მეოთხეა, ხოლო რიცხვმრავლობაში მისი გამოცდილება და ოსტატობა ისეთი ახალგაზრდა გუნდისთვის, როგორიც კალგარია, ნამდვილად დაუფასებელია.

თავისი 17-წლიანი კარიერის განმავლობაში ჰაუსლიმ 1251 თამაში ჩაატარა და 1104 (308+796) ქულით აშშ-ში დაბადებულ ჰოკეისტთა შორის ერთპიროვნული ლიდერია. ჰაუსლის ამგვარი წახალისება ახლა განსაკუთრებით საჭიროა, რადგან ჰლეი ოფში გასვლისთვის მებრძოლი კლუბის წამყვანი მოთამაშეები ტრავმირებული არიან.

ბოსტონთან თანამშრომლობა „დათვების“ ჰლეიმეიკერმა ჯესონ ელიხონმაც გააგრძელა, ოღონდ ერთი წლით. აღსანიშნავია, რომ ახალი ხელშეკრულების დადებამდე რამდენიმე დღით ადრე ფორვარდმა (28 (10+18) ქულა 35 თამაშში) მაჯა დაიზიანა. იგი საოპერაციოა და სამი თვე მაინც დასჭირდება სარეაბილიტაციოდ, ჰოკეისტი ვაჟკაცურად მოიქცა, კონტრაქტის ვაფორმება ზაფხულამდე გადადო.

სამველ ღარიბიანი

ქართული სპორტის პანაშვიდი პარლამენტის საქართველოს პირველი რესპუბლიკის დარბაზში

დასაწყისი პირველ გვერდზე

ეს ტონალობა უფრო გამუქდა სპორტულ ფედერაციათა პრეზიდენტების ინფორმაციების მერე, დაბოლოს მთლად გაშავდა და მრუმე გახდა, როცა ტრიბუნა დაეთმო ფინანსთა მინისტრის პირველ მოადგილეს ნოდარ ურუმელაშვილს, პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს კობა დავითაშვილს და მათ კოლეგებს. ან მაჟორულ ტონებში როგორ გასრულდებოდა ეს თავყრილობა, როცა იქ მისული სპორტული საზოგადოებრიობა, ისე რომ თავმოყვარეობაზე აღარც უფიქრია, პირდაპირ ვთქვათ, ხელგაწვდილი, სამათხოვროდ მიადგა სხდომას, იქიდან კი უნუგეშოდ გამობრუნდა. ყოველ შემთხვევაში, ჯერ არც ჰო თქმულა, არც არა...

არადა, საქართველოს მოჭიდავეთა ნაკრებს, რომელიც ხუთიოდე დღეში საოლიმპიურო შეჯიბრებაზე უნდა გაემგზავროს, იქ ჩასასვლელი თანხა არ აქვს; ჩვენს ოლიმპიურ ჩემპიონ ნინო სალუქვაძეს გერმანიაში მოსამზადებლად დღეს თუ ხვალ ელიან, მისთვის სამგზავრო თანხა კი არა და არა სჩანს; გერმანიაშივე დღე-დღეზე ელიან ბატუტზე მხტომელ რუსუდან ხოფერიასაც, მაგრამ არც მისი გასამგზავრებელი ფული ჩანს ჰორიზონტზე, იქ კი მას პირდებიან, შენ ოღონდ ჩამოდი, ჩვენ კი აქ არც სითბოს მოგაკლებთ, არც ელექტროენერგიას, არც სასმელ-საჭმელს და რამდენიც გინდა, იხტუნავე იმ შენს ბატუტზე ისე, რომ ერთი თეთრი ან პფენინგიც არ დაგეხარჯებაო.



ბადრი ჯეთილაძის ფოტო

სეოკ-ის გენერალურმა მდივანმა ემზარ ზენაი[illegible]ლმა განგაშის ზარი შემოჰკრა

ჰოდა, განა ეს ქვეყანაა, სადაც ოლიმპიური მედლის პოტენციური მომპოვებლებისთვის გასამგზავრებელი თანხა რომ ჯერ ვერ გამოუნახავთ? ამიტომაც იყო, სხდომაზე ერთ-ერთ გამომსვლელს რომ სწორედ ეს აღმოხდა, განა ეს ქვეყანაა, სადაც პრეზიდენტის ბრძანებულებები და განკარგულებები არ სრულდებაო, პრეზიდენტის რეზოლუციები კი, გიყვარდეთ, ბლომად საბუთებზე ყოფილა დადებული, რაც იქვე აგვიფრიალეს. მაგრამ, სამწუხაროდ, დადებულადვე დარჩენილა.

აი, ამიტომაც იყო, რომ პარლამენტარმა გოგი თოფაძემ თქვა, დღეს აქ საქართველოს სპორტის პანაშვიდზე შეიკრიბეთ, ხვალ კი ქელეხზე მოვალთო.

ვინმეს იქნებ გადამეტებულად ეჩვენა ამგვარი შეფასება, მაგრამ გვეეჭვება, რომ საქართველოს სპორტმა მარკ ტვენივით თქვას, ხმები ჩემი გარდაცვალების შესახებ ერთობ გაზვიადებულიაო...

ისე, ცნობისთვის, ფინანსთა მინისტრის პირველმა მოადგილემ შეგვახსენა, რომ შარშანდელი თერთმეტი თვის მონაცემებით ბიუჯეტი 56 პროცენტით შესრულდა, სპორტისთვის განკუთვნილი თანხა კი 86 პროცენტით გაიცაო.

მაგრამ ეს 86 პროცენტი სულ რაღაც მილიონ 911 ათასი ლარი ყოფილა, რაც ზღვაში წვეთია.

სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს!

ჰოდა, ნუღარ გაგვიკვირდება, რომ ჩვენი ყოფილი „ერთიანი ძმური ოჯახის“ წევრ ბელარუსებს სასიდნეოდ უკვე 123 ლიცენზიანტი ჰყავთ, საქართველოს კი მხოლოდ 19. არადა, დრო იყო, ბელარუსები ჩვენს მიღწევებს შენატროდნენ, მაგრამ ახლა ამას ვინ ჩივის, როცა პატარა ლატვიას — 28, ლიტვას კი 36 ლიცენზიანტი ჰყავს.

ჰყავს, რადგან მათი სპორტსმენები ჩვენი გაუბედურებულებივით მოწყალებას არ ელიან არც სახელმწიფოსაგან და არც ბიზნესმენებისაგან, არ ელიან, რადგან ერთიცა და მეორეც ამას უთხოვნელადაც აკეთებენ. მით უმეტეს, მათ ბიზნესმენებს სპორტსმენთა სპონსორული დახმარებისთვის კანონმდებლობით გათვალისწინებული სტიმული აქვთ, ჩვენები კი იძულებულნი გამხდარან შემოსავლები დამალონ.

ზოგს ჩვენი ფინანსთა სამინისტრო წარმოუდგენია გველეშაპად, რომელსაც სათავესთან წყარო გადაუკეტია, რომლის გაშვება-არგაშვება მის ხუშტურებზე თუ კეთილ ნებაზეა დამოკიდებული, მაგრამ იგი რასაც ღებულობს, იმასვე გასცემს. გასაცემი კი მას ბევრი არაფერი აქვს, რადგან შემოსავლები მავან გველეშაპთა ჯიბეში ილექება.

ერთმა გამომსვლელმა ისიც კი თქვა და სხვებმაც მხარი აუბეს, ჩვენს საბაჟოებზე დალექილი თანხიდან სამი დღის შემოსავალი საქართველოს სპორტს რომ მოხმარდეს, მის ბედს ძაღლი არ დაჰყეფდაო...

სწორედ ამიტომ გულწრფელად შეგვეცოდა ბატონი ნოდარ ურუმელაშვილი, რომელიც როგორც იტყვიან, კედელთან მიაყენეს და, კაცმა რომ თქვა, სრულიად სამართლიანი კითხვები დაუსვეს. მათ შორის ასეთებიც: „გვითხარით, გვინდა თუ არა სპორტი საქართველოში?“, „დღეს მიებრუნდებიან სამსახურებში, ჩვენს თანამშრომლებს ორი წელია ხელფასი არ მიუღიათ. გვითხარით, რა პასუხი მივუტანოთ მათ?“

ასეთი მწვავე კითხვები მრავალდაისვა, მაგრამ გვგონია, რომ ადრესატი სწორედ არ იყო შერჩეული.

ისე იმ კითხვა-პასუხს, სამწუხაროდ, სრულად ვერ გაგაცნობთ, რადგან ამ სტრიქონებს სანთლის შუქზე ვწერთ და უბის წიგნაკში სახელდახელოდ ჩაწერილ სტრიქონებს ვეღარ ვარჩევთ.

მართლაც, განა ეს ქვეყანაა?

ეს კითხვა გუშინ არავრთხელ გაისმა. გაისმა მაშინაც, როცა დარბაზი ერთმანეთის მიყოლებით გახურებული სხდომისას მიატოვეს იმ პირებმა, ვისაც სპორტსმენთა მდგომარეობის შესამსუბუქებლად დახმარება შეეძლოთ და ვალდებულნიც არიან ეს საქმე მოაგვარონ.

— მაშ რიღასთვის შევიკრიბეთ აქ? — იკითხეს სხდომის მონაწილეებმა და თავადვე დასკვნეს, ეტყობა, სპორტი, უკაცრავად პასუხია და, ყველას ფეხებზე ჰკიდიაო.

ალბათ, ყოველივე ამიტომაც დასკვნა და გააფრთხილა სხდომაზე შეკრებილნი საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე კახი ასათიანმა, ორ თვეში სამოქალაქო ომი დაიწყებაო.

ავთანდილ ბუკიშელი

რაგბი

რა ხდებოდა დასურულ კარს მიღმა...

ბადრი ჯეთილაძის ფოტო

დიდი დავა-კამათის მერე რაგბის კავშირის პრეზიდენტად ისევ ბიძინა გეგიძე აირჩიეს

გუშინ საქართველოს რაგბის კავშირის ყრილობა გაიმართა. წინა დღით ჟურნალისტები დაგვიმედეს, ყრილობაზე დასასწრებად არავითარი პრობლემა არ გექნებათო. მაგრამ... გუშინ რაგბის კავშირის პრესპდივანმა გია კუბლაშვილმა გამოგვიცხადა, მასმედიის წარმომადგენლები ყრილობაზე არ დაიშვებიანო და ცხვირწინ მოგვიხურა სხდომათა დარბაზის კარი. ჩვენც რაღა დაგვრჩენოდა, იმის იმედით, რომ დარბაზიდან გამოსულები ყრილობის შობაპეჭდილებებს გაგვიზიარებდნენ, მოცდა ვამჯობინეთ.

ყრილობა დიდხანს გაგრძელდა, იმდენად დიდხანს, რომ ბევრმა დელეგატმა ვერ გაუძლო და დროზე ადრე მიატოვა სხდომა. გარეთ დარჩენილებმა დღის წესრიგი ადრევე ვიცოდით, მაგრამ მაინც ვეცადეთ, გაგვეგო რა ხდებოდა დარბაზში.

სიტუაცია თანდათან დაიძაბა, რადგან კამათში გამოსულმა დელეგატებმა სრულად გამოამზეურეს თავიანთი უკმაყოფილება რაგბის კავშირის მუშაობის გამო, ხოლო როცა თემურ ბენდიაშვილი ალაპარაკდა, დაძაბულობამ კულმინაციას მიაღწია. დარბაზში ხმამაღალი საუბარი დაიწყეს, იმდენად ხმამაღალი, რომ დერეფანში მყოფებსაც გვესმოდა ყველაფერი.

დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია დელეგატების ხმების განაწილებამ. უმრავლესობის აზრით, ამ საკითხში რაგბის კავშირი აშკარად სცოდავდა, მეტიც, დარბაზიდან ვინც კი გამოვიდა, ყველა ერთხმად აცხადებდა, რომ კავშირი ყრილობისთვის მზად არ იყო და ასეთ ვითარებაში მის ჩატარებას აზრი არ ჰქონდა. დიდი გაუგებრობა გამოიწვია დელეგატებს შორის რაგბის კავშირის წესდების ზოგიერთი პუნქტის შესწორების მოთხოვნამ. ვნებათაღელვა ამ საკითხის ირგვლივ იმდენად დიდი იყო, რომ შესვენებაზე გამოსულნი ისევ ამ თემაზე ლაპარაკობდნენ. ზოგიერთი იმდენად დაიღალა, რომ ყველაფერზე თანახმა იყო. მივცეთ ხმა. და დროზე დავამთავროთო, მაგრამ პრინციპულები პოზიციებს არ თმობდნენ ამ გაცხოველებული კამათისას დელეგატებმა ჩვენც შეგვაშინეს და გაიკვირვეს, რატომ დარბაზში არ იყავითო. შემდეგ აპელაციით მიმართეს რაგბის კავშირის პრესმდივანს, მაგრამ გია კუბლაშვილი შეუვალი იყო და ჟურნალისტები ისევ გარეთ დავრჩით.

შესვენების შემდეგ განახლებულ სხდომაზე ვნებები უფრო გამძაფრდა. ხმამაღალი საუბარი ყვირილში გადაიზარდა. მოვლენათა ცენტრში ისევ თემურ ბენდიაშვილი იყო. მან პირდაპირ განუცხადა რაგბის კავშირის პრეზიდიუმს, რომ ყრილობაზე ხმების განაწილების მოუწესრიგებლობა მის უსუსურობაზე მეტყველებს. მისი აზრით, უმაღლესი ლიგის გუნდებს უფრო მეტი ხმა უნდა ჰქონოდა, ვიდრე სხვებს. აი, ამ დროს მოხდა ყველასათვის მოულოდნელი რამ. სხდომა მიატოვა კავშირის პრეზიდენტმა ბიძინა გეგიძემ. დელეგატები ერომანეთში აირივნენ. ნაწილი გარეთაც გამოვიდა, მათ ჩათვალეს, რომ ყრილობა ჩაიშალა. სწორედ მაშინ მოვიხელთეთ თემურ ბენდიაშვილი და კომენტარი ვთხოვეთ.

— ბატონო თემურ, საკმაოდ აღელვებული ჩანხართ. რა ხდებოდა დარბაზში, როგორ წარიმართა ყრილობა?

— გამოვიდა პრეზიდენტი, თქვა, რომ ყველაფერი კარგადაა. მის გარდა სხვებმაც ილაპარაკეს, ახალგაზრდებში პირველობა ტარდებაო, ბავშვებშიც კარგი ვითარებაა, ერთი სიტყვით, ყველაფერი მშვენივრად მიდისო.

თითქოს ჩვენ გავხდით მსოფლიოს ჩემპიონები, ავსტრალია კი არა. გამომსვლელთა ნაწილმა კი თქვა, რომ წავაგეთ იუნიორების მსოფლიოს ჩემპიონატი, ვერ მოვხვდით მსოფლიოს თასზე, შვიდკაცას მსოფლიოს ჩემპიონატზე და ეს ნამდვილად არ არის კარგი შედეგი. ჩვენ თუ ახლა ვიწყებთ რაგბის თამაშს, მაშინ სხვა ამბავია, მაგრამ რაგბის ხომ დიდი ხანია, ვთამაშობთ. ბევრი რამ რადიკალურად უნდა შეიცვალოს იმიტომ, რომ ვაგებთ და ჩვენი პოტენციალი, რაც ნამდვილად გაგვაჩნია, სრულად არ არის გამოყენებული. აი, ამაში ვადანაშაულებთ რაგბის კავშირს. იმაშიც ვადანაშაულებთ, რომ საერთოდ არ ვიკრიბებით, ოთხი წელია, ყრილობა არ ჩატარებულა. ამ ყრილობაზე კი ახლა დაარიგეს მანდატები, რომლის განაწილების უსამართლობაში თავადვე დარწმუნდნენ და თქვეს, თავიდან დავიწყოთ მანდატების განაწილებაო. აქ უკვე აზრთა სხვადასხვაობაა. შეიძლება, ხაშურისა და ჭიათურის გუნდებს, რომლებიც ნომბერში შეიქმნენ და „დათვებს“ და „ლოკომოტივს“ თითო-თითო ხმა ჰქონდეთ? კი, ბატონო, ჰქონდეს ხაშურს ერთი ხმა, მაგრამ ბათუმს მაშინ სამი ხმის უფლება მისცენ.

— ამან გამოიწვია კამათი?

— რა თქმა უნდა. ამას გარდა არის ხალხი, რომელსაც უნდა ყველაფერი ძველებურად დარჩეს, მაგრამ იქვე ბევრი ამბობს, რომ ცუდი ვითარებაა და რაღაცით უნდა გამოვასწოროთ.

— კი მაგრამ, მანდატების დარიგება ხომ ყრილობამდე შეიძლებოდა.

— ამას ვამბობ, რომ აქამდე უნდა მოგვარებულიყო ეს საქმე, მაგრამ არ შევკრებილვართ და როგორ მოგვარებდნენ.

— თქვენს მიერ წამოყენებული კანდიდატურა უარყოფილ იქნა?

— აქამდე ვერც მივედით. ჩვენმა პირველმა კანდიდატმა თავად მოიხსნა თავი, ჩვენ სხვა შევარჩიეთ, მაგრამ ამაზე ჯერ არ ყოფილა საუბარი. მანდატების განაწილებაზე ვერ შევთანხმდით. ისე, ჩვენი მეორე კანდიდატი, ზურაბ ჩანანიძე საკმაოდ ცნობილი და დაფასებულია სარაგბო წრეში.

— ახლანდელმა პრეზიდენტმა სხდომა მიატოვა...

— კი, მიატოვა. ვაჟკაცურად მოიქცა იმიტომ, რომ უფრო დაიძაბებოდა სიტუაცია. სწორი ნაბიჯი გადადგა, რადგან ყრილობა მოუმზადებელია, როგორ შეიძლება, ღღეს გაარკვიო, ვის რამდენი ხმა აქვს.

რომ გვეგონა, ყველაფერი დამთავრდაო, სწორედ მაშინ დაიწყო. მოულოდნელად ბიძინა გეგიძე დაბრუნდა დარბაზში და სხდომა განახლდა. თუმცა დელეგატთა რიგები საკმაოდ შეთხელდა, დარბაზში დაბრუნდა თემურ ბენდიაშვილიც და სიტუაცია კვლავ გამწვავდა. რკინიგზელთა მწვრთნელმა დაადანა კავშირის პრეზიდენტობაზე ზურაბ ჩანანიძის კანდიდატურის განხილვის საკითხი. საქმე კენჭისყრაზე მიდგა და ისევ თავი იჩინა მანდატების განაწილების პრობლემამ. თემურ ბენდიაშვილმა რომ ვერაფერი მოახერხა, პროტესტის ნიშნად საერთოდ მიატოვა ყრილობა. ჩვენ განაწყენებულ დელეგატს ფოიეში დავეწიეთ.

— ბატონო თემურ, როგორც გეტყობათ, ძალიან გაბრაზებული ხართ.

— არა, რას ამბობთ, მე მაშინ ვიყავი გაბრაზებული, პორტუგალიაში და ირლანდიაში რომ წავაგეთ, ოორემ ამ ამბავზე როგორ მომივა გული. რაც უნდათ, ის უქნიათ. ბავშვების მწვრთნელები თუ უნდა წყვეტდნენ პრეზიდენტის არჩევის საკითხს, მაშინ ბავშვთა ჩემპიონატი ჩაატარონ. მე მივატოვე ყრილობა, ქუთაისლები და ზორდას წარმომადგენლებიც წავიდნენ. ვერ გავაწყვეთ ვერაფერი და რა გვექნა.

— ჩანანიძის კანდიდატურაზე ხომ იმსჯელეს?

— კი, მაგრამ რა აზრი ჰქონდა. რაზეც ვკამათობდი, მაინც ის მიიღეს დებულებად. შეიძლება, ბავშვთა გუნდებს უფრო მეტი ხმა ჰქონდეს, ვიდრე უმაღლესი ლიგის წარმომადგენლებს? ეს ხომ აბსურდია.

თემურ ბენდიაშვილის ბოიკოტით ყრილობის დარჩენილ დელეგატებს გაჭიანურებული სხდომის მალე დამთავრების იმედი მიეცათ. დარბაზში სიწყნარემ დაისადგურა და ყრილობის დანარჩენი ნაწილი მშვიდ ატმოსფეროში წარიმართა. კარს მიღმა ბიძინა გეგიძის ხმა გავიგონეთ. იგი თავის სამომავლო პროგრამას აცნობდა დელეგატებს. ამასობაში ასკ-ის მწვრთნელმა ლევან მგელაძემაც მიატოვა ყრილობა. მან დაღლილობა მოიმიზეზა და კომენტარზე უარი განაცხადა. ჩვენ მთელი გულისყური ისევ დარბაზზე გადავიტანეთ, სადაც უკვე არჩევნები მიმდინარეობდა. სულ მალე ტაშის ხმა გავიგონეთ — საქართველოს რაგბის კავშირში პრეზიდენტი აირჩიეს. დერეფანში გამოსულმა ბიძინა გეგიძემ სვალ პრესკონფერენციაზე გელითო.

ზაზა ბენიძე
ბაჩო სვანიძე

REUTERS ლონდონიდან

ვესტ ჰემი — ასტონ ვილა 1:3. სტუმარმა სტივ სტოუნმა ლონდონელ ტრევორ სინკლერს ბურთი არ დაანება

საფრანგეთი

XXI ტური

პსჟ 2:2 ლიონი

1:0 კრისტიანი (16), 2:0 რობერი (59პ), 2:1 ანდერსონი (80), 2:2 ვერელი (89)

მეცი 2:1 ბორდო

1:0 ბატიკლი (26), 2:0 მეირო (52), 2:1 ვილტორდი (77)

ბელგია

XVIII ტური

მუსკრონი 0:2 ანდერლეხტი

ინგლისი

I დივიზიონი

გადადებული მატჩი

ვულვერჰემპტონი 2:3 ჩარლტონი

თასის IV ეტაპი

ჯილინგემი 3:1 ბრედფორდი

ლიგის თასი. მეოთხედფინალი

ვესტ ჰემი 1:3დ.დ.(1:1) ასტონ ვილა

მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი

მანჩესტერი 2:0 მელბურნი

ერთოვნული ბიბლიოთეკა

ნიკოლსონი და ნიკი



ეს, გაუგონარი ფოტო. „ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ თავგადაკლული გულშემატკივარი, განთქმული არტისტი ჯეკ ნიკოლსონი „ლეიკერსელთა“ მოწინააღმდეგის, „დენვერ ნაგითსის“ სკამთან მისულა და იმათ მოთამაშეს ნიკ ვან ექსელს რაღაცას უხსნის. ეს ამბავი მეოთხე მეოთხედში ხდება, როცა „ლეიკერსი“ გვარიანად უგებს „ნაგითსს“ და ჭეშმარიტი კაცთმოყვარეობით ანთებულ ნიკოლსონსაც დამარცხებულთა დახმარება გადაუწყვეტია, ვან ექსელ გირჩევ, ასე და ასე ითამაშეო.

რიოში ყოფნა რიოში

სხვა რა დამრჩენიაო? „მანჩესტერის“ დუაიტ იორკი თავის ტრინიდადულ ბავშვობას იხსენებს და დოლს უბაგუნებს რიოს ღარიბულ ადგილას. რიოს ერთ-ერთ კედელზე კი სულ ტყუილად ჰკიდია იქაური „ფლამენგოს“ ერთ-ერთი ფანკლუბის მიერ მანჩესტერელთა მისასალმებლად გამზადებული პლაკატი. „მენგოს“ ტორსიდა იმედოვნებდა, რომ შორეული „მან იუ“ მათ საძულველ „ვასკუ და გამას“ დაამარცხებდა. პირიქით კი მოხდა „ვასკუმ“ იმარჯვა.

არსად ისე არ ცურავენ, როგორც აქ, ამ ქვეყანაში

ამ ექვსი წლის ტერიერს სპინეკერი ჰქვია და კაი სამუშაო ადგილიც უშოვნია. სპინეკერი მთელი სულითა და გულით ჩართულა ახალზელანდიური ტურიზმის სარეკლამო კამპანიაში. ამ ამბავში კი ოკეანის ტალღებს არცთუ უკანასკნელი ადგილი უჭირავს. ბუგი-ბორდზე წამოსკოპური სპინკერი ყველას შეახსენებს — არსად ისე არ სერფობენ, როგორც აქ, ამ ქვეყანაში. ბუგი-ბორდი კი იმგვარი დაფაა, რომ ზედ გაწოლილს შეგიძლია ტალღებზე ლივლივი.

ლივლივი იქეთ იყოს და აქაურ წყლებში სულ განთქმული მენავე-მეიალქნენი იბრძვიან ვუტონის თასისთვის. ერთ-ერთი ფრანგული ეკიპაჟის მხარდასაჭერად ოკლენდში იური ჯორკაეფიც გამოჩენილა. გერმანიის ჩემპიონატში დიდი შესვენებაა და „კაიზერსლაუტერნის“ რიგებში მოთამაშე იური საშვებულებოდ ქვეყნის კიდეზე წასულა.

სარგბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი ბიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი, ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ გზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაძეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. **ქართული განყოფილება** კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** ზაზა ბენიძე, ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. **ტელეფონი:** 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli